წლიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი, 18 ივლისი 1931 წ. № 164 (3119)

გარდავქმნათ სამეურნეო მუშაობა

ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში სამეურნეო მუშაკთა თათბირზე მოგვცა ახალი საბრძოლო პროგრამა სოციალისტური მშენებლობის ტემპების გაშლისათვის. უდავოა, რომ ჩვენ მივისწრაფით წინ გიგანტური ნაბიჯებით სოციალისტური მშენებლობის გზით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენ თანაბარი ფრონტით ვერ მივდივართ, მეურნეობის ზოგიერთი დარგი ჩამორჩება ტემპებს. ეს მდგომარეობა თავის თავად აყენებს სოციალისტური შეტევის ფრონტის მთლიანად გამოსწორებისა და ამ შეტევის კიდევ უფრო გაძლიერების ამოცანას.

სად უნდა ვეძებოთ ჩვენი მეურნეობის ტემპების სხვადასხვაობის მიზეზები?

„სად არის იმის მიზეზი, რომ მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა მოგვცა პროდუქციის გადიდება მარტო 20-25 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია იძლევიან კიდევ ნაკლებ გადიდებას და კუდში მისჩანჩალებენ სხვა დარგებს?"—კითხულობს ამხ. სტალინი და ასე უპასუხებს: „მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს მრეწველობის განვითარების პირობები ძირიან - ფესვიანად შეიცვალა. შეიქმნა ახალი პირობები, რომლებიც მოითხოვენ ხელმძღვანელობის ახალ სახსრებს, ხოლო ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკები, ნაცვლად იმისა, რომ მათ შესცვალონ მუშაობის ხერხები, ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. საქმე, მაშასადამე, იმაშია, რომ მრეწველობის განვითარების ახალი პირობები მოითხოვენ ახალი წესით მუშაობას, ხოლო ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს არ ესმით ეს, ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ ხელმძღვანელობა ახალ წესზე უნდა ააგონ".

ამხ. სტალინის ამ მოწოდებამ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საბჭოთა კავშირში. ბელადის მოწოდებაზე ხმა აიმაღლა ყველა სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატმა, საბჭოთა კავშირის ფაბრიკა ქარხნების დიდმა უმრავლესობამ. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ამხ. სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის წერილი. ამხ. სტალინის სიტყვას მხურვალედ გამოეხმაურა საქართველოს პროლეტარიატიც. ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის, თბილისის დეპოს, ტრამვაის, 26 კომუნართა ქარხნის და მრავალ საწარმოთა მუშებმა სიტყვა დასდვეს ყოველი ზომები მიიღონ ამხ. სტალინის მითითებათა უახლოეს დროში პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ამ რიგად მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უკვე გამოსთქვა თავისი გადამჭრელი და კატეგორიული აზრი.

ბელადის მოწოდების შესასრულებლად დაირაზმებიან მუშათა მილიონები. ეს არის დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი ძირითადი პირობა. მაგრამ მარტო ეს არ კმარა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ სამეურნეო მუშაობა მთლიანად გარდაიქმნას ისე, როგორც ამას გვიკარნახებს მრეწველობის განვითარების „ძირიან - ფესვიანად შეცვლილი პირობები"?

ამისათვის საჭიროა უფრო მჭიდროდ დაუახლოვდეთ მეურნეობას, მთლიანად დავუკავშიროთ სამეურნეო ხელმძღვანელობა საწარმოო ერთეულის ყველა მხარეების ცოდნას. ბოლო მოვუღოთ ზერელე და „საერთო" ხელმძღვანელობას. სავსებით მართალია ამხ. სტალინი, რომელიც თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ხშირად ჩვენი სამეურნეო მუშაკები არ იცნობენ თავიანთ წარმოებას. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღმოფხვრილი, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ახლო მივიდეთ წარმოებასთან, უფრო კარგად და დროულად გავიგოთ მისი მტკივნეული მხარეები.

არის საერთო ნაკლოვანებები, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენი მრეწველობის წინსვლას. ამ ნაკლთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეგრედწოდებული გაუპიროვნების ყოვლად დაუშვებელი პრაქტიკა მრეწველობაში. გაუპიროვნება ფაქტიურად ნიშნავს ყოველგვარი პასუხისმგებლობის მოსპობას მანქანა-იარაღების მოვლისათვის. ჩვენ დიდი ბრძოლა დაგვჭირდა იმისათვის, რომ გაუპიროვნება აღგვეკვეთა ორთქლმავლებზე, რამაც რკინის გზის ტრანსპორტი განადგურებისაგან იხსნა. ჩვენ ეხლა გვმართებს ფართოდ გავშალოთ ბრძოლა გაუპიროვნების წინააღმდეგ სახალხო მეურნეობის თვითეულ რადგში. აბსოლიუტურად აუცილებელია შეიქმნას ისეთი პირობები, როცა თვითეულ მანქანას, თვითეულ დაზგას ეყოლოს თავისი მომვლელი, რომელიც იზრუნებს მანქანის ტექნიკურად დაცვაზე და რომელიც პასუხს აგებს მანქანის ვადაზე ადრე გაუვარგისებისათვის.

ფაქტიურად დღეს ბევრგან ისეთი მდგომარეობაა, როცა მანქანა ხელიდან ხელში გადადის და მანქანის მოვლისათვის თითქმის არავის ეკისრება პასუხისმგებლობა. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო განუწყვეტელი კვირის მახინჯად გატარებამ. ამიტომ ბრძოლა ისეთ განუწყვეტელ მუშაობასთან, რომელიც შემოღებულია სათანადო პირობების წინასწარ მომზადების გარეშე, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ამხ. სტალინისის მითითებათა განხორციელების საქმეში.

შემდეგი მდგომარეობა, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იპყრობდეს სამეურნეო მუშაობის გარდაქმნისათვის ბრძოლაში — ესაა მრეწველობის უზრუნველყოფა მუშა-ხელით. ამისათვის პირველ ყოვლისა დაუზოგავად უნდა აღმოიფხვრას ხელფასის გათანაბრების წვრილბურჟუაზიული პრაქტიკა. ეხლანდელი სატარიფო ქსელები უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელოდ განასხვავებს მუშას კვალიფიკაციის მიხედვით. ასეთ მდგომარეობას შედეგად მოსდევს მუშა ხელის ხშირი ცვალებადობა, შრომის ნაყოფიერების დაცემა, კვალიფიკაციური მუშა ხელის ახალი კადრების მომზადების შეფერხება და სხვ. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მუშა ხელის ხშირი ცვალებადობა ჩვენი ქარხანა-ფაბრიკების უბედურებაა. ამხ. სტალინი ამის შესახებ ამბობს: „ეხლა გაშლილი რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც წარმოების მასშტაბი გიგანტური გახდა, ხოლო ტექნიკური მოწყობილობა ძალიერ რთული, მუშა ხელის ცვალებადობა გადაიქცა წარმოების უბედურებად".

დაირაზმოთ ყველა ძალები ბელადის მოწოდების განუხრელად და მთლიანად განხორციელებისათვის. გავშალოთ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა სამეურნეო საქმიანობის დრომოჭმულ, ფორმებისა და მეთოდების წინააღმდეგ. ავამაღლოთ ჩვენი მეურნეობის მუშაობის ტემპები მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პურის დამზადების კამპანიის ჩატარების შესახებ

(საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 15 ივლისის დადგენილება)

მოსკოვი, 16 ივლისი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყველა პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წელს პურის დამზადების წარმატებით ჩატარებას სახალხო მეურნეობის როგორც სოციალისტურ, ისე ინდივიდუალურ სექტორში. კოლექტივიზაციის გადამწყვეტი გამარჯვება, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ზრდა, სასაქონლო პროდუქციის დიდი პროცენტი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში—ჰქმნიან ყოველგვარ შესაძლებლობას პურის დამზადების გეგმის სწრაფი შესრულებისთვის და ამავე დროს სადგურებთან არსებულ პუნქტებში და ელევატორებში პურის მიტანისათვის. მთავარი, რასაც მიმდინარე წლის პურის დამზადების საქმეში უნდა მიაღწიონ მომარაგების სახალხო კომისარიატის ორგანოებმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ და ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა არის ის, რომ არ დააშორონ ერთმანეთს პურის დამზადებისა და გამოტანის საქმე და მიაღწიონ მთლიანობას პურის დამზადებისა და გამოტანის საქმეში.

ყველა პარტორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი პურის დამამზადებელმა ორგანოებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ, რომ მხოლოდ ის პური ჩაითვლება დამზადებულად, რომელიც არ ჩარჩება შორეულ პუნქტებში, რომელიც მიტანილი იქნება სადგურებთან, ელევატორებთან და წისქვილებთან.

მთელი მუშაობა პურის დამზადების საქმეში უნდა მოეწყოს ისე, რომ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში პურის დამზადება და სადგურებთან არსებულ პუნქტებში მიტანა დამთავრდეს არა უგვიანეს 10—15 იანვრისა, ხოლო ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რაიონებში—არა უგვიანეს 10—15 თებერვლისა.

ც. კ-ი წინადადებას იძლევა, რომ, პურის დამამზადებელი აპარატის განმტკიცებისათვის წარმოებულ მუშაობასთან ერთად, დაუყოვნებლივ დაიწყოს სატრანსპორტო საშუალებათა დამზადება და ორგანიზაცია პურის სწრაფი და დაუბრკოლებელი მიტანისთვის (მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნას როგორც საჭაპანო, ისე ავტოტრანსპორტი), ამასთან არ უნდა მოეწყოს არავითარი საწყობები შორეულ პუნქტებში, გარდა განსაკუთრებულად დაშორებულ რაიონებისა, რომელთა სიასაც ამტკიცებს მომარაგების სახალხო კომისარიატი.

უნდა გაუმჯობესდეს სადგურებთან, ელევატორებთან და წისქვილებთან პურის მიტანის მთელი მუშაობა. რკინის გზის ხაზებზე თავიდან აცილებულ უნდა იქნას შემხვედრი გადაზიდვა, დაწესდეს ელევატორის, წისქვილებისა და პურის ჩასაყრელი პუნქტების გამგეთა პერსონალური პასუხისმგებლობა ვაგონების ზედმეტად გაჩერებისათვის, მოგვარდეს ტარის მომარაგება და წესრიგში მოყვანილ იქნას ელევატორებთან და წისქვილებთან მისასვლელი გზები. თავის მხრივ რკინის გზათა სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს პურის დასატვირთავად საჭირო ვაგონები, ხოლო ის პუნქტები, სადაც დატვირთვა მოხდება, უნდა უზრუნველჰყოს მუშა-ხელით და დასატვირთად საჭირო მასალით და სხვ.

პურის გადაზიდვის გადიდებასთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „სოიუზხლებ"-ის პუნქტების (სადგურებთან), ელევატორებისა და წისქვილების მუშაობას.

ც. კ-ი ავალებს მომარაგების სახალხო კომისარიატს და ადგილობრივ ორგანიზაციებს—შეამოწმონ ის, თუ როგორ მიმდინარეობს სადგურებთან არსებულ პუნქტებსა და ელევატორებში მუშაობა საქმის დასაყენებლად იმ მიზნით, რომ გადაჭრით აღმოიფხვრას პურის ჩამბარებლებთან ბიუროკრატიული მოპყრობის აქტები, მოისპოს რიგები და გადიდდეს ამ პუნქტების გამტარიანობა, პურის ჩამბარებლებთან ანგარიშის გასასწორებელი პუნქტების რიცხვის გასადიდებლად საჭიროდ იქნას ცნობილი სახელმწიფო ბანკის სალაროების მოწყობა სადგურებთან არსებულ პუნქტებში. სადგურების საერთო რიცხვმა 1.500-მდე უნდა მიაღწიოს.

ც. კ-ი ავალებს მომარაგების სახალხო კომისარიატს და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს—მიიღონ ყველა საჭირო ზომები ახალი ელევატორ-საწყობების მშენებლობის და პურის საწყობების რემონტის თავის დროზე დასამთავრებლად.

პურის დამზადების საქმის,—მაშასადამე, მისი გამოზიდვის საქმისაც,—წარმატებით შესრულებისთვის მარცვლეულის რაიონების ყოველ სოფლის საბჭოში დამზადებისათვის გამოყოფილ უნდა იქნენ „ხლებოცენტრ"-ის რწმუნებულნი. კოლმეურნეობებში, აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში გამოყოფილ უნდა იქნას გამგეობის სპეციალური წევრი ან დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, რომელიც გაუძღვება მთელ პრაქტიკულ მუშაობას პურის ჩაბარების, მისი სწრაფი გადაზიდვის უზრუნველყოფის, ტარის შეგროვების, ჩაბარებული პურის აღრიცხვისა და სხვა საქმეში.

ეს კოლმეურნეობის გამგეობას და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს არ ანთავისუფლებს პურის თავის დროზე და სრულად, გეგმის მიხედვით ჩაბარების პასუხისმგებლობისაგან.

პურის დამზადების საქმის წარმატებით ჩატარებისთვის, წინა წლების მაგალითის მიხედვით, უნდა ჩატარდეს ფართო მასიური მუშაობა კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს შორის. სოფლის საბჭოებთან უნდა მოეწყოს პურის დამზადების ხელშემწყობი კომისიები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ პურის დამზადებისა და გამოზიდვის წარმატებით ჩატარებას, ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების შემდგომ ჩაბმას კოლმეურნეობებში და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი წინადადებას აძლევს მომარაგების სახალხო კომისარიატს, სამხარეო და საოლქო კომიტეტებთან და ნაცპარტიების ც. კ-ბთან ერთად, დაუყოვნებლივ შეამოწმოს და მომზადებული კადრებით შეავსოს პურის დამამზადებელი აპარატი, ელევატორები, წისქვილები და ჩასაყრელი პუნქტები, რისთვისაც გამოჰყოს საჭირო რაოდენობის მუშაკი, რომელთაც აქვთ გამოცდილება პურის დამზადების საქმეში, გამოჰყოს ეს მუშაკები როგორც მუდმივი მუშაობისთვის, ისე იმისთვის, რომ დროებით დაეხმარონ დამამზადებელ ორგანოებს და ადგილობრივ პარტორგანიზაციებს.

შემოღებულ უნდა იქნას სისტემა როგორც ცალკე მუშების, ისე ბრიგადების დაჯილდოებისა სადგურებთან არსებულ პუნქტებში პურის წარმატებული მიტანისათვის. ამასთან ერთად ცენტრალური კ-ი წინადადებას აძლევს მომარაგების სახალხო კომისარიატს—დამამზადებელი აპარატის მუშაკთა ხელფასი დაუკავშიროს მათი მუშაობის ხარისხობრივ და რიცხობრივ მაჩვენებლებს.

პარტორგანიზაციებმა არ უნდა დაუშვან ინდივიდუალური მეურნის შეუფასებლობა პურის დამზადების გეგმის შესრულებაში, განსაკუთრებით მომხმარებელ რაიონებში, და სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარების საქმეში დააწესონ მტკიცე დავალებანი კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათათვის; ამავე დროს პარტორგანიზაციებმა უნდა გაშალონ მასიური მუშაობა კოლმეურნეთა მობილიზაციისთვის და მიაღწიონ იმას, რომ პურის დამზადების შესრულების დროს ყველა მშრომელმა გლეხებმა შეიგნონ და განახორციელონ ლოზუნგი: „არც ერთი ცენტნერი პური კერძო ვაჭარს".

ც. კ-ი მოითხოვს მომარაგების სახალხო კომისარიატისა, „ხლებოცენტრ"-ისა და დამამზადებელ ორგანოებისაგან. ისევე როგორც პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერებას პურის დამზადების საქმეში და მთელი ძალების მობილიზაციას პურის თავის დროზე გამოსატანად (ადს).

უცხოეთის ბირჟაზე აღარ იღებენ გერმანულ მარკას

კომპარტია აყენებს კრიზისთან ბრძოლის რევოლიუციონურ პროგრამას

კომფრაქციის წინადადება რეიხსტაგის პლენუმზე

ბერლინი, 16 ივლისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ რეიხსტაგის პლენუმზე შეიტანა შემდეგი წინადადებები: დაპატიმრებულ და მატერიალურ პასუხისგებაში მიცემულ იქნას ყველა ის კაპიტალისტები, რომლებსაც ცრუ გაკოტრების გზით საზღვარგარეთ გააქვთ თავიანთ კაპიტალი, რაც ძალზე აძლიერებს მშრომელთა მასების გაჭირვებას, განსაკუთრებით კი მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე წვრილ მეანაბრეთა და მოსახლეობის საშუალო ფენების გაჭირვებას.

გამოცემულ იქნას კანონი, რომლის ძალითაც კაპიტალების გატანა უნდა ისჯებოდეს საკატორღო მუშაობით, არა ნაკლებ სამი წლის ვადით, მთელი ქონების კონფისკაციით.

უზრუნველყოფილ იქნას ყველა წვრილი ანაბარები, მთელი ხვედრი სამუშაო ხელფასი და ყოველგვარი დახმარება.

გაიხსნას ყველა დახურული ქარხნები მრეწველობის ინტერესებისთვის ანგარიშის გაუწევლად და ამით უმუშევარ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო. ამისთვის საჭირო სახსრები შეგროვილ იქნას შემდეგნაირად:

სრულიად უსასყიდლოდ ჩამორთმეულ იქნას ნახევარ მილიონ მარკაზე მეტად ღირებული ყველა ქონება, დანარჩენი ქონება, 300.000 მარკაზე ზევით, დაბეგრილ იქნას დიფერენციული ქონებრივი გადასახადით.

მოხდეს ყველა იმ შემოსავლის კონფისკაცია, რომელიც წელიწადში 20.000 მარკას აღემატება, და შემოღებულ იქნას სპეციალური გადასახადი ყველა შემოსავალზე, რომელიც წლიურად 6.000 მარკას აღემატება.

შეწყვეტილ იქნას ისეთი პენსიის გაცემა, რომელიც წლიურად 5.000 მარკას აღემატება (ადს).

უცხოეთის ბირჟაზე შესწყდა გერმანიის მარკის კოტირობა

ბერლინი, 16 ივლისი. როგორც შვეიცარიიდან იტყობინებიან, ციურიხის, ბაზელის და ჟენევის ბირჟებმა გადასწყვიტეს, დროებით შეაჩერონ გერმანიის აქციების და სესხების კოტირობა.

ჰოლანდიიდან მიღებული ცნობებით, ამსტერდამის ბანკების გაერთიანებამ გადასწყვიტა, ჯერ-ჯერობით თავი შეიკავოს გერმანიის მარკების ოპერაციებისაგან.

დანიიდან და სხვა ქვეყნებიდან მიღებული ცნობებით, შესწყდა გერმანიის მარკების გადაცვლა ყველა ბანკებში და დასახურდავებელ კონტორებში (ადს).

გერმანიის ფინანსიური კრახის შედეგად

ლონდონი, 16 ივლისი. 14 ივლისს განმავლობაში ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის კონტინენტალური ქვეყნები განაგრძობდნენ თავიანთი ანაბარების მოთხოვნას ლონდონიდან. მარტო ერთი დღის განმავლობაში ლონდონიდან გატანილ იქნა 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქროთი. „დეილი ჰერალდი"-ს ფინანსიური რედაქტორი აღნიშნავს, რომ ლონდონის ბირჟაზე არსებული სიწყნარე უფრო დროებითი სიმშვიდეა ქარიშხლის წინ, ვიდრე შედეგი მომავლის იმედიანად შეფასებისა. იგი აფრთხილებს ყველას, არ დაუჯერონ „ბრმა ოპტიმისტებს", რომლებიც ამტკიცებენ, ვითომ გერმანიის კრახი უდიდეს გავლენას არ მოახდენს ინგლისზე (ადს).

გერმანიის კომპარტიის ც. კ-ის მოწოდება.

ბერლინი, 16 ივლისი. გერმანიის კომპარტიის ც. კ-მა მიმართა მშრომელებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„**იწყება არაჩვეულებრივი ზომის ეკონომიური კატასტროფა.** შესწყვეტა მუშაობა გერმანიის მრეწველობის ნახევარზე მეტმა. **შიმშილს განიცდის 4 მილიონზე ბევრად მეტი უმუშევარი; 4 მილიონ სხვა უმუშევარს დღედღეზე შიმშილი მოელის.** შემნახველი სალაროების გაკოტრებამ უპირველეს ყოვლისა ლახვარი ჩასცა ყველაზე უფრო ღარიბებს, ინვალიდებს და იმათ, ვისაც უმნიშვნელო დახმარება ეძლევა. გერმანიის მშრომელებს იუნგის გეგმამ ათი წლობით დაადგა მონობის უღელი.

კატასტროფაში დანაშაული მიუძღვით საგანგებო დეკრეტებს და მეურნეობის კაპიტალისტთა გაკოტრებულ წარმოებას. **შეუძლებელია ასე გაგრძელდეს შემდეგშიაც!** მშრომელებო, ამიერიდან ნუღარ მოითმენთ კაპიტალისტების ბოროტმოქმედებებს, ნუ მისცემთ ნებას სოციალ-დემოკრატიულ და ნაციონალისტურ ლიდერებს—კაპიტალის ამ მხდალ მსახურებს, რომელნიც დამნაშავენი არიან დღევანდელ ეკონომიურ კატასტროფაში, აკეთონ ის, რაც მოესურვებათ. **ჩვენ მოვითხოვთ იმ კაპიტალისტების დაპატიმრებას, რომელთაც კაპიტალები საზღვარგარეთ გააქვთ. მილიონების ქონების კონფისკაციას. გამოსაკვები პროდუქტების კონფისკაციას მშრომელთათვის, ბინების კონფისკაციას უსახლკაროების ჩასასახლებლად მილიონერთა აგარაკებში და სასახლეებში.** ბოლო მოეღოს საგანგებო დეკრეტების სისტემას, მოისპოს პოლიციის მიერ მუშათა დემონსტრაციების გაფანტვა, გაუქმდეს კრებების აკრძალვა! განთავისუფლდეს ქუჩები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, უმუშევრებისა და წვრილი მეანაბრეებისათვის! მოხდეს ნაციონალ-სოციალისტების და „ფოლადის მუზარადის" განიარაღება!

ძირს კაპიტალისტები, ძირს ბრიუნინგის მთავრობა!

წინ თავისუფალ სოციალისტურ გერმანიისთვის საბრძოლველად!" (ადს)

ფინანსიური კრიზისი გერმანიაში უფრო და უფრო გავლენას ახდენს პროვინციაზე.

ბერლინი, 16 ივლისი. ბერლინის საფინანსო ბაზრის კატასტროფიული მოვლენები, დანატბანკის გაკოტრებასთან დაკავშირებით, უფრო და უფრო გავლენას ახდენს პროვინციაზე. დასავლეთ გერმანიის მთელი რიგი ქალაქებიდან მიღებული ცნობებით, მეანაბრები მოითხოვენ თავიანთ ანაბარებს ბანკებსა და შემნახველ სალაროებიდან სამხრეთ გერმანიაში ბევრგან მოხდა შეტაკება პოლიციასა და მეანაბრეთა შორის, რომელნიც ბანკებთან შეგროვდნენ.

დიუსელდორფში ადგილობრივმა ბანკმა ორი კვირით შეწყვიტა ფულის გაცემა. სამხარეო ბანკის გაკოტრება, რომლის სააქციო თანხაც 25 მილიონ მარკას უდრიდა, ხოლო ანაბარები—400 მილიონ მარკას, დიდ გავლენას ახდენს დიუსელდორფის რაიონის მეურნეობასა და ქალაქების თვითმმართველობებზე.

ბერლინში და მრავალ სხვა ქალაქში, ისევე, როგორც 1923 წელს, გაჩნდა ვალიუტის შავი ბირჟები (ადს).

ჰიტლერი მზადაა „დაამყაროს" სამეურნეო წესრიგი გერმანიაში

ბერლინი, 16 ივლისი. ფაშისტების ლიდერმა ჰიტლერმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ მზადაა სათავეში ჩაუდგეს სახელმწიფო ხელისუფლებას და შეასრულოს „გერმანიის წმინდა სამეურნეო ვალდებულებანი".

ჰიტლერი აღნიშნავს, რომ სამეურნეო კატასტროფა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, მაგრამ უფრო საშიშია ბოლშევიზმის საფრთხე, როგორც სამეურნეო ნგრევის შედეგი. ნაციონალ-სოციალისტების მთავარი ამოცანაა,—ამბობს ჰიტლერი,—დასძლიოს ბოლშევიზმი ყველა ფორმებში". (ადს).

გერმანიამ შეიტანა საერთაშორისო ბანკში სარეპარაციო გადასახადების სავალდებულო ნაწილი.

პარიზი, 16 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ გერმანიამ შეიტანა საერთაშორისო ბანკში სარეპარაციო გადასახადების სავალდებულო ნაწილი, რაც ერგებოდა საფრანგეთს 15 ივლისისათვის. საერთაშორისო ბანკმა დაუყოვნებლივ გადასცა ეს თანხა გერმანიის რკინის გზების განკარგულებაში (ადს).

გერმანიის ფასიანი ქაღალდების დაცემა ნიუ-იორკის ბირჟაზე.

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. ნიუ-იორკის ბირჟაზე გრძელდება გერმანიის ქაღალდების ფასის დაცემა. საქონლის ბირჟაზე ხორბლის ფასმა მიაღწია ყველაზე უფრო მაღალ დონეს ისეთს, როგორიც არყოფილა 1894 წლის შემდეგ (ადს).

„გერმანიის პრობლემა მთელი მსოფლიოს პრობლემაა"

ბერლინი, 16 ივლისი. როგორც ბაზელიდან (შვეიცარია) იუწყებიან, რეიხსბანკის პრეზიდენტს ლიუტერს ჟურნალისტებისათვის გაუცხადებია:

„ის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ამჟამად გერმანია სცდილობს, არ არის მარტო გერმანიის პრობლემა, იგი მთელი მსოფლიოს პრობლემაა.

გერმანიის მთავრობამ რეიხსბანკთან ერთად იკისრა პასუხისმგებლობა დანატბანკისათვის. საზღვარგარეთ სწორი წარმოდგენა არა აქვთ იმ მსხვერპლის შესახებ, რომელიც გერმანიამ უკვე გაიღო და რომელსაც შემდეგში კიდევ გაიღებს. კატასტროფიულად მოქმედებს ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთიდან ყოველდღე თხოულობენ დეპოზიტების დაბრუნებას და იმ მოკლევადიანი კრედიტების გადახდას, რომლებიც გერმანიას მიეცა. მხოლოდ სწრაფი დახმარება მსხვილი კრედიტების სახით გადაარჩენს ამჟამად გერმანიას და მასთან ერთად მთელ მსოფლიოს. ყოვლად დაუშვებელია მეორე ხარისხოვან საკითხებზე დროის დაკარგვა იმ დროს, როცა აუცილებლად საჭიროა დახმარების აღმოჩენა გერმანიისათვის იმ ბრძოლაში, რომელიც ნამდვილად მთელი მსოფლიოს და მთელი კულტურის ბრძოლას წარმოადგენს. დღევანდელი მდგომარეობა გერმანიას სთიშავს მომხმარებელთა წრიდან. ამ გარემოების შეფასება შეუძლია ყველას, ვინც იცის, როგორი მყიდველი იყო გერმანია მსოფლიო ბაზარზე. საჭიროა გერმანიის კვლავ დაყენება ფეხზე, რათა გადაიქცეს იგი მსოფლიო მეურნეობის ხელმძღვანელ ფაქტორად, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება მსოფლიო მეურნეობის გადარჩენა".

„გერმანიისათვის მიყენებული ჭრილობის გამოთელება,—დაამთავრა ლიუტერმა, — შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი, მეტად ხანგრძლივი დროის შემდეგ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც გერმანიას ფინანსიური დახმარება აღმოუჩინონ" (ადს).

ანტი-იმპერიალისტური დღის წინ

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის მოწოდება

პარიზი, 16 ივლისი. „ლიუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის მოწოდებას, გამოშვებულს პირველ აგვისტოს დღის მომზადებასთან დაკავშირებით. მოწოდებაში ნათქვამია:

„**კაპიტალისტური მსოფლიო**, რომელსაც ძირს უთხრის ეკონომიური კრიზისი და ღრღნიან მეტოქე იმპერიალისტების წინააღმდეგობანი, **ომის მიჯნაზე დგას.** ამერიკული იმპერიალიზმი ცდილობს, ერთის მხრით ჰუვერის გეგმის შემწეობით ლახვარი ჩასცეს საფრანგეთის იმპერიალიზმს, ხოლო მეორე მხრით—ევროპის იმპერიალისტებთან და გერმანიის ბურჟუაზიასთან სრული თანხმობით კვლავ გაილაშქროს საერთაშორისო პროლეტარიატის, განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ, რათა დაეხმარონ გერმანიის ბურჟუაზიას პროლეტარულ რევოლიუციასთან ბრძოლაში.

მსოფლიო იმპერიალიზმს სურს მოსპოს ის ნაციონალურ-რევოლიუციონური და განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მიმართავენ ჩინეთის, ინდოეთისა და ინდოჩინეთის კოლონიალური მუშები. იმპერიალიზმს სურს იხსნას თავი კატასტროფისაგან და ცდილობს თავის ძალების შემოკრებას, რათა „დაამარცხოს თავისი მთავარი მტერი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი".

მოწოდება აღნიშნავს საფრანგეთის იმპერიალიზმის როლს, იმ საფრანგეთის, რომელიც სათავეში უდგას „ჯვაროსნულ ომს" სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის წინააღმდეგ.

მოწოდება თავდება ლოზუნგებით: „ხელფასის ყოველგვარი დაკლების წინააღმდეგ", „7 საათის სამუშაო დღისათვის", „უმუშევართა დაცვისთვის", „სოციალისტური დაზღვევა სახელმწიფოს და მრეწველთა ხარჯზე", „მხარის დაჭერა ჩრდილოეთის 120.000 გაფიცულისათვის", „ბრძოლა ოპრესიების წინააღმდეგ და ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლებისათვის", „ერთნაირი უფლება ყველა მშრომელი ფრანგებისა და ემიგრანტებისათვის", „საბჭოთა კავშირის — მშრომელთა სამშობლოს დაცვა", „გერმანიის პროლეტარიატის განთავისუფლება ბორკილებისაგან", „იმპერიალისტური ხელშეკრულებების მოსპობა", „აქტიური დახმარება ესპანეთის რევოლიუციას" და დასასრულ, „საფრანგეთის პროლეტარიატისა და ინდო-ჩინეთის ხალხებისაგან მებრძოლთა კავშირის შექმნა" (ადს).

ამხ. სტალინის სიტყვა გერმანიის მშრომელთა ყურადღების ცენტრში

ბერლინი, 16 ივლისი. 14 ივლისს ბერლინში შესდგა მუშათა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოწვეული მასიური მიტინგი, რომელსაც უმთავრესად დაესწრნენ უპარტიო მუშები და მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენები. მიტინგის თემა იყო ამხ. სტალინის სიტყვა. **მიტინგის დაწყებამდე კრების დარბაზი უკვე გაიჭედა. პოლიციამ შეჰკრა ქუჩა და გაფანტა შენობის წინ მდგომი რამდენიმე ასი მუშა.** მიტინგზე მყოფმა პროფესორმა ხალუემ, რომელმაც 1920 წლ. შემდეგ რამდენიმეჯერ ინახულა საბჭოთა კავშირი, განაცხადა; რომ ბურჟუაზიული პრესის მტკიცება ვითომ საბჭოთა კავშირი ჟარს აცხადებდეს კომუნიზმზე, წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს იმ სიცრუის კამპანიისა, რომელიც მიმართულია მუშათა და გლეხთა ქვეყნის წინააღმდეგ.

შემდგომმა ორატორმა **ლებნიცერმა** განმარტა ამხ. სტალინის სიტყვის ყველა 6 მუხლის შინაარსი. დამსწრენი ორატორს სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ მქუხარე ტაშით. (ადს).

ქაღალდი ვაზის წალამისგან

ლენინგრადი, 14 ივლისი. (საკ. კორ.). დამთავრდა განმეორებით ცდები ვაზის წალამისაგან ქაღალდის დასამზადებლად. ცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. მიღებულია შესანიშნავი ხარისხის თეთრი ქაღალდი.

ვაზის წალამისაგან ქაღალდის მისაღებათ ცდების მოხდენა დაიწყო ივლისის 1-ლ რიცხვებში. პირველმა ცდებმა გამოარკვიეს, რომ სავსებით შესაძლებელია წალამისაგან ქაღალდის მიღება. განმეორებითი ცდებით დადასტურდა, რომ წალამისაგან მიღებული ქაღალდი იაფი ჯდება.

ცდები სწარმოებს ლენინგრადის ქიმიურ - ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ ქაღალდის ლაბორატორიაში **პროფ. ფოტიევის** ხელმძღვანელობით. ცდებისათვის ვაზის წალამი ჩამოტანილია კახეთიდან.

ვალენიუსის გასამართლება

ჰელსინგფორსი, 16 ივლისი. უზენაესმა სასამართლომ ვალენიუსი უდანაშაულოდ სცნო ყოფილი პრეზიდენტის სტოლბერგის გატაცებასა და დაპატიმრებაში.

სასამართლომ გაამართლა ვალენიუსი, იგი განთავისუფლეს (ადს).

შოტლანდიის მემაღაროეთა გაფიცვა

ლონდონი, 16 ივლისი. შოტლანდიის ქვა-ნახშირის მუშათა კავშირის მიერ გამოცხადებული გაფიცვა გრძელდება და თანდათან ედება მთელ ლანკაშირს. ქვანახშირის მუშათა მასიურ მიტინგებზე ბერნბექსა და სალიიტაიერში გამოტანილ იქნა დადგენილება მუშაობის შეწყვეტისა და საგაფიცვო პიკეტების მოწყობის შესახებ. რეფორმისტული პროფბიუროკრატები სცდილობენ მიტინგების ჩაშლას, რათა დაეყოლიებინათ მუშები განეგრძოთ მუშაობა. ასეთი ცდები სრულიად უნაყოფო გამოდგა, რადგან მუშებმა არ მოისურვეს მიტინგებზე გამოსული რეფორმისტების მოსმენა (ადს).

„სოციალიზმი — ეს პირველყოვლისა აღრიცხვაა" (ლენინი)

შრომის აღრიცხვის მოწესრიგება კოლმეურნეობებში საბრძოლო ამოცანაა

შრომის აღრიცხვის მოწესრიგებისათვის კოლმეურნეობებში

„პრავდას" ინიციატივით ჩატარებულ ხუთდღიურმა ლაშქრობამ დიდათ შეუწყო ხელი კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის მოწესრიგებას საქართველოს მთელ რიგ რაიონებში უკვე დამთავრდა შრომის წიგნაკების დარიგება კოლმეურნეთათვის. განრიგების შევსებაში და შრომა-დღეების გამოანგარიშებაში ფართო მონაწილეობა მიიღეს რაიონის ბუხჰალტერ-მოანგარიშეებმა, მასწავლებლებმა, აგროტექნიკოსებმა და კომკავშირის დამკვრელ ბრიგადებმა,

შევსებული შრომის წიგნაკები, თესვის და მარგვლის პერიოდში ნამუშევარი შრომა-დღეებით, უკვე საშუალებას აძლევს თვითეულ კოლმეურნეს გააძლიეროს ბრიგადაში თავის მუშაობა და მაღლა ასწიოს შრომის ნაყოფიერება.

როგორც ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ, შრომის აღრიცხვის მოწესრიგებამ ხუთდღიურ ლაშქრობის პერიოდში გაზარდა ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ (ფოთი, თელავი, გორი და სხვ.).

მიუხედავად ყველა ამისა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ხუთდღიურ ლაშქრობას თავის დროზე არ გამოეხმაურენ მთელი რიგი კოლმეურნეობათა კავშირები და რაიონული გაზეთები. მაგ., სამტრედიის რაიონულმა გაზეთმა ხუთდღიური მხოლოდ 8 ივლისიდან გამოაცხადა: ხონის რაიკოლმეურნეობათა კავშირმა არც კი იცოდა, თუ ვისი ინიციატივით იყო დაწყებული ხუთდღიური ლაშქრობა. ასევე ითქმის ბორჩალოს, ცაგერის, მარტვილის და სხვა რაიონებზე.

ხუთდღიურმა გამოარკვია, რომ სანარდო სისტემა არ არის ყველგან გატარებული იქ კი, სადაც ასეთი გატარდა—ზოგან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს (გურჯაანი, შიათურა, სიღნაღი და სხვ.).

გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ მოანგარიშეთა კადრები ადგილებზე ვერ არიან დანიშნულებისამებრ და რაციონალურად გამოყენებული (ხულო, ცაგერი) რაიკოლმეურნეობათა კავშირები ამ საქმეში დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ დღემდე ჯერ კიდევ ზოგიერთ კოლმეურნეობებს სრულიად არ მიუღიათ შრომის წიგნაკები. კოლმეურნეობათა ცენტრს შრომის წიგნაკები საკმაო რაოდენობით არ გაუგზავნია რაიონებისათვის. (ჭიათურა, სიღნაღი, ზესტაფონი და სხვ.

ყველა ეს, რა თქმა უნდა, აბრკოლებს შრომის აღრიცხვის მოწესრიგების საქმეს. აღრიცხვის გარეშე კი წარმოუდგენელია სანარდო სისტემაზე ლაპარაკი, უფრო მეტი: „აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია კოლმეურნეობის, როგორც მსხვილი მეურნეობის არსებობა" (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილებიდან).

ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევამოწმოთ ადგილებზე ხუთდღიურის შედეგები, უნდა გამოვარკვიოთ დამატებით, თუ რა უშლის ხელს კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის ნამდვილად გატარებას, სწარმოებს თუ არა ბრიგადულ ან ჯგუფურ სანარდო მუშაობის დროს თვითეულ კოლმეურნის ნამუშევარის ზუსტი აღრიცხვა; როგორი ყურადღება ჰქონია მიქცეული შესრულებულ სამუშაოების ხარისხს და საერთოდ როგორ სწარმოებდა შრომა-დღეების გამოანგარიშება და მათი გადატანა შრომის აღრიცხვის წიგნაკებში.

გამოკვლევის საქმეში ჩაბმულნი უნდა იქნენ კოლმეურნეები, ბუხჰალტერ-მოანგარიშეები, აგრონომები, კომკავშირელები და ყველა ადგილობრივი ძალები, რომელთაც უშუალო დახმარებას გაუწევენ რაიკოლმეურნეობათა კავშირები. რაიონულ გაზეთებმა უნდა უზრუნველყონ შრომის აღრიცხვის მოწესრიგების მიმდინარეობის და შედეგების ოპერატიული გაშუქება.

—ლი.

სიტყვიდან გადავიდეთ საქმეზე

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონში, **97 კოლმეურნეობიდან ფაქტიურად მხოლოდ 20 კოლმეურნეობაა გადასული მუშაობის სანარდო სისტემაზე.** არიან ისეთი სას. - სამ. არტელები, სადაც სანარდო სისტემაზე გადასვლის საკითხი არ დამუშავებულა და არ არის დაწყებული გამომუშავების მტკიცე ნორმები (სოფ. ცლუნკაანი, 4 სას. -/ სამ. არტელი, მირზაანი, „შირაქის ველი" და სხვ.).

ზოგ კოლმეურნეობებში მოუგვარებელია ანგარიშწარმოების საკითხი (ანაგა, ვაქირი, ოზაანი, ცლუნკაანი და სხვ.), რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეებში.

კოლმეურნეობათა რაიკავშირის არ აქვს საშუალება, მოაწესრიგოს ანგარიშწარმოება კოლმეურნეობებში, რადგან რაიონში მხოლოდ ერთი ინსტრუქტორ - ბუხჰალტერი მუშაობს. არიან ისეთი კოლმეურნეობებიც. რომლებსაც მოანგარიშეები სრულიად არ ჰყავთ.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოსაწესრიგებლად და სანარდო სისტემის ნამდვილად გასატარებლად.

ქიზიყელი.

ვინ შეაფერხა აღრიცხვის საქმე

(ტყიბული)

ტყიბულის რაიონში შრომის აღრიცხვის ხუთდღიური ლაშქრობა დაიწყო 3 ივლისიდან. ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მობილიზაცია გაუკეთდა მოანგარიშე - აღმრიცხველებს, რომლებიც გაიგზავნენ სოფლად სამუშაოდ.

ხუთდღიური ლაშქრობის დროს გამოირკვა, რომ კოლმეურნეობებში ვერ იყო მოწესრიგებული შრომის აღრიცხვის საქმე, ზოგიერთ კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის მნიშვნელობა ვერ არის სათანადოთ განმარტებული, კოლმეურნეებმა არ იციან თუ რა უპირატესობა აქვს მუშაობის სანარდო სისტემას. (მაგ. სოფ. ჯონიის).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მიმაგრებული ამხანაგები (ხუთდღიური ლაშქრობის დროს) არ წავიდნენ კოლმეურნეობებში სამუშაოდ (მაგ., რაიონული მუშაკები: ბ. ჭეიშვილი, ბ. ცირეკიძე, ბ. მხეიძე და სხვ.) რის გამო— აღრიცხვის საქმე შეფერხდა ოჯოლის, ახალდაბის, საჩხერეს და სხვ. კოლმეურნეობებში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ყველა იმათ მიმართ, რომელნიც აბრკოლებენ შრომის აღრიცხვის მოწესრიგებას კოლმეურნეობებში.

გ—ძე.

შრომის აღრიცხვის საკითხების დამუშავება ს. სამიქაოს კოლმეურნეობაში (სენაკის რაიონი)

შრომის აღრიცხვის მდგომარეობა კოლმეურნეობებში

კოლმეურნე ქალები აქტიურად მუშაობენ

საგარეჯო, 15 ივლისი. სოფ. ნინოწმინდის ამხ. შ. მათიკაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა და მოზარდთა შრომა. სანარდო სისტემის შემოღებამ კოლმეურნეობაში გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ამჟამად ქალები არ ჩამორჩებიან მუშაობაში მამაკაცებს.

კოლმეურნეობას ცალკე აქვს გამოყოფილი საბოსტნე ფართობი, რომელსაც მთლიანად ქალები უვლიან და მუშაობაც სანიმუშოდ აქვთ დაყენებული. შექმნილია ქალთა ბრიგადები, რომელთაც გამომუშავების ნორმების შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ქალთა ბრიგადის თვითეულმა წევრმა უკვე იცის თუ რაზე მუშაობს ის და რამდენი შრომა-დღე ერგება მას ამ სამუშაოში.

ბოსტანში კარგად არის დაყენებული მორწყვის საქმე და ამიტომაც მოსავალს კარგი პირი უჩანს. ქალთა ბრიგადებს შორის გამოყენებულია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

საჭიროა მათზე უფრო მეტი ხელმძღვანელობის გაწევა.

თ. ჩიღოშვილი.

—:—

მოვაწყოთ მოძრავი სამზარეულოები

ლანჩხუთი, 14 ივნისი. ჩოჩხათის სას. საბჭოში შემავალ კოლმეურნეობების საქმიანობას დიდად აფერხებს მოძრავი სამზარეულოების უქონლობა. ხშირად კოლმეურნეები სახლში მიდიან სასადილოთ, რაც ძალზე აფერხებს მათ მუშაობას.

მოძრავი სამზარეულოების მოწყობის საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს.

თავართქილაძე.

—:—

კულტმუშაობა სუსტია

მარტვილი, 15 ივლისი. ნაგვაზავოს სას. საბჭოში არსებობს ცხრა კოლმეურნეობა. აღნიშნულ კოლმეურნეობებში კულტმუშაობის საქმე ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე კოლმეურნეობის შესწავლის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ **ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო არტელებში ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული არტელის წესდება.**

კოლმეურნეობებში კულტმუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი არიან ამხანაგები, მაგრამ ისინი არაფერს არ აკეთებენ. საჭიროა მათი ამოქმედება.

ზ. სურმავა.

—:—

მეტი ყურადღება ხარისხს

სიღნაღი, 15 ივლისი. **ზემო-ბოდბის** სახ. სამ. არტელი—„ნაპერწკალი" გადაყვანილია მუშაობის სანარდო სისტემაზე.

სანარდო სისტემამ საგრძნობლად ასწია შრომის ნაყოფიერება. მაგალითად: წინად ერთი ჰექტარი მიწის გათოხვნას დღიურად უნდებოდა—20-25 კაცი, სანარდო სისტემის შემოღების შემდეგ კი ჰექტარის გათოხვას სჭირდება—12—15 კაცამდე.

აღსანიშნავია მხოლოდ ის რომ დამუშავების შესრულების ხარისხი ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ არის, რასაც ბრიგადებმა ყურადღება უნდა მიაქციონ.

დ. წ.

წყალდიდობა საქართველოში

მტკვრის დონემ დაიკლო

16 ივლისს ღამით მდ. მტკვარმა კლება დაიწყო. ღამის 12 საათზე მდინარის დონემ 4 მეტრი და 16 სანტიმეტრიდან დაიკლო 3 მეტრსა და 70 სანტიმეტრამდე. 17 ივლისს დილით მტკვრის დონე უკვე 2 მეტრს და 70 სანტიმეტ. უდრიდა ხოლო ნაშუადღევს — 2 მეტრსა და 98 სანტიმეტრს. წყალმა განთავისუფლა რიყის უბნის ქუჩები. 2 დღის განმავლობაში ქუჩები იმდენათ დაუზიანებია წყალს, რომ მიმოსვლა ჯერ - ჯერობით მაინც შეუძლებელი ხდება.

წყალდიდობა თბილისში.—რიყის ერთ-ერთი ქუჩა, დაფარული წყალით

ზაჰესი ნორმალურად მუშაობს

16 — 17 ივლისს ღამით განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებდა ზაჰესის არხის სათავის გასაწმენდათ. 17 ივლისს დილიდან ზაჰესის გენერატორები ამუშავდა და თბილისის საწარმოებისათვის დენის მიწოდება განახლდა გუშინ, თბილისის მრეწველობა შეუფერხებლად მუშაობს.

აღდგენილია აგრეთვე ხაზი ზაჰესისა და კასპის ცემენტის ქარხანას შორის.

17 ივლისიდან შეუფერხებლივ მუშაობდა თბილისის ტრამვაიც, რომელიც ზაჰესის ენერგიაზე დილიდანვე იქნა გადაყვანილი.

განახლებულია აგრეთვე ქალაქის წყალსადენისათვის ენერგიის მიწოდება. წყალსადენმა სრული დატვირთვით მუშაობა დაიწყო დილიდანვე.

ცნობები ადგილებიდან

ფასანაური შემორტყმულია წყლით

გუშ, საქ. სახკოსაბჭოს ფასანაურიდან მოუვიდა შემდეგი ცნობა:

„15 ივლისს მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ გამოიწვია მდ. არაგვის არაჩვეულებრივად ადიდება. არაგვი გადადის კალაპოტიდან და წალეკვით ემუქრება ნათესების ახალ ფართობებს. თვით ობა ფასანაური შემორტყმულია წყლით. წყალდიდობამ გამოიწვია მეწყრები.

მდ. არაგვზე აგებული წისქვილები წაღებულია. წალეკილია დიდძალი ნათესები და ბაღ-ბოსტნები. წყალი ემუქრება გლეხების საცხოვრებელ ბინებსაც. საქართველოს სამხედრო გზატკეცილი წალეკილია 5 კილომეტრის მანძილზე. მოძრაობა სრულებით შეწყდა. ტელეფონის ხაზი გაფუჭებულია, სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია.

წყალდიდობისაგან გამოწვეული ზარალი ერთ მილიონ მანეთს აღემატება. არის ადამიანთა მსხვერპლი. ჯერ - ჯერობით ნაპოვნია მხოლოდ ერთი გვამი, ხოლო სულ რამდენი კაცია დაღუპული, არავინ იცის. ფასანაურის მცხოვრებთა ნაწილი გადასახლებულია ახლო - მახლო სოფლებში.

თუ წვიმა არ შესწყდა ფასანაურს წალეკვა მოელის. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

ცხინვალ - გორს შორის შესწყდა ტელეფონისა და ტელეგრაფის მუშაობა

გორი, 17 ივლისი. დაახლოებითი გამოანგარიშებით გორის რაიონში მარტო კარალეთის, ტყვიავის, მერეთის და გორის სასოფლო საბჭოების ფარგლებში წალეკილია 3.00 ჰექტარი ნათესი.

წყალდიდობამ გამოიწვია აგრეთვე გორი - ცხინვალის გზატკეცილის გაფუჭება. გზა - ტკეცილის გზაზე წაქცეულია ტელეგრაფის და ტელეფონის ბოძები და დაწყვეტილია ხაზები. ცხინვალთან კავშირი აღარ არსებობს. გზა - ტკეცილზე გამდგარი წყალის სიღრმე ერთ მეტრამდე აღწევს.

მერეთის მახლობლად არსებული რკინის ხიდი ძლიერ დაზიანებულია. სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია სოფლებთანაც. თვით ქალაქ გორში ადიდებული ლიახვი და ფშანი ემუქრებიან შენობებს. მოვარდნილმა წყალმა უკვე დაანგრია ერთი ორსართულიანი შენობა. 16 ივლისამდე განუწყვეტლივ წვიმდა, მაგრამ შემდეგ წვიმა შესწყდა. ამინდი ისევ ღრუბლიანია, მოსალოდნელია მდინარეების ხელ-ახალი ადიდება.

განუწყვეტელმა წვიმებმა შეაფერხეს თივის აღება. თივა მინდვრად ყრია და წყალში ფუჭდება. წყალდიდობისაგან გამოწვეული ზარალი დიდია.

ვ. სიხარულიძე.

წყალდიდობა გარე - კახეთში

საგარეჯო, 17 ივლისი. ასეთი წყალდიდობა გარე - კახეთში არავის ახსოვს. ადიდებულმა იორმა გაანადგურა ნათესები, მოიტაცა მომკილი პური, წალეკა კოლმეურნეობებისა და კოოპერაციის ნათესები და გაანადგურა ბაღ - ბოსტნები.

ადიდებული მდინარე დანგრევით ემუქრება იორის ხიდს. ზარალი ირკვევა. წყალდიდობასთან საბრძოლველად მიღებულია ზომები.

გარე - კახეთის რაიაღმასკომი.

მდ. კოდორის ადიდება

სოხუმი, 17 ივლისი. უკანასკნელი კოკისპირული წვიმების შედეგად მდ. კოდორი ძალზე ადიდდა. წყლით დაფარულია კოდორის ხე - ტყის ქარხნის ტერიტორია. წყალი თვით ქარხანასაც ემუქრება. წალეკილია ვიწრო ლიანდაგიანი გზა, ხე - ტყის ნაწილი წყალმა ზღვისკენ წაიღო. დატვირთული ხე - ტყის მთავარი მასალა შეჩერებულია ქარხნის ზევით, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. წვიმა გრძელდება. ქარხანაში გაემგზავრა კომისია წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალის გამოსარკვევად. (ადს).

წყალდიდობის შედეგების გამორკვევა

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში და საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით იმ რაიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა წყალდიდობას, გამოყოფილია კომისიები, რომლებსაც მიენდო წყალდიდობის შედეგების გამორკვევა.

ადგილებზე დაგზავნილი არიან სპეციალისტები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ მომავალში წყალდიდობასთან ბრძოლის საშუალებები. სპეციალისტებს დავალებული აქვთ ხელმძღვანელობა მდინარეების ნაპირების გამაგრებას იმ ადგილებზე, საიდანაც წყალი გადაიჭრა ნათესებისა და დასახლებულ ადგილებისაკენ.

სამუშაოების ხელმძღვანელად დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავის მოადგილე ამხ. **ი. ბურდიაშვილი**, და გორის რაიონში იმავე სამმართველოს საექსპლოატაციო სექტორის უფრ. ინჟ. **გ. ჩხეიძე**.

ტირიფონის სარწყავი სისტემის დასაცავად წყალდიდობისაგან ზომები დაუყოვნებლივ მიიღო არხის სამშენებლო სამუშაოთა უფროსმა ინჟ. **ლიაძემ**, რომელიც იუწყება, რომ წყალდიდობას სარწყავი სისტემა არ დაუზიანებია.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული ფელეტონი: „ჟორდანია და მეფის ოხრანკა"—შეცდომით არ არის ხელმოწერილი. წერილი ეკუთვნის ამხ. **მამია ორახელაშვილს**.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უგვიანეს პირველი აგვისტოსი თვითეულმა კოლმეურნემ უნდა იცოდეს შემოსავლის განაწილების წესი

დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილება 1931 წელს კოლმეურნეობებში შემოსავლის სანიმუშო განაწილების შესახებ

თავი I.

კოლმეურნეობებში შემოსავლისა და მოსავლის სწორ განაწილებას დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და კოლმეურნის შრომის წიგნაკში ჩაწერილი შრომა-დღეების რაოდენობის თანახმად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა საწარმოო განმტკიცებისათვის, თვითეული კოლმეურნის მატერიალური დაინტერესების გადიდებისათვის მუშაობაში, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების აწევისა და საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდისათვის.

კოლმეურნეთა ძირითადი მასის გამოცდილების ზრდის შესაბამისად, მიმდინარე წელს ყველა რაიონებში და ყველა კოლმეურნეობებში აუცილებლად აღმოფხვრილ უნდა იქნას ის ნაკლოვანებანი შემოსავლის განაწილებაში, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულ წელს. ეს ნაკლოვანებანი გამოიხატა: 1) შემოსავლის განაწილებაში სულადობისა და არა დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, 2) კულაკური აგიტაციის გავლენით პირველ ნალეწის პურის კოლმეურნეთა შორის ერთიანად მთელი წლისათვის წინდაწინვე განაწილებაში, რაც არღვევდა შრომის დისციპლინას და რაც იყო 1930 წლის მოსავლის აღების დროს დიდი დანაკარგის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი.

3) კოლმეურნეთათვის ფულადი და ნატურალური ავანსების გაცემის წესიერი ორგანიზაციისა და ამ საქმეზე კონტროლის გაწევის უქონლობაში,

4) იმაში, რომ არევდარეული იყო კოლმეურნეობის შემოსავლის აღრიცხვა და არ არსებობდა კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომის სწორი აღრიცხვა,

5) იმაში, რომ არევდარეული იყო ანგარიშის გასწორება კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის,

6) კოლმეურნეთა მასის მიერ მონაწილეობის არასაკმაო მიღებაში, როცა ირჩეოდა შემოსავლის ფულადი და ნატურალური ნაწილის განაწილების წესი და იმაში, რომ დაყოვნდა შემოსავლის განაწილება,

7) სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოების მიერ შემოსავლის განაწილების პრაქტიკისათვის აშკარა არასაკმაო ხელმძღვანელობის გაწევაში.

იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას წარსული წლების შეცდომები, რაც დაშვებული იყო შემოსავლის განაწილების დროს, საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და კოლმეურნეობათა ცენტრი ავალებენ სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

თავი II.

1. შემოსავლის კარგად განაწილება შეუძლებელია ისე, თუ ზუსტად არ იქნა აღრიცხული კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომა და მათ მიერ ფულად და ნატურით მიღებული ყველა ავანსები. ამიტომ თვითეული კოლმეურნეობა ვალდებულია, სანამ მოსავლის აღება დაიწყებოდეს, სრულიად წესიერ მდგომარეობაში მოიყვანოს კოლმეურნისათვის შრომის წიგნაკში ჩანაწერი, მის მიერ გამომუშავებული შრომა-დღის რაოდენობა და აგრეთვე გამომუშავებული შრომა-დღეების ანგარიშში კოლმეურნისათვის ფულად და ნატურით მიცემული ავანსები, რომ ამის შემდგომ არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული შრომა-დღის ჩაწერის დაგვიანება კოლმეურნის წიგნაკში, რაც უნდა ხდებოდეს ერთხელ მაინც ხუთ დღეში.

2. კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია განსაკუთრებული გულდასმით მოაწყოს მთელი აღებული მოსავლის აღრიცხვა, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას პროდუქტების ჩაყრა და დაწყობა შესაფერისი ჩაწერის გარეშე, რისთვისაც უნდა იქნას შეძენილი სასწორები საკმაო რაოდენობით, ხოლო თუ სასწორების შეძენა შეუძლებელი იქნება მაშინ რაოდენობის შემოწმება უნდა მოეწყოს უმარტივესი წესით: საწყავების, ყუთების, ტომრებისა და სხვა ამგვარი საშუალებით.

3) კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიები ვალდებული არიან ერთხელ მაინც თვეში შეამოწმონ პროდუქტებისა და მასალის აღრიცხვის სისწორე და ის, დროზე ხდებოდა თუ არა მიღებული შემოსავლისა და გასავლის ჩაწერა, დროზე და სისწორით ხდებოდა თუ არა შრომა-დღეების ჩაწერა კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში.

არა უგვიანეს 1 აგვისტოსა—სამხრეთის რაიონებში—და არა უგვიანეს 15 აგვისტოსი—დანარჩენ რაიონებში—სარევიზიო კომისიამ თვითეულ კოლმეურნეობაში უნდა მოახსენოს კოლმეურნეთა საზოგადო კრებას (ან რწმუნებულთა კრებას) კოლმეურნეთა ანგარიშსწორების წიგნაკებში შრომა-დღეების ჩაწერის შედეგების შესახებ.

თავი III.

კოლმეურნეობის საერთო შემოსავლიდან კოლმეურნეებს შორის განაწილებულ უნდა იქნას.

ა) სასურსათო მარცვალი და დანარჩენი პროდუქტები, გარდა ისეთებისა, რაც უნდა იქნას ჩაბარებული (გაყიდული) კონტრაქტაციის წესით, და გარდა სათესლე, სადაზღვევო და სპეციალური სასურსათო ფონდებისა, რომელთა შექმნა ხდება კოლმეურნეთა დადგენილებით;

ბ) პირუტყვის საკვები, გარდა ისეთისა, რაც უნდა ჩაბარდეს (მიეყიდოს) სახელმწიფოს, გარდა საფურაჟო ფონდებისა, რომელთა გადადებაც ხდება სასაქონლო ფერმებისათვის და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ჯოგისათვის, და გარდა სადაზღვევო საფურაჟო ფონდებისა;

გ) ფულადი სახსრები, გარდა იმისა, რაც ვალისა და გადასახადების გასასტუმრებლად უნდა იქნას გაღებული, აგრეთვე იმ სახსრების გარდა, რომელთა გადადებაც ხდება კაპიტალური მშენებლობის გეგმის უზრუნველსაყოფად, ინვენტარისა და მასალის საყიდად და სხვა ხარჯების გასაწევად მეურნეობის გაძღოლის საჭიროებისათვის და გადარიცხვათა საწარმოებლად სპეციალურ საზოგადოებრივ ფონდებში.

2) იმ კოლმეურნეობებში, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა საშემოდგომო ნათესების განსაზოგადოება, საერთო კრების დადგენილებით უნდა მოხდეს ასეთების განსაზოგადოება და მათი შეტანა კოლმეურნეობის საერთო შემოსავალში. საშემოდგომო ნათესების აღება კოლექტიურად ხდება.

კოლმეურნეთა საერთო კრება განიხილავს და ადგენს იმ წესსა და პირობებს, რომელთა საფუძველზედაც ხდება საშემოდგომო ნათესების განსაზოგადოება.

3) ყველა შრომა-დღეები, რაც გამომუშავებული ექნებათ კოლმეურნეებს 1931 წლის 1 იანვრიდან 1932 წლის 1 იანვრამდე, კერძოდ საშემოდგომო, თესვის, საანეულო მოხვნის, მრავალწლოვანი მცენარეების (ბაღახის, ბაღისა და სხვ.) დამუშავებისა და კაპიტალურ მშენებლობაზე მუშაობის დროს, უნდა ჩაეთვალოთ მათ 1931 წლის შემოსავლის განაწილების დროს.

თავი IV.

საერთო შემოსავლის სასურსათო ნაწილი შემდეგნაირად ნაწილდება:

1) უნდა იქნას შესრულებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულება სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების (მიყიდვის) შესახებ;

2) უნდა შეიქმნას სათესლე ფონდი იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს 1932 წლის და სათესი ფართობის გაფართოებას არა ნაკლებ, ვიდრე 10-20 პროცენტით, 1932 წლისათვის კოლმეურნეობის ნათესების გაფართოების გეგმის შესაბამისად, და სადაზღვევო სათესლე ფონდი—სათესლე ფონდის 10-15 პროცენტის რაოდენობით;

3) იქმნება სპეციალური სასურსათო ფონდი:

ა) იმ კოლმეურნეთა ოჯახების მოსამარაგებლად, რომელთაც ჰყავთ შრომის უნარიანი წევრების მცირე რაოდენობა და რომელთაც, მიუხედავად კეთილსინდისიერი მუშაობისა, ვერ გამოიმუშავეს შრომა-დღეების ის რაოდენობა, რაც საჭიროა ოჯახის სურსათით უზრუნველსაყოფად;

ბ) იმ მასწავლებლების, აგრონომების, ზოოტეხნიკოსებისა და ექიმვეტერინარების მოსამარაგებლად, რომლებიც კოლმეურნეობას ემსახურებიან;

გ) გარეშე სამუშაოებზე გამსვლელთა და მათი ოჯახების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ვერ მიიღეს მათთვის საჭირო სასურსათო პური და საკვები პირუტყვისათვის იმის გამო, რომ ოჯახში არ იყო შრომისუნარიან წევრთა საკმაო რაოდენობა, იმ ვარაუდით, რომ გარე სამუშაოზე გამსვლელებმა და მათმა ოჯახებმა მიიღონ სურსათი და საკვები იმდენივე, რამდენსაც ღებულობს ის კოლმეურნე, რომელიც კეთილსინდისიერად მუშაობდა კოლმეურნეობაში. თუ გარე სამუშაოზე გამსვლელის ოჯახის შრომის უნარიანი წევრები უარს აცხადებენ კოლმეურნეობაში მუშაობაზე, ამ შემთხვევაში გარე გამსვლელის ოჯახს ეს შეღავათი არ ეძლევა.

შენიშვნა: მესამე პუნქტში მოხსენებულ სასურსათო ფონდიდან კოლმეურნეობა გაცემას აწარმოებს დაწესებულ სახელმწიფო ფასებში.

4) სასურსათო პროდუქტების მთელი ძირითადი მასა, რასაც უნდა გამოაკლდეს კონტრაქტაციის წესით ჩაბარებული (გაყიდული) და სათესლე, სადაზღვევო და სპეციალურ სასურსათო ფონდებში გადადებული ნაწილი, ნაწილდება კოლმეურნეებს შორის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, თანახმად გამომუშავებულ შრომა-დღეებისა, რაც ჩაწერილი იყო კოლმეურნის შრომის წიგნაკში.

შენიშვნა 1. იმისდამიხედვით, თუ როგორ იწარმოებს გალეწვა და კოლმეურნეობის მიერ კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, კოლმეურნეობებს ეძლევათ ავანსები სასურსათო პროდუქტების სახით, პროდუქციის მათი ხვედრი წილის ანგარიშში, მათ მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების შესაბამისად. ავანსები მათ ეძლევათ კოლმეურნეობის მიერ დაწესებული რაოდენობით.

შენიშვნა 2: თვითეულ კოლმეურნეობაში, იმისდამიხედვით, თუ როგორია კოლმეურნეებს შორის გასანაწილებელი სასურსათო პროდუქტების რაოდენობა, უნდა იქნას დაწესებული სასურსათო მარცვლეულის უმაღლესი ოდენობა, რაც ეძლევა იმ კოლმეურნეს, რომელმაც გამოიმუშავა შრომა-დღეების უდიდესი რაოდენობა, ამასთან ამ დაწესებული რაოდენობის ზევით ხვედრ შემოსავალს კოლმეურნე ფულად ღებულობს. ის კოლმეურნე, რომელმაც შრომა-დღეების ნაკლები რაოდენობა გამოიმუშავა, ღებულობს, უკეთეს კოლმეურნეებთან შედარებით, სასურსათო მარცვლეულის ნაკლებ რაოდენობას.

თავი V.

კოლმეურნეობის საკვები პროდუქცია შემდეგნაირად ნაწილდება:

ა) უნდა იქნას შესრულებული სახელმწიფოსათვის ყველა საკვების იმ რაოდენობით ჩაბარების (მიყიდვის) გეგმა, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით კონტრაქტაციის შესახებ;

ბ) არსდება უხეში და კონცენტრირებული საკვებისაგან საფურაჟო ფონდი სასაქონლო საკოლმეურნეო ფერმებისა და კოლმეურნეობის განსაზოგადოებული პროდუქტიული, მუშა პირუტყვისათვის და აგრეთვე სათადარიგო საფურაჟო ფონდი მეცხოველეობის განზრახული გაფართოებისათვის. განსაზოგადოებული პირუტყვისათვის გადადებული ფონდიდან გამოყოფილ უნდა იქნას ხელუხლებელი ნაწილი მუშა პირუტყვისათვის საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და გატარების დროის განმავლობაში.

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის გადარიცხული საკვები ენახება სასაქონლო ფერმებს და მათი დახარჯვა შეიძლება მხოლოდ სასაქონლო ფერმების საჭიროებაზე;

გ) მთელი საკვები, რაც დარჩება კონტრაქტაციის წესით დადებული ხელშეკრულების შესრულებისა და საფურაჟო და სათადარიგო საფურაჟო ფონდების შექმნის შემდეგ, ნაწილდება იმ კოლმეურნეთა შორის, რომლებსაც პროდუქტიული პირუტყვი ჰყავთ, კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობის მიხედვით და იმის მხედველობაში მიღებით, თუ რამდენი პროდუქტიული პირუტყვი ჰყავს მას ნამდვილად.

შენიშვნა: იმ კოლმეურნეებს, რომელთაც არ ჰყავთ პროდუქტიული პირუტყვი, შემოსავლის მათ ხვედრ ფურაჟის ნაცვლად ფული ეძლევათ.

დ) კოლმეურნეს, რომელიც პროდუქტიულ პირუტყვს მოსავლის განაწილების შემდეგ გაიჩენს, შეუძლია მიიღოს საკვების საჭირო რაოდენობა მის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების შესაბამისად, სათადარიგო საფურაჟო ფონდიდან.

თავი VI.

კოლმეურნეობათა შემოსავლიდან გადასახადების, დაზღვევის თანხისა და იმ კრედიტების ვალების გამორიცხვის შემდეგ, რომელთა გადახდაც 1931 წელს უნდა მოხდეს, კოლმეურნეობამ უნდა გადარიცხოს:

1) განუყოფელ ფონდში—ძველმა კოლმეურნეობებმა 15 პროც., ხოლო 1930 წლის ოქტომბრის შემდეგ დაარსებულმა კოლმეურნეობებმა —10 პროც. ამ ფონდის დანიშნულებაა შეძენილ იქნას მანქანები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და მოხმარდეს ის კაპიტალურ მშენებლობას;

განუყოფელი ფონდი ფულადი სახით უნდა იქნას გამოყოფილი.

2) 2 პროც.—კოლმეურნეთა მიერ განსაზოგადოებული ქონების მიხედვით გასანაწილებლად, უმთავრესად, მათ მიერ განსაზოგადოებული პროდუქტიული პირუტყვის ღირებულების მიხედვით.

3) 1 ნახ. პროც.—საპრემიო ფონდში საუკეთესო კოლმეურნეების, დამკვრელებისა და ბრიგადირებისათვის პრემიების მისაცემად.

4) 1 ნახ. პროც.—სხვადასხვა კურსებზე გაგზავნილ კოლმეურნეთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

შენიშვნა: იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის გატარებული მთლიანი კოლექტივიზაცია, მე-2, 3 და 4 პუნქტებში აღნიშნული ფონდი ნაწილდება განსაზოგადოებული ქონების მიხედვით. ამ ფონდის რაოდენობა განისაზღვრება შემოსავლის 5 პროცენტით.

5) 2 პროც.—კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდში.

6) ფულადი თანხების მთელი ძირითადი მასა, გარდა ზემოდასახელებულ ფონდებში გადარიცხვისა და აგრეთვე იმ თანხისა, რაც მოუნდება საწარმოო ხარჯების გასტუმრებას, ნაწილდება კოლმეურნეებს შორის. თვითეულის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობისა შესაბამისად და ამ რაოდენობის მის შრომის წიგნაკში ჩაწერის თანახმად.

თავი VII.

შემოსავლის განაწილების წესსა და ვადებს ამზადებს კოლმეურნეობის გამგეობა და ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება, რომლის დროსაც საჭიროა ხელმძღვანელობა შემდეგი დებულებებით:

1. კოლმეურნეობათა გამგეობანი ვალდებულნი არიან გაანაწილონ კოლმეურნეებს შორის 1931 წ. შემოსავლის მათი ხვედრი წილი არა უგვიანეს 1932 წლის 15 იანვრისა.

2. კოლმეურნეთა საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, ვიდრე საბოლოოდ იქნებოდეს განაწილებული შემოსავალი კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით, კოლმეურნეებს შეიძლება მიეცეთ ფულადი და ნატურალური ავანსები მხოლოდ კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების ანგარიშში, ამასთან ავანსები შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ კოლმეურნეებს, რომლებიც ასრულებენ კოლმეურნეობების გამგეობათა შრომითი დავალებებს.

3. კოლმეურნეებთან საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს შემოსავლის მათი ხვედრი წილის საერთო თანხიდან უნდა იქნას გამორიცხული ყველა ნატურალური და ფულადი ავანსები, რაც მიცემული ჰქონდათ კოლმეურნეებს წლის განმავლობაში.

4. კოლმეურნეობათა გამგეობებს უფლება ენიჭებათ არ მისცენ ნატურალური და ფულადი ავანსები იმ კოლმეურნეებს, რომლებიც ცუდად მუშაობენ მოსავლის აღების დროს, საშემოდგომო თესვისა და საანეულო მოხვნის დროს, ამასთან ავანსების მიცემა ასეთ კოლმეურნეთათვის უკანასკნელ რიგში უნდა იქნას მოქცეული.

5. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს, რათა მათ 1931 წლის 1 ოქტომბრისათვის, სამხრეთ რაიონებში, და 1 ნოემბრისათვის, დანარჩენ რაიონებში, დაახლოებით განსაზღვრონ კოლმეურნეთა შორის გასანაწილებელი შემოსავლის რაოდენობა და მისცენ კოლმეურნეებს, მათ მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობის შესაბამისად, შემოსავლის მთელი მათი ხვედრი წილის ორ მესამედამდე იმ პირობით, რომ დანარჩენი მესამედი ნაწილი მიეცეს მათ ანგარიშის საბოლოოდ გასწორების დროს არა უგვიანეს 1932 წლის 15 იანვრისა.

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და კოლმეურნეობათა ცენტრი ავალდებულებენ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და კოლმეურნეობათა რაიონულ კავშირებს — მოაწყონ ამ დადგენილების ფართოდ განხილვა ისე, რომ თვითეულმა კოლმეურნემ იცოდეს შემოსავლის განაწილების წესი არა უგვიანეს პირველი აგვისტოსი.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, კოლმეურნეობათა ცენტრებს, საოლქო-სამხარეო საადგილმამულო სამმართველოებსა და კოლმეურნეობათა საოლქო-სამხარეო კავშირებს — მოაწყონ ამ დადგენილების განუხრელად შესრულების მასიური შემოწმება.

მიმდინარე წელს არც ერთი კოლმეურნეობაში არ უნდა იქნას დაშვებული არც ფულადი და არც ნატურალური შემოსავლის განაწილება სულადობის მიხედვით.

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობა მოაგონებენ ყველა კოლმეურნეებს საბჭოების მე-6 ყრილობის სავალდებულო დადგენილებას, რომელშიაც ნათქვამია:

„შემოსავლის (როგორც ფულადის, ისე ნატურალურის) განაწილებას კოლმეურნეთა მიერ არა დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის, არამედ სულადობის მიხედვით ძალიან ხშირად ჰქადაგებენ კულაკები და კოლმეურნეობათა დანარჩენი მტრები, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ საკოლმეურნეო საქმე. სხვისი შრომით ხელის მოთბობის ასეთ მოხალისეებს უარესად გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს და იქნას მიღებული ზომები მათი კოლმეურნეობებიდან გამორიცხვამდეც კი. საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება პრინციპის მიხედვით — ვინც მეტს და უკეთ მუშაობს, იგი მეტსაც ღებულობს, ხოლო ვინც არ მუშაობს, იგი არაფერს არ ღებულობს — უნდა გადაიქცეს წესად ყველა კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობებისათვის“.

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ი. იაკოვლევი.

კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ტ. იურკინი.

---

16 ივლისისათვის დანიშნული

პარტაქტივის საქალაქო კრება

მოწვეულია დღეს, **18 ივლისს**, საღამოს სრულ 7 საათზე, სტალინის სახელობის კლუბის საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის № 125)

დღის წესრიგი:

საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის და ა. კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგები—მომხსენებელი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს მდივანი ამხ. **ხ. მამულია.**

საკ. კ. პ. (ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის და სამხარეო საკონტროლო კომისიის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს და ცენტრ. საკ. კომისიის, საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის და თბ. საკონტრ. კომისიის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები სპეციალური ბილეთებით.

ბილეთები მიეცემათ უჯრედის მდივნებს თბ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის მდივანი: ტერ-ვართანოვი.

---

26 კომუნარის სახელობის ქარხანა. ამწევი ონკანების მონტაჟი

პარტიულ-საბჭოთა მუშაობის მდგომარეობის შესახებ ცაგერის რაიონში

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1931 წლის 11 ივლისის დადგენილება)

ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელმაც მოისმინა ცაგერის რაიკომის მდივნის ამხ. ღრაგველიძის მოხსენება და ცენტრალური კომიტეტის კომისიის თანამოხსენება პარტიულ-საბჭოთა მუშაობის მდგომარეობის შესახებ ცაგერის რაიონში, აღნიშნავს, რომ გაზაფხულის პერიოდში რამდენიმედ გაიზარდა სოფლის მეურნეობის ფართობი და პროდუქცია (ხილის ახალი ნაშენი—76 ჰექტ., ვენახის—27 ჰექტ., თუთის ხის—26 ჰექტ.), საგრძნობლად გაიზარდა კოლექტივიზაცია (46 პროც.) და რამდენიმედ გაუმჯობესდა პარტიულ-საბჭოთა მუშაობა რაიონში.

ამასთან ერთად, ცენტრალური კომიტეტის ბიურო ცაგერის რაიკომის და პარტორგანიზაციის მუშაობაში აღნიშნავს მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ხასიათის უხეშ შეცდომებს, როგორიცაა, ერთი მხრით, მტკიცე დავალებების მიცემა კოლმეურნეებისა და ღარიბ-საშუალო გლეხობისათვის ([illegible]ზუბი, ლუხვანო), ღარიბ და საშუალო გლეხების შეზღუდვა მათ მიერ თავიანთი პროდუქციის რეალიზაციაში, ადმინისტრატიული იძულების მეთოდების გამოყენება, მეორეს მხრით—კულაკურ-შეძლებულ ფენის არასაკმაო გამოვლინება და მასთან—მტკიცე დავალებების მიუყვანლობა (ჩხუცელი, ორბელი), საკოლმეურნეო მოძრაობის არასაკმაო ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეცდომების დაშვება მიწათმოწყობის ჩატარების დროს და, ბოლოს, თესვის კამპანიის გეგმის არადამაკმაყოფილებელი განხორციელება.

ყველა ზევით აღნიშნული დეფექტები და შეცდომები ნაწილობრივ წარმოადგენენ პარტორგანიზაციის რიგების და საბჭოთა-პარტიული ორგანოების უცხო ელემენტებით ნაწილობრივ დანაგვიანების შედეგს.

ცენტრალური კომიტეტის ბიურო არადამაკმაყოფილებლად სცნობს ცაგერის რაიკომის ხელმძღვანელობას და პარტორგანიზაციის მდგომარეობას.

ცენტ. კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ არსებული შეცდომების და დეფექტების აცილება და თავის დროზე გამოსწორება შეიძლებოდა, რომ რესპუბლიკანურ და რაიონულ ორგანიზაციების მხრით ადგილი ჰქონოდა სათანადო ყურადღებას და ხელმძღვანელობას ადგილობრივი ორგანოებისა და ცალკე სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიების მიმართ.

ყოველივე ზემოდ ნათქვამის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტი ბიურო რესპუბლიკანურ ორგანოების და ცაგერის პარტორგანიზაციის წინაშე უახლოესი პერიოდისათვის სახავს შემდეგ ამოცანებს:

1. ვინაიდან ცაგერის რაიონის ფარგლებში ადგილი აქვს საგრძნობ უგზოობას და სატელეფონო კავშირი სრულიად არასაკმაოა, მიენდოს სახკომსაბჭოს სასწრაფო წესით შეუდგეს სამუშაოებს ცაგერ-ალპანის გზის გასაუმჯობესებლად და ცაგერ-წყალტუბოს და ცაგერ-გვირიშის გზების მშენებლობას.

ამავე დროს აუცილებლად იქნას მიჩნეული რაიონის ტელეფონიზაცია ცაგერ-ზუბის და ალპან-ნაყურალეშის მიმართულებით, საერთოდ 60 კილომეტრის მანძილზე.

ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მშრომელთა მობილიზაციაზე რაიონისათვის ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანების გარშემო და მოსახლეობის უშუალო მონაწილეობაზე როგორც სარაიონო, ისე სასოფლო მნიშვნელობის საგზაო მშენებლობაში.

2. ვინაიდან აუცილებელია მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ მეხილეობის და მევენახეობის, შემდგომი გავრცელება, წინადადება მიეცეს რაიკომს მომავალი წლისათვის მიაღწიოს, ძირითადად საკოლმეურნეო სექტორის ხაზით და ადგილობრივი მოსახლეობის საშუალებათა ხარჯზე, ხილის მთლიან ნაშენს 400 ჰექტ., ვენახის—250 ჰექტ., და თუთის ხისას—200 ჰექტარამდე იმ ანგარიშით, რომ 1933 წელში მიღწეულ იქნას ამ კულტურების მთლიანი ნაშენის გაფართოება 2.000 ჰექტარამდე მაინც.

ამ მიზნით მიენდოს მიწსახკომს მიავლინოს რაიონში სპეციალისტები სოფლის მეურნეობის მიკრო დარაიონებისათვის.

3. აღინიშნოს ადგილობრივი რაიკავშირის დამაკმაყოფილებელი მუშაობა და წინადადება მიეცეს ბაღბოსტანკავშირს თავისი ხაზით უზრუნველყოს მატერიალურ-ფინანსიურ დაბანდებებით სასოფლო-სამეურნეო ნაშენების ორგანიზაცია, სანერგეები, გადასარგავები, ხილის სახმობნი და სხვა აგრო-ტეხნიკური დაწესებულებები.

წინადადება მიეცეს ბაღბოსტანკავშირს აუცილებლად დაამთავროს მიმდინარე წელში ხილის სახმობის მშენებლობა სოფ. გვირიშში, „მარანი“-სა, ორბელში და აბრეშუმის პარკის სახმობისა ალპანში.

სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კადრების მოსამზადებლად აუცილებლად ჩაითვალოს რაიონში ახალი სასწავლო წლიდან სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის გახსნა მეხილეობა-მევენახეობის განხრით.

ვინაიდან რაიონში ადგილი აქვს ცრუკოლმეურნეობებს, კოლმეურნეობების დანაგვიანებას უცხო ელემენტებით და ერთგვარ თვითმდინარეობას საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელობაში, წინადადება მიეცეს რაიკომს თავისი მუშაობის მთელი სიმძიმე კოლექტივიზაციის დარგში გადაიტანოს იქითკენ, რომ კოლმეურნეობათა რიგები გასწმინდოს უცხო ელემენტებისაგან და კოლმეურნეთა შორის აღმოფხვრას მესაკუთრეობითი ტენდენციები, განამტკიცოს არსებული კოლმეურნეობები, მთლიანად გადაიყვანოს ისინი სანარდო სისტემაზე, მოაწყოს სახნავი მიწის, მუშა-პირუტყვის და სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების შემდგომ განსაზოგადოებას, ბოლოს, გააუმჯობესოს მუშაობა შრომის ორგანიზაციის და მასიურ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეთა შორის.

წინადადება მიეცეს საქ. სოფლმეურნმომარაგებას და საქსოფლმშენს მთლიანად დააკმაყოფილონ ცაგერის რაიაღმასკომის და კოლმეურნეობათა რაიკავშირის მოთხოვნები მათი საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით და საამშენებლო მასალით (ლურსმანი, შუშა, რკინა და სხ.) მომარაგების საქმეში.

საკოლმეურნეო მოძრაობის საგრძნობი ზრდის გამო, საჭიროდ იქნას ცნობილი კოლმეურნეობათა რაიკავშირის არსებული შტატის შევსება ერთი აგრონომით და ერთი ეკონომისტით.

ცენტ. კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდა და კოლმეურნეობათა მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია პარტიულ-მასიური მუშაობის დაყენების და პარტხელმძღვანელობის ხარისხზე და იმ როლზე, რომელიც უნდა შეასრულონ კ. პ. (ბ) და კომკავშირის წევრებმა, როგორც ხელმძღვანელებმა საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს საფეხურზე აყვანის საქმეში.

5. საკოლმეურნეო, სასკოლო და საბინაო-კომუნალურ მშენებლობის, აგრეთვე ტარის მასალის დამზადების უზრუნველყოფისათვის, საჭიროდ იქნას ცნობილი ჩოლურის სატყეო უბნის საექსპლოატაციოდ გადაცემა ადგილობრივი რაიაღმასკომისათვის. მიენდოს სახკომსაბჭოს ეს საკითხი გააფორმოს სათანადო ორგანოების მეშვეობით.

6. აღინიშნოს, რომ ადგილობრივი რაიაღმასკომი და სასოფლო საბჭოები აშკარად სუსტად მუშაობენ, და საჭიროდ იქნას ცნობილი მათი მობრუნება პირით საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ყოველდღიურ და კონკრეტულ ხელმძღვანელობისაკენ, მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისაკენ, მათი როლის გადიდებისაკენ. სახალხო-სამეურნეო დავალებათა განხორციელებაში, სექციურ და სასოფლო მუშაობის ორგანიზაციისაკენ, დადგენილებათა შესრულების შემოწმებისა და იმ პირთა მოხსნისაკენ, რომელთაც არ შეუძლიათ (თავიანთი სოციალური მდგომარეობით ან მუშაობის უუნარობით) უზრუნველყონ კლასობრივი ბოლშევიკური ხაზის გატარება.

7. აღინიშნოს ერთგვარი გაუმჯობესება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში და დაევალოს ცეკავშირს და რაიკომს სასწრაფოდ დაამთავრონ სამომხმარებლო სისტემის რეორგანიზაცია, დაუყოვნებლივ შეუდგენ ახალი სასურსათო რესურსების შექმნას, კლასობრივი განაწილების სასტიკად დაცვას, ზედნადები ხარჯების შემცირებას და „ნეპმანური“ სულის აღმოფხვრას.

8. ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია მუშაობა ქალთა შორის, განსაკუთრებით კოლმეურნე ქალებს შორის და წინადადებას აძლევს რაიკომს დაუყოვნებლივ შეუდგეს სადელეგატო კრებების ორგანიზაციას, ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებელ კომისიების მუშაობის გაცხოველებას რაიაღმასკომთან, მშრომელ ქალების მობილიზაციას სახალხო-სამეურნეო დავალებათა წარმატებით განხორციელების გარშემო და მათ მასიურ ჩაბმას საკოლმეურნეო მოძრაობაში და საბჭოთა-კოოპერატიულ ორგანოებში.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ხუთი დღის ვადაში გაგზავნოს ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად მუშაკი რაიონში.

9. ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს ერთგვარ გაუმჯობესებას ა. ლ. კომკავშირის მუშაობაში და წინადადებას იძლევა ა.ლ. კომკავშირის რაიკომის და უჯრედების ყოველდღიური და მასიური მუშაობის ცენტრი უახლოეს პერიოდში გადატანილ იქნას შრომის ორგანიზაციის, მოსავლის განაწილების, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის განვითარების და ხარისხობრივი გაუმჯობესების საკითხებზე და პარტიისა და ა.ლ. კომკავშირის ცეკას ყველა დავალებათა უყურმანო შესრულებაზე (მასიური და აქტიური მონაწილეობა საკოლმეურნეო მოძრაობაში და იმ სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიებში, რომლებიც სოფლად ტარდება, ა. ლ. კომკავშირის წევრების მობილიზაცია მშენებლობისათვის და სხ.).

10. ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს ღარიბთა შორის მუშაობის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას ღარიბთა ჯგუფების და კრებების ორგანიზაცია, მათ შორის სისტემატიური მასიურ-პოლიტიკური მუშაობის მოგვარება, მათი ჩაბმა ყველა სახალხო-სამეურნეო კამპანიების ჩატარებაში, ღარიბთა მობილიზაცია კულაკობის და ყველა კონტრ-რევოლიუციონურ, ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთების წინააღმდეგ და მემამულურ-ფეოდალურ ელემენტების გავლენასთან საბრძოლველად.

11. ცენტრალური კომიტეტის ბიურო ცაგერის პარტორგანიზაციის წინაშე სახავს, როგორც ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანას, ადგილობრივი გლეხობის გარეშე სამუშაოებზე გეგმიანი წესით გასვლის ორგანიზაციას — ახალმშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში და შრომის ტევადი კულტურების რაიონებში მუდმივი და დროებითი სამუშაოებისათვის

12. პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის დარგში ცაგერის პარტორგანიზაციამ უახლოესი პერიოდისათვის თავისი ყურადღების მაქსიმუმი უნდა მიაქციოს დაუზოგავ ბრძოლას არსებულ „მომემარცხენო“ გადახვევების, აგრეთვე მემარჯვენე პრაქტიკის ფაქტების აღმოსაფხვრელად.

ცენტრალური კომიტეტის ბიურო წინადადებას აძლევს ცაგერის რაიკომს ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის საფუძველზე დაუყოვნებლივ გააუმჯობესოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, განსაკუთრებით საკოლმეურნეო უჯრედებში, დაამთავროს პარტმუშაობის გარდაქმნა, საგრძნობლად ასწიოს მთელი პარტიული მასის იდეურ-თეორიული დონე და გააუმჯობესოს ქვედა უჯრედების ხელმძღვანელობა და მათთან ცოცხალი კავშირი.

ცენტრალური კომიტეტის ბიურო წინადადებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიის შემადგენლობის სწორ მოწესრიგებას—მისგან ყველა უცხო და სახელგატეხილ ელემენტების მოშორების და მისი რიგების მოწინავე კოლმეურნეების, ღარიბ და საშუალო გლეხების ახალი აქტივის ხარჯზე შევსების თვალსაზრისით.

ცენტრალური კომიტეტის ბიურო გაფრთხილებას იძლევა, რომ ყველა ზევით აღნიშნულ ამოცანების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველზე, თუ დაუზოგავი ბრძოლა იწარმოებს ორ ფრონტზე და მოხდება ცაგერის პარტორგანიზაციის და კოლმეურნე-ღარიბ-საშუალო გლეხების ფართო ორგანიზაცია და მობილიზაცია პარტიის ლენინური გენერალური ხაზის და ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ყველა სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრით გატარების გარშემო.

13 მიენდოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ხუთი დღის ვადაში გაგზავნოს მუდმივად მუშაობისათვის მუშაკების ჯგუფი არა ნაკლებ ხუთი პარტიული ამხანაგისა ხელმძღვანელ რაიონულ სამუშაოზე პარტიული და საბჭოთა ხაზით .

აუცილებლად იქნას ცნობილი ცაგერის რაიონის მუშაკების ხელმძღვანელი შემადგენლობის განახლება.

სასოფლო მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და გაზაფხულის თესვის კამპანიის არადამაკმაყოფილებელი ჩატარებისათვის საყვედური გამოეცხადოს რაიაღმასკომის ფრაქციას და სავსებით იქნას განახლებული რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების მუშაკების შემადგენლობა.

ბოლშევიკურად გავშალოთ სამოქალაქო ავიაციის მშენებლობა

სამოქალაქო ავიაციის დეკადა ა.-კავკასიაში

20-დან 30 ივლისამდე ტარდება სამოქალაქო ავიაციის დახმარების დეკადა ამიერ - კავკასიაში. ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა პროფსაბჭოებს და კავშირების სამხარეო გამგეობებს—ჩაატარონ პროფკავშირების წევრებსა და კოლმეურნეებს შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამოქალაქო ავიაციისთვის დახმარების გაწევის მნიშვნელობის შესახებ. წინადადება მიეცათ — მოაწყონ კლუბებში, წითელ კუთხეებში, პარკებსა და ბაღებში კრებები, საღამოები და გამოფენები, რომლებიც მიეძღვნება სამოქალაქო ავიაციას, ამასთან ამ საკითხის გაშუქება უნდა დაუკავშირონ გაზეთების „პრავდა“-ს „იზვესტია“-ს და „ზარია ვოსტოკა“-ს სასწრაფოდ მიტანას და გავრცელებას რესპუბლიკანურ ცენტრებში. რესპუბლიკების პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ, იკისრონ შეფობა აეროდრომებსა და დასაშვებ მოედნებზე, ხოლო სამრეწველო - კომუნალურ - საბინაო მშენებლობის და ავიო-ავტო-საჭაპანო ტრანსპორტის კავშირთა ამიერ - კავკასიის გამგეობებს — იკისრონ უშუალო მეთვალყურეობა მიმწოდებელი და ავიომანქანების მშენებელი ქარხნების მუშაობაზე; მათვე თვალყური უნდა ადევნონ საამშენებლო გეგმების თავის დროზე შესრულებას. მოეწყობა მუშების შეჯიბრება სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის პროგრამის ხარისხობრივად, რიცხვობრივად და დროულად შესრულებაში.

ა.-კ. პროფსაბჭო წინადადებას იძლევა აგრეთვე, გაიშალოს ფართო კამპანია ავიაციის სკოლებისათვის საუკეთესო მუშებისა და კოლმეურნეების შესარჩევად. გარდა ამისა, დეკადის დღეებში უნდა შემოწმდეს, რამდენად შესრულდა ა.-კ. პროფსაბჭოს დადგენილება ლენინის სახელობის ესკადრილიის ასაგებად შემოწირულებათა შეკრების კამპანიის შესახებ.

სამოქალაქო ავიაციის დახმარების დეკადაში მოხდება შემოწირულებათა შეგროვება სამოქალაქო ავიაციისათვის — პროფორგანიზაციები შეიტანენ თანხებს, გაიმართება კონცერტები, შეიკრიბება ნებაყოფლობითი შეწირულებანი და სხვ. (ადს).

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებული შესრულების კომისიის დადგენილება

ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ში სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის გამო ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ 1931 წლის 4 მარტს მიღებული დადგენილების შესრულების შესახებ

შესრულების კომისია, რომელმაც მოისმინა ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს უფროსის ამხ. **ბელოზეროვის** მოხსენება და „ზაკსტროიობიედინენიე“-ს წარმომადგენლის ამხ. **ნიკოლაიშვილის**, საქმრეწვმშენის წარმომადგენლის ამხ. **ზურავიჩისა** და ა.-კ. მუშგლეხინის წარმომადგენლის ამხ. **კარაპეტოვის** თანამოხსენებები ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ 1931 წლის 4 მარტის ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ში სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის გამო მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ თბილისის აღმასკომმა საგრძნობი დაგვიანებით გამოჰყო მიწის ნაკვეთი აეროდრომისათვის და არ უზრუნველჰყო მშენებლობა წყლითა და ელექტროენერგიით.

ა.-კ. ს. მ. უ. საბჭომ და ა.-კ. მარაგვაჭრობამ არ უზრუნველჰყვეს ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს მშენებლობა ადგილობრივი საშენებლო მასალით, რის გამოც შეფერხდა მოსამზადებელი სამუშაოები აეროდრომის მშენებლობისათვის.

„ზაკსტროიობიედინენიე“-მ, მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემდეგ, საგრძნობლად გააჭიანურა მოსამზადებელი მუშაობა აეროდრომის მშენებლობისათვის როგორც თბილისში, ისე ბაქოში.

ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს შეუთანხმებლობა საამშენებლო ორგანიზაციებთან და პარალელიზმი საამშენებლო მასალის შეკვეთებზე მუშაობაში, საგრძნობლად დააგვიანეს ბაქოში მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების დადება, არ აღმოაჩინეს პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები, გააჭიანურეს აეროდრომისათვის ჩიხის აგება და, საერთოდ, ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს მთელი მშენებლობა ბიუროკრატიულ-თვითმდინარებაზე იყო მინდობილი.

„ზაკსოიუზ“-მა არ შეასრულა სახკომსაბჭოს დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საზაფხულო შემადგენლობის მიმაგრებას დახურულ განმანაწილებლებსა და სასადილოებზე, და დაარღვია საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს 1930 წლის № 168 [illegible] საზაფხულო ტეხნიკური სპეციალური შემადგენლობის დიეტური პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გამო ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებული შესრულების კომისია ადგენს:

1. მიღებულ იქნას ცნობად ამხ. ბელოზეროვის განცხადება, რომ მან უკვე გააფორმა აეროდრომების მშენებლობის სამუშაოთა გადაცემა თბილისსა და ბაქოში რესპუბლიკანურ საამშენებლო ტრესტებისათვის და რომ მიღებულია ზომები იმისათვის, რათა აეროდრომის მშენებლობის სამუშაოები თბილისში შესრულებულ იქნას კალენდარული გეგმით 1931 წლის 31 დეკემბრისათვის.

2. „ზაკსოიუზ“-მა სამი დღის ვადაში მიამაგროს ა.-კ. საჰაერო მშენებლობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეების ტეხნიკურ-სპეციალური შემადგენლობა დახურულ განმანაწილებლებზე, ხოლო საზაფხულო შემადგენლობა—დახურულ სასადილოებზე.

3. მიღებულ იქნას ცნობად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის განცხადება, რომ მან სასჯელი დაადო სამუშაოთა ჩაშლის კონკრეტულ დამნაშავეებს: ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. მატოვს და ტეხნიკურ-საამშენებლო განყოფილების ყოფ. უფროსს ინჟ. ალუთინსკის, ა.-კ. საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს მომარ. ჯგუფის ხელმძღვანელს ამხ. მელიქ-სტეფანოვს, „ზაკსტროიობიედინენიე“-ს № 2 საამშენებლო სამმართველოს უფროსს ამხ. ნიკოლაიშვილს, „ზაკსოიუზ“-ის კვების განყოფილების გამგეს ამხ. ორლოვს, მომარაგების მდივანს ამხ. პივოვაროვსა და „ზაკსოიუზ“-ის მომარაგების განყოფილების პასუხისმგებელ აღმასრულებელს ამხ. იურჩიანცს.

4. 3 თვის შემდეგ კვლავ მოსმენილ იქნა შესრულების კომისიაში მოხსენება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებული შესრულების კომისიის თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.
შესრულების კომისიის მდივანი მელნიკოვი. (ადს).

უფრო მეტად ავამოქმედოთ ძალები

საავიაციო მუშაობის გეგმის შესასრულებლად

მოსკოვი, 17 ივლისი. სამოქალაქო ავიაციის დახმარების დეკადის დღეებში თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პლენუმი მოუწოდებს საზოგადოების ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს —უფრო მეტად აამოქმედონ ძალები საზოგადოების საავიაციო მუშაობის გეგმის შესასრულებლად, სამოქალაქო ავიაციის ამოცანების პოპულიარიზაციისათვის და სამოქალაქო საჰაერო ფლოტისათვის დახმარების აღმოსაჩენად მისი მშენებლობის გადამწყვეტ პერიოდში. ცენტრალურ საბჭოს პლენუმი წინადადებას აძლევს თავდაცვა-ავიაქიმის ყველა საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც მოწყობილია საავიაციო მრეწველობის საწარმოები, მოიწვიონ, ლ. ა. კომკავშირთან ერთად, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების დამხმარე მებრძოლი შტაბები. თავდაცვა-ავიაქიმის საავიაციო საწარმოებში უნდა მოხდეს ყველა უჯრედების გაწვევა დაკვრით სამუშაოზე—თავიანთი ქარხნების სამრეწველო-საფინანსო გეგმების ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

ამ მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ქარხნებში, სადაც მზადდება სასწავლო მოტორები და აეროპლანები.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პლენუმი, რომელიც აწესებს საუკეთესო საავიაციო ქარხნის გარდამავალ დროშას, აძლევს ამ უკანასკნელს № 39 ქარხანას, რომლის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის განკარგულებაში გადადის მის მიერ გამოყოფილი 20.000 მანეთი მუშაობის გასაშლელად და პრემიების გასაცემად.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო წინადადებას იძლევა—მოეწყოს შეჯიბრება გარდამავალი დროშისათვის თვით საავიაციო მრეწველობის საწარმოებს შორის. საკავშირო სამოქალაქო საჰაერო ფლოტის გაერთიანების საუკეთესო საწარმოები, ცალკე ჯგუფებისა და ცალკე დამკვრელების წასახალისებლად, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გამოჰყონ სპეციალური ფონდები პრემიების გასაცემად.

ცენტრალურმა საბჭომ ამ მიზნისათვის გამოჰყო 30.000 მანეთი. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პლენუმი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს—გამოსცენ მასიური პოპულიარული საავიაციო ლიტერატურა. პლენუმი მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრებს და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებს—„სამოქალაქო ავიაციის დეკადის“ დღეებში ბოლშევიკური ტემპებით შეასრულონ ლენინის სახელობის დირიჟაბლთა ესკადრის ასაგებად ნაკისრი ვალდებულებანი.

რადგან მრავალმა საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დააგვიანა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დახმარების დეკადაში ჩაბმა, ცენტრალური საბჭოს პლენუმი წინადადებას აძლევს საზოგადოების ყველა ორგანიზაციებს—გააგრძელონ კამპანია 1 აგვისტომდე (ადს).

სანიმუშო ავიო-სადგური ლენინგრადში

ლენინგრადი, 16 ივლისი. სანიმუშო ავიო - სადგურის მშენებლობა ლენინგრადში აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

ტეხნიკური მოწყობილობის მხრით ავიო - სადგური არ ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის სადგურებს. აქ იქნება საჭირო ტრანსპორტთან დაკავშირებული ყველა დაწესებულებები, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის უმაღლესი სასწავლებელი.

1931 წლის დამლევისათვის ყველა ნაგებობანი თითქმის დამთავრებულ უნდა იქნას. მახლობელ თვეებში და საშვებ მოედნის ირგვლივ აგებული იქნება აერო-ვაგზალი, კოშკი სიგნალიზაციისათვის, ლაბორატორია და ფაბრიკა - სამზარეულო. გადაწყვეტილია აეროსადგურთან აგებულ იქნას მძლავრი შუქურები. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ბელადის სიტყვის საპასუხოდ ამაგრებენ კომპარტიის რიგებს

მოსკოვი, 16 ივლისი. 14 ივლისს „მოსტიაჟარტ“-ის ქარხანაში მოხდა ძველ მუშათა კრებები ქარხნის პარტორგანიზაციის გადასარჩევად ამხ. სტალინის სიტყვასთან დაკავშირებით. კრებებზე 55 მუშამ შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. სულ საგადარჩევო კამპანიის მსვლელობის დროს შეტანილი იქნა 212 განცხადება (ადს).

მოსკოვი, 16 ივლისი. 10-დან 14 ივლისამდე ელექტრო-ქარხანაში შეტანილ იქნა 245 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ (ადს).

სვერდლოვსკი, 16 ივლისი. ჩელიაბინსკის საწარმოებსა და საამშენებლო სამუშაოებზე ფართოდაა გაშლილი ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავება. „ტრაქტოროსტროი“-ზე ათეული დამკვრელი მუშა შევიდა პარტიაში. 50-ზე მეტი ბრიგადა გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე და პროგრესიულ სანარდო მუშაობაზე. სწარმოებს მასიური თვითმიმაგრება სატრაქტორო გიგანტის მშენებლობის დამთავრებამდე.

„ტრაქტოროსტროი“-ზე ამხ. კაპრალოვის მებეტონეთა დამკვრელმა ბრიგადამ, ამხ. სტალინის სიტყვის საპასუხოდ, მიაღწია ერთი შეზელვის გამომუშავების ერთ წუთზე ნაკლებ განმავლობაში (ადს).

ანხორციელებენ ამხ. სტალინის მიერ ნაჩვენებ ღონისძიებებს

ლენინგრადი, 16 ივლისი. ლენინის სახელობის ქარხანამ გაშალა მუშაობა ამხ. სტალინის სიტყვაში აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად. ქარხნის საშეფო ვისოგორსკის რაიონში—ქვედა ვოლგაზე—გაემგზავრა ბრიგადა კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დასადებად მუშა-ხელის მიწოდების შესახებ. ქარხნის ორგანიზაციები შეუდგნენ განსაკუთრებული პრემიალური ცხრილის დამუშავებას, რომელიც ითვალისწინებს ჯილდოს მიცემას განსაზღვრული წლების განმავლობაში მუშაობისათვის (ადს).

სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების კომბინატი

ნოვოსიბირსკი, 16 ივლისი. დაიწყო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების კომბინატის მშენებლობა. აღნიშნულ კომბინატებში შევლენ თბოტეხნიკური და სანახშირო ინსტიტუტები (ადს).

მთელი ძალების ბოლშევიკური მობილიზაცია პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად

რა გავაკეთეთ

(კასპის რაიონი)

კასპის რაიონში პურის დამზადებისათვის მოსამზადებელი მუშაობა 20 ივნისიდან დაიწყო. შედგენილი იქნა სამუშაო გეგმა. სოფლის საბჭოებზე მიმაგრებულ იქნენ პასუხისმგებელი ამხანაგები. გეგმების დაყვანა სოფლამდე და კოლმეურნეობამდე, კულაკების და შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალების მიცემა მთლიანად არ არის დამთავრებული.

სამზადისის ჩატარებაში ყველა ორგანიზაციებმა მიიღეს მონაწილეობა: რაიკოოპკავშირმა 22 ივნისს მოიწვია საწარმოო ამხანაგობების და სარევიზიო კომისიების თავმჯდომ. თათბირი, სადაც დამუშავდა პურის დამზადების საკითხი, ამავე მიზნით რაიკოლმეურნკავშირმაც მოიწვია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თათბირი.

თათბირებზე გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ დამზადების რაიონული გეგმა სავსებით რეალურია და მისი შესრულება თავისუფლად შეიძლება.

მიმაგრებული ამხანაგები გაემგზავრნენ სოფლად პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად. რაიშტაბი და ზოგიერთი სოფლის საბჭოები კმაყოფილდებიან მით, რომ „გეგმა დაყვანილია" და სრულიად არ ზრუნავენ ამ მასალების წარმოდგენაზე რაიონში.

წითელი ქალაქის, მეტეხის, კავთისხევის, თვალადის, ყარალაჯის, გოსტიბეს და ხოვლეს სოფლის საბჭოებს დღემდე არ წარმოუდგენიათ შტაბში ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გაანაწილეს მათ საკონტროლო ციფრები სექტორების მიხედვით.

არსებული მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

გრ. ჯიბლაძე.

ვაყენებთ შემხვედრ გეგმას

(ს. ქვენატკოცი, სტალინისის რაიონი)

ქვენატკოცის სოფლის საბჭომ წამოაყენა პურის დამზადების შემხვედრი გეგმა. საკონტროლო ციფრის მიხედვით საბჭოს უნდა დაემზადებია —11.800 ფ. პური, **შემხვედრი გეგმა კი ითვალისწინებს — 12,926 ფუთი პურის დამზადებას.**

პურის დამზადების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის, ქვენატკოცის სასოფლო საბჭომ თავი დამკვრელად გამოაცხადა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ახალისოფლის სას. საბჭო.

მ. კუხალეიშვილი.

საწყობებით უზრუნველყოფილი ვართ

გეგმის თანახმად მემინდვრეობა-მესაქონლეობის კოოპერაციას პურეულის მისაღებათ 36 მიმღები პუნქტი უნდა მოეწყო. დამზადების გეგმის ადგილებზე დამუშავების შემდეგ გამოირკვა, რომ მისაღებ პუნქტების დასახული რაოდენობა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და ამიტომ მიმღებ პუნქტების ქსელი გადიდებული იქნა 44 მდე. პუნქტები საწყობებით უზრუნველყოფილი არიან დამამზადებელ აპარატისათვის სულ გამოყოფილია საწყობები 80.000 ტონა პურეულის ტევადობით,

გარდა ამისა „სოიუზხლებ"-ს რკინის სადგურებთან (პურის დამამზადებელ რაიონებში) მოწყობილი აქვს დიდი საწყობები, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფენ დამზადების ნორმალურ მსვლელობას. საწყობების შეკეთება და გასუფთავება (დეზინფექცია) დამთავრებულია.

ვიბრძოლოთ გეგმის შესრულებისათვის

(ბაისუბანი, ლაგოდეხის რაიონი)

ბაისუბნის სასოფლო საბჭოში პურის დამზადების კამპანიისათვის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. მიცემული საკონტროლო ციფრი 27.000 ფ. კოლმეურნეთა და ღარიბ საშუალო გლეხთა საერთო კრების მიერ წამოყენებული შემხვედრი გეგმით გადიდებულ იქნა 3.500 ფუთით.

შემხვედრი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია მოსავლის აღების დროზე დამთავრება. ამ საქმეს კი ბევრი ნაკლი და დაუდევრობა აფერხებს. ასე მაგალითად, ლაგოდეხის სამანქანო სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელთა დაუდევრობით სოფ. ფონაში სასოფლო-სამეურნეო არტელ „შრომას" მინდორში მომუშავე სამკალი მანქანა, 7 დღეა გაჩერებულია ცვრალი ნაწილის უქონლობის გამო.

ამავე არტელის თავმჯდომარე **ზაქარია კოჩიევი** სანარდო მუშაობის წინააღმდეგია „ნარდი მუშაობა ხალხისათვის ტყავის გაძრობა არისო"—აცხადებს ის.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მწვავედ უნდა დაარტყან სანარდო სისტემის ასეთ „შეფასებას" სას. სამ. არტელის თავმჯდომარის მხრივ.

სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელებმა კი უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ მოსავლის ამღები მანქანების შეუფერხებელი მუშაობა.



ოჩხამური. მუშაობა სოიას პლანტაციაზე

ბაისუბნის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა და ინდივიდუალურ მეურნეობებმა 100 პროცენტით უნდა შეასრულონ პურის დამზადების შემხვედრი გეგმა, რომელიც მათ მიერ არის წამოყენებული.

მ. აკოფოვი.

მივეცით მტკიცე დავალება 81 კულაკურ და შეძლებულ მეურნეს

(გარე-კახეთი)

საგარეჯოს რაიონში ამჟამად ყანის მასიური მკა მიმდინარეობს, ლეწვა კი ეხლა იწყება.

რაიონში პურის დამზადებისათვის ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა. ასეთ სურათს იძლევა: გეგმების დაყვანა კოლმეურნეობებამდე და სოფლამდე უკვე დამთავრდა. დამთავრებულია აგრეთვე მტკიცე დავალებების მიცემა კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათათვის.

მტკიცე დავალებების მიცემის დროს ადგილი ჰქონდა კლასობრივი ხაზის დამახინჯების ფაქტებსაც. მაგ. სოფ. **მანავში** მტკიცე დავალება მისცეს ყველა შავსიელებს მიუხედავათ იმისა, მათ ჰქონდათ თუ არა პურის ნათესები. ამ დეფექტების გამოსასწორებლად, რაიაღმასკომის მიერ მიღებული იქნა დროული ზომები.

რაიონში პურის დამზადების მტკიცე დავალება მიეცა 81 კულაკურ და შეძლებულ მეურნეს (კაკაბეთის სას. საბჭოს გამოკლებით), აქედან კულაკებს 1571 ფუთი, შეძლებულ მეურნეობებს 2785 ფ., სულ 4356 ფუთი.

პურის დამზადება რაიონში ჯერ არ დაწყებულა.

გარეჯელი.

საწარმოო ამხანაგობა მოუმზადებელია

მაჩხაანი, 14 ივლ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია თავიდანვე მოუმზადებელი შეხვდა პურის დამზადების კამპანიას. საწარმოო ამხანაგობების მუშაობა ამ დარგში არ არის დამაკმაყოფილებელი. დამამზადებელ პუნქტებში ამჟამად მხოლოდ 200 ცალი ტომარა მოიპოვება, ეს იმ დროს, როდესაც ხსენებული ზ. მაჩხაანის სასოფლო-საბჭო **ამზადებს 20.000 ფუთ ხორბალს.** ასეთივე მდგომარეობაა კანაფის მხრივ, ადგილობრივ საწარმოო ამხანაგობას ძალიან მცირე რაოდენობით მოეპოვება ტომრების შესაკერავი კანაფი.

მოსავლის აკრეფა ახლო ხანში დამთავრდება და დაიწყება ხორბლის ჩაბარება. საწარმოო ამხანაგობამ ეხლავე უნდა მიიღოს ზომები ტომრებისა და კანაფის მოსამარაგებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხელს შეუშლის პურის დამზადებას.

მაჩხანელი

სამრეწველო საქონლის გადაგზავნა უნდა დაჩქარდეს

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, სამომხმარებლო კოოპერაციას (ცეკავშირს) პურის დამზადების კამპანიის დაწყებისათვის შეზიდულ უნდა ქონოდა პურეულის რაიონებში სამრეწველო საქონლის საკმაო რაოდენობა, რომ შესაძლო ყოფილიყო პურეულის კეთილ-სინდისიერად ჩამბარებლებისათვის ამ საქონლის ჩქარა მიცემა, რაც დიდათ წაახალისებდა გლეხობას. ეს დირექტივა ცეკავშირს დღემდე არ განუხორციელებია. პურეულის რაიონებიდან მიღებულია ცნობები, რომ ამ რაიონებში სამომხმარებლო კოოპერაციას არავითარი სამრეწველო საქონელი არ მიუღია. ეს გარემოება მეტად ცუდ გავლენას ახდენს დამზადების საქმეზე.

ცეკავშირმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დააჩქაროს პურეულის რაიონებში სამრეწველო საქონლის შეზიდვა. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს დამზადების ტემპის გაძლიერებას.

ყურადღება სოიას

სენაკის რაიონი სოიას თესვის საქმეში ჩამორჩა. რაიონში სოია (წმინდა) უნდა დათესილიყო — 4.000 ჰექტარზე, ფაქტიურად დაითესა მხოლოდ 2400 ჰექტ., აქედან კერძო სექტორმა დათესა მხოლოდ—790 ჰექტ. სოიას შეთესვით უნდა დათესილიყო 10.500 ჰექტ., სინამდვილეში დაითესა—6800 ჰექტ. სოიას გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა ჯერ გვალვამ და შემდეგ წყალდიდობამ. მიუხედავათ ამისა, გეგმის შესრულება მაინც შესაძლებელი იყო მთელი ძალების დარაზმვით და მუშაობაში დამკვრელი ტემპების აღებით, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სოიას თესვის საქმეში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა.

ვლ. თოდუა.

ზუგდიდი. ნაკელის გაწმენდა თამბაქოს საბჭოთა მეურნეობის სათბურებისათვის

შალიკო მდივანი

დღეს უდიდესი მწუხარებით ვაბარებთ მიწას პროლეტარული სახელმწიფოს ერთ-ერთ ურთგულეს შვილს ამხ. შალიკო მდივანს.

ამხ. შალიკო დაიბადა 1901 წელს. ჯერ კიდევ ჭაბუკობაში, 1917-18 წლებში, იღებდა იგი მონაწილეობას მენშევიკების წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა აჯანყებებში.

მისი ცხოვრება თავის დადებაა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ამხ. შალიკო მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე — საქართველოს სახკომსაბჭოში, საბჭოთა მისიებში ოსმალეთსა და სხვა ქვეყნებში.

შალიკო მდივანს შეგნებული ჰქონდა ავიაციის განვითარების აუცილებლობა, — ავიაციის, რომელიც უპირველეს როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცების საქმეში, ამიტომ მან სთხოვა საქართველოს სახკომსაბჭოს — გაეგზავნა იგი ავიაციის შესასწავლად პარიზის საჰაერო აკადემიაში.

ცოდნის გაფართოების შემდეგ ამხ. შალიკო დაბრუნდა საბჭოთა კავშირში პრაქტიკული მუშაობისათვის.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტმა ამხ. შალიკოს სახით საუკეთესო პილოტი მოიპოვა. აქ, ავიაციის განმტკიცებისა და მისი განვითარების საქმეში გამოიჩინა მან მთელი თავისი აქტივობა.

მგრძნობიარე და გულწრფელი, იგი საბჭოთა ავიაციაში საუკეთესო, სამაგალითო მუშაკი იყო.

ძნელია იმ აზრთან შერიგება, რომ აღარ არის ჩვენ შორის დაუვიწყარი და ერთგული ამხანაგი შალიკო.

აეროპლანის ყრუმა მოტორმა გამოგლიჯა ჩვენ წრეებს საუკეთესო პილოტი.

შენ სახელს, შენ ხსოვნას, ამხ. შალიკო, არ დაივიწყებენ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკები.

მშვიდობით ძვირფასო, დაუვიწყარო ამხანაგო!

ამხანაგების ჯგუფი.

მთლიანად შევასრულოთ დირექტივა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კ.—მუშგლეხინის დადგენილება

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისია—მუშგლეხინმა ჩატარა სამრეწველო და კოოპერატიულ ორგანიზაციების გამოკვლევა, რომლის დროსაც შესწავლილი იქნა სამეურნეო ანგარიშზე გადასასვლელად დადებულ ხელშეკრულებების ხარისხი და ის, თუ რამდენად შეეფერებიან ეს ხელშეკრულებები საწარმოო-საფინანსო გეგმებს. გამოკვლევიდან გამოირკვა შემდეგი:

მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებს დღემდე არ შეუსრულებიათ მთლიანად დირექტივა ხელშეკრულებების დადების შესახებ მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის და ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევის საკითხებზე. ასეთი ორგანიზაციებია: ცეკავშირი, საქართველოს საშენებლ მასალათა ტრესტი, პოლიგრაფტრესტი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, „საქართველოს თევზი", და მუშკოოპი.

დადებული ხელშეკრულებები არ უზრუნველყოფენ საგეგმო დავალებათა შესრულებას ქიმკომბინატში, საქართველოს საშენებლ მასალათა ტრესტში და საქართველოს ლითონის ტრესტში. რაც შეეხება ლითონის ტრესტს, იქ პროდუქციის რეალიზაციაზე დადებული ხელშეკრულებები სავსებით შეეფერებიან საგეგმო დავალებას. მაგრამ არსებობს საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობის შიში, რასაც საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ცენტრალიზაციაქმნილი წესით გამოყოფილი ლიმიტები ტრესტისათვის მასალების შესაძენად ვერ ფარავენ მთლიანად მასალების საჭიროებას და ლითონის ტრესტს განზრახული აქვს დანაკლისი შეავსოს შინა რესურსების მობილიზაციით და ახალი შეკვეთების მიღებით (თვით შემკვეთელების მასალით) და ამით შეასრულოს საწარმო-საფინანსო გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში.

მუშკოოპში, მესამე სტამბაში, პოლიგრაფტრესტში, ამ უკანასკნელის საფაბრიკო საქარხნო სკოლაში და საბჭოთა მეურნეობის ტრესტში მოუგვარებელია საგეგმო მუშაობა, რაც ხელს უშლის სამეურნეო მოღვაწეობის ნორმალურად განვითარებას და ხელშეკრულებების დადებას, რადგან ხელშეკრულებების კამპანიის ჩატარების გამოსავალი მომენტია საწარმოო-საფინანსო გეგმა, რომლის ფარგლებშიაც წესდება სახელშეკრულებო ურთიერთ დამოკიდებულება. აღნიშნულია აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის საკითხზე დადებული ხელშეკრულებების შეუფარდებლობა მისი წარმოებიდან გამოშვების შესაძლებლობასთან (ასეთი მდგომარეობაა პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიაში). ამას გარდა გამოირკვა „ზაკსოიუზის" და ბალბოსტან კავშირის არა სწორი მუშაობა სახელშეკრულებო კამპანიის ჩატარებაში; ამ ორგანიზაციებმა სათანადო ინფორმაცია ვერ მიაწოდეს ადგილებს კამპანიის შესახებ.

ზოგიერთი ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს ხელშეკრულებები არ შეეფერებიან საკრედიტო რეფორმის მოთხოვნილებებს. მთელ რიგ ორგანიზაციებს არ შეუტანიათ ხელშეკრულებებში ძირითადი პირობები, როგორიც არის მასალების და საქონლის რაოდენობა, ხარისხი, და ასორტიმენტი, ანგარიშის გასწორების პირობები, მიწოდების ვადები და სხვა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მუშკოოპი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, პოლიგრაფტრესტი, ქიმკომბინატი და ცეკავშირი.

ზოგიერთი გენერალური ხელშეკრულება არ შეეფერება გაერთიანებებში შემავალ წარმოებების ხელშეკრულებებს (პოლიგრაფტრესტი); არ არის დადებული ხელშეკრულებები ტრესტების გამგეობასა და ქვემდებარე წარმოებებს შორის (ქიმკომბინატი).

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინეს:

1. წინადადება მიეცეს ცეკავშირს, საქართველოს საშენებელ მასალათა ტრესტს, პოლიგრაფტრესტს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, ქიმკომბინატს, „საქართველოს თევზს" და მუშკოოპს ერთი დეკადის განმავლობაში შეამოწმონ დადებული ხელშეკრულებები და როგორც მასალების და საქონლის მომარაგება, ისე პროდუქციის რეალიზაცია და აგრეთვე ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევა შეუფარდონ საწარმოო-საფინანსო გეგმებს და სავაჭრო საფინანსო გეგმებს. უმოკლეს ვადაში უნდა იქნას დადებული ხელშეკრულებები სათანადო ორგანიზაციებთან. ამ სამუშაოს დამთავრების შესახებ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის პირველ ივლისისა.

2. საქართველოს სმუს-მა გადასინჯოს ლითონის ტრესტისათვის მასალების და ნედლეულის შესაძენად გამოყოფილი ლიმიტები და წარადგინოს განსაკუთრებული შუამდგომლობა გამოყოფილი ლიმიტების გადიდების შესახებ.

3. არსებული ლიმიტები, რომელთა მიხედვითაც არის დადებული ხელშეკრულებები ლითონტრესტის მომარაგების შესახებ, არ შეეფერება დამტკიცებულ საგეგმო დავალებას და წინდაწინვე ქმნის საფრთხეს საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.

3. პოლიგრაფტრესტმა ერთი დეკადის ვადაში შეადგინოს საწარმოო-საფინანსო გეგმა მესამე სტამბისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლისათვის; საბჭოთა მეურნეობის ტრესტმა შეადგინოს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, რომელიც საერთო საწარმოო-საფინანსო გეგმიდან უნდა გამომდინარეობდეს. მუშკოოპმა შეადგინოს სავაჭრო გეგმა. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა შედგენილი საწარმოო-საფინანსო გეგმები და სავაჭრო გეგმები შეუფარდონ დადებულ ხელშეკრულებებს, საკრედიტო რეფორმის მოთხოვნილებათა თანახმად.

4. პოლიგრაფტრესტმა გადასინჯოს პროდუქციის რეალიზაციის შესახებ დადებული ხელშეკრულებები, ვინაიდან ეს ხელშეკრულებები არ ეფარდებიან პროდუქციის დამზადების შესაძლებლობას.

5. წინადადება მიეცეს „ზაკსოიუზს", ცეკავშირს და ბალბოსტანკავშირს ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ხელშეკრულებების დადების შესახებ მათ სისტემაში შემავალ რაიონულ და ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან.

6. ქიმკომბინატმა ერთი დეკადის ვადაში დასდოს თავის წარმოებებთან ხელშეკრულებები, რომლებიც უნდა გამომდინარეობდნენ საკრედიტო რეფორმის მოთხოვნილებიდან.

7. მუშკოოპმა, საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა, პოლიგრაფტრესტმა, ქიმკომბინატმა, ცეკავშირმა გადასინჯოს დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც არ შეეფერებიან საკრედიტო რეფორმის მოთხოვნილებებს და შეავსონ პუნქტებით მასალების და საქონლის რაოდენობისა, ხარისხისა და ასორტიმენტის შესახებ, ანგარიშის გასწორების პირობების და საქონლის მიწოდების ვადების შესახებ.

გაზ. „კომუნისტი"-ს და „ჭიათურის მაღაროელი"-ს ბრიგადის მეორე რეიდი

მუშათა წინადადებებს და გამოგონებებს გასაქანს არ აძლევენ

(ჭიათურა)

მუშათა წინადადებების და გამომგონებლობის დროზე განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების, ისე შრომის ნაყოფიერების აწევისათვის ბრძოლაში. ტექნიკურ საშუალებათა გაუმჯობესება, ყოველგვარ ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენება და საწარმოო ნაყოფიერ მუშაობის შემაფერხებელ მიზეზების ძირშივე აღმოფხვრა — აი რას ისახავს მიზნათ მუშათა წინადადებების და გამომგონებლობის გატარება.

მაგრამ, ამ საქმეში ზოგიერთ სამეურნეო მუშაკების და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრით, კვლავ ადგილი აქვს, დაუშვებელ დაუდევრობას და მუშათა წინადადებებისა და გამომგონებლობის აშკარა შეუფასებლობას.

კერძოდ, ჭიათურის მაღაროებში, შეიძლება ითქვას, რომ სრულებით არ ექცევა ყურადღება მუშათა წინადადებების დროზე განხორციელებას და გამომგონებლობას. ვასტურაკოთ ფაქტები. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის რაციონალიზაციის ბიურომ არც კი იცის თუ არსებობს გამომგონებლობის ბიურო. აღნიშნულ ბიუროებს შორის არავითარი კავშირი არაა.

შარშან განსახორციელებლად მიღებულ იქნა 129 საქმიანი წინადადება, აქედან, როგორც ბრიგადას „აცნობეს", გაუტარებელი დარჩენილა მხოლოდ.... 6 წინადადება. 123 წინადადების განხორციელებით ტრესტს უნდა მიეღო 100.112 მანეთის ეკონომია, მაგრამ ბრიგადამ ვერას გზით ვერ გამოარკვია, სინამდვილეში რა შედეგები მისცა ტრესტს აღნიშნულ წინადადების გატარებამ. ეს კიდევ არაფერი. ტრესტის მესვეურებმა არც ის იციან, თუ მიღებული წინადადებებიდან პრაქტიკულად რამდენი წინადადებაა განხორციელებული.

ტრესტი მუშათა საქმიან წინადადებებს „ფესად" ღებულობს. წინადადებების მიღების შემდეგ არავითარ ზომებს არ მიმართავს მათ ცხოვრებაში გასატარებლად. წინადადებების პრაქტიკულად გამოყენებას აქვს შემთხვევითი ხასიათი, წინადადებების მუშა-ავტორების დაჯილდოებაც ზერელედ სწარმოებს. აქ არ არის დაცული მტკიცედ წინადადებების სარგებლიანობის თვალსაზრისი. ხშირად ადგილი აქვს პროტექციასაც, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ ჯილდოები იცემა არა კუთვნილებისამებრ. ზოგიერთ მუშა-ავტორს, მიუხედავად მისი წინადადებების დიდი სარგებლობისა, ეძლევა მცირე ჯილდო. ეს გარემოება გულს უტეხს მუშებს.

1929 წელში მიღებული ზოგიერთი წინადადებაც არაა დღემდე განხორციელებული. მაგალითად, აქამდე არ გაუტარებიათ მტვირთველ მუშის ვასილ ასანიძის წინადადება. ამ წინადადების განხორციელებით მეტად ადვილდება ქვის უვარგის ფხვნილის გადაყრის საქმე. წინადადების მიხედვით უვარგისი ფხვნილის მდ. ყვირილაში გადაყრა შეიძლება ღარებით, რაც ცვლაში ანთავისუფლებს ორ კაცს.

ამავე ასანიძეს აქვს წინადადება ისრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანის შესახებ, რაც დააჩქარებს ვაგონების მოძრაობას. მაგრამ არც ეს წინადადება ჯერ განხორციელებულა.

მეტად საყურადღებოა ისიდორე ნადირაძის წინადადება, რომელიც განხორციელებულია მხოლოდ ერთ მაღაროში. ამ წინადადებით ადმინისტრაციამ დარკვეთის მაღაროში გაიყვანა მეორე ლიანდაგიც, რამაც გააადვილა ვაგონებით ნახშირის გამოზიდვა მაღაროდან და იმავე დროს დღიურად ზედმეტი გახადა 10 ცხენის მუშაობა. მარტო 1 მაღაროში ამ წინადადების განხორციელება წლიურად იძლევა 21.000 მან. ეკონომიას. მიუხედავად წინადადების ასეთი აშკარა სარგებლიანობისა, ტრესტი აგვიანებს სხვა მაღაროებშიაც მეორე ლიანდაგის გაყვანას. ტრესტს ნადირაძე არც კი დაუჯილდოებია.

ასეთივე გულგრილად ეკიდებიან მიმდინარე წელს შემოსულ წინადადებების განხორციელებას. 141 წინადადებიდან მიღებულია მხოლოდ 27.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება დაუსრულებლივ, მაგრამ ზევით აღნიშნულიც საკმაოა იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დარგში ტრესტის მუშაობაზე.

რაც შეეხება გამომგონებლობის საქმეს, აქაც ტრესტი დიდ დაუდევრობას იჩენს.

გარდა იმისა, რომ გამომგონებელ მუშებს არავითარ ტექნიკურ დახმარებას არ უწევენ, უხეშადაც ეპყრობიან მათ. ტრესტის რაც ბიუროს თავმჯდომარე ინჟ. ელიაძე თავის მოქმედებით გულს უტეხავს მუშებს. ის განგებ აჭიანურებს გამოგონების განხორციელებას, ზოგჯერ სრულებით უყურადღებოთ სტოვებს მას.

ერთ გამომგონებელ მუშას **ამბროსი ცუცქირიძეს** მან უწოდა „შამლეკი". ცუცქირიძემ დიდი დავიდარაბის შემდეგ მაინც შესძლო თავისი გამოგონების განხორციელება ერთ მაღაროში. ამ გამოგონებით არც ერთი ბიჯგი აღარ იკარგება, რაც იძლევა ხე-ტყის მასალის დიდ ეკონომიას. ელიაძე სხვა მაღაროებში ცუცქირიძის გამოგონებებს არ ანხორციელებს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ტექნიკურ პერსონალის გამოგონებებს უფრო მალე ანხორციელებენ და მათ ჯილდოც მეტი ეძლევათ.

ცალკე მაღაროებთან და ქარხნებთან არსებული გამომგონებლობის ბიუროები სრულ უმოქმედობას იჩენენ, ინჟენერ-ტექნიკოსები გამომგონებლობას სათანადო დახმარებას არ უწევენ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ამ საკითხისადმი ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების გულგრილობაც. საჭიროა გადამჭრელი ზომები ჩამოთვლილ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მუშათა წინადადებებისა და გამომგონებლობისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა.

გაზ. „კომუნისტი"-ს და „ჭიათურის მაღაროელი"-ს ბრიგადა.

მშენებლობის მექანიზაციისათვის

მუშა-ხელის გამოაშკარავებული საჭიროების დასაკმაყოფილებლად, საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ყველა სამშენებლო ორგანიზაციებს — სასწრაფოდ შეიმუშაონ ღონისძიებანი მშენებლობის მექანიზაციისა და რაციონალიზაციის გასატარებლად. შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 1931 წელს, თანახმად დირექტივებისა, გადიდებულ უნდა იქნას 33 პროცენტით. ყველა სამშენებლო ორგანიზაციებმა მათ მიერ მუშა-ხელის შესახებ შედგენილ საკვარტალო ოპერატიულ გეგმებში უნდა შეიტანონ სათანადო ცვლილებები და შეავსონ ისინი დამატებითი ცნობებით.

პროფ. ივ. ბერიტაშვილის „მარქსიზმი"

მისი წიგნის გამო: „ქცევათმეცნიერება, ფსიქოლოგია და დიალექტიკა"

1930 წ. გვ. 93

საბჭოთა კავშირის მრავალი მეცნიერი დადგა გულწრფელად მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ. მარქსისტული თეორია დღითი დღე იპყრობს ახალ-ახალ პოზიციებს, რადგან ძლიერი აღმოჩნდა ამ თეორიის პრაქტიკა, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა. მეცნიერთა ამ ჯგუფს, რომელმაც გულწრფელად განიზრახა მარქსისტული თეორიით შეიარაღება მიეკუთვნება პროფ. ივ. ბერიტაშვილი, საკმაოდ ცნობილი მეცნიერი მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ კეთილი სურვილი არ კმარა, არამედ გარდა ამ სურვილისა საჭიროა პარალელურად სპეციალური მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუმახინჯებლად შეთავსებისათვის, რასაც სამწუხაროთ ვერ ვამჩნევთ პრ. ბერიტაშვილის ნაწერებში. ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს მიუთითოთ პროფ. ბერიტაშვილს იმ შეცდომებზე, რომელთაც ადგილი აქვთ მის შრომაში, რათა ამით გაუადვილოთ მას სწორ მარქსისტულ პოზიციებზე დადგომა თავისი მეტად საგულისხმო მეცნიერულ მუშაობაში.

პროფ. ბერიტაშვილის დასახელებული წიგნის პირველი თემა არის ქცევის აქტები. ავტორი სწერს: „ქცევის აქტები წარმოადგენენ გარემოსადმი ადამიანისა და საზოგადოთ ცხოველების შეგუების უმაღლეს ფორმას" (გვ. 8. ხაზი ავტორისაა, სადაც ავტორზე არ იქნება მითითებული, ხაზგასმა ჩვენი იქნება ი. ბ.) ამას მისდევს ქცევათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის განსაზღვრის და მათი ურთიერთობის პრობლემას განხილვა, რომელზე დაყრდნობითაც ავტორი აღნიშნავს რა თავისი კვლევის მონაცემთა მჭიდრო კავშირს დიალექტიურ მატერიალიზმთან, ეხება დიდ სოციალურ მნიშვნელობის საკითხს: **„მესაკუთრე გლეხის კოლმეურნედ გარდაქცევა"**.

ადამიანის ქცევათა წმინდა ფიზიოლოგიური კვლევა ბევრჯერ გამხდარა მასაზრდოებელ წყაროდ უაღრესად მექანისტური შეხედულების გამომუშავებისა საზოგადოებრივ მოვლენებზე. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ნიმუშს იძლევა **პროფ. ივ. ბერიტაშვილის** შრომა, სადაც ეპოქალური მნიშვნელობის საკოლმეურნეო მოძრაობა ახსნილია „დიდი ტვინის ქერქის" ამა თუ იმ ფიზიოლოგიური ცვლილებებით.

ვიდრე პროფ. ბერიტაშვილის მიერ „აღმოჩენილ" კოლმეურნის ფიზიოლოგიის განხილვაზე გადავიდოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია იმ ძირითადი მომენტის აღნიშვნა, რომლის ანტიდიალექტიური გაგება ავტორმა საფუძვლად დაუდვა მთელ თავის შრომას, ეს არის ფიზიოლოგიური და ფსიქიური პროცესების ურთიერთობის პრობლემა. კერძოთ საკითხი ფსიქიურის როლის შესახებ ქცევის ამა თუ იმ აქტში.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ სარეცენზიოდ აღებული შრომა წარმოადგენს ავტორის მთელი რიგი შრომების რეზიუმეს. წიგნი უმთავრესად დასკვნითი ხასიათის მსჯელობას შეიცავს, რომლის ფაქტიურ და ექსპერიმენტულ მასალისათვის ავტორს მითითებული აქვს თავისი სხვა შრომებზე, დაწყებული 1913 წლიდან, გათავებული დღემდე და ისეთზედაც კი, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის (მაგ. „უდიდტვინო ძაღლის ქცევა", იხ. ლიტ. საბ.).

მაშასადამე, შედეგად მთელ ამ მანძილზე მეცნიერულ-ექსპერიმენტულ მუშაობისა რა პასუხს აძლევა ავტორი მითითებულ ცენტრალურ პრობლემის შესახებ? ამ საკითხზე პასუხი ანტიმარქსისტული, ანტილენინური სახე ავტორის იდეოლოგიური პორტრეტივით არის მოთავსებული მისი წიგნის პირველ გვერდზე... „დაისვა საკითხი ჩემს წინაშე სუბიექტიურ მოვლენათა ანუ ფსიქოლოგიის საგნის შესახებ—ამბობს ავტორი. ეს საკითხი მაშინ ასე გადავწყვიტე: **ფსიქიური მოვლენანი არავითარ როლს არ თამაშობენ ქცევის აქტების წარმოშობაში**". ამრიგად ადამიანის მოქმედება-მოძრაობაში „ფსიქიური მოვლენანი არავითარ როლს არ თამაშობენ". ავტორი მისდევს რუსეთის ცნობილ რეფლექსოლოგებს. ამ მიმართულების უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის მიუხედავად, დღეს მაინც ყველასათვის ნათელი გახდა, თუ როგორ აბსურდამდე მიეიდა რეფლექსოლოგიის მონაცემზე ფსიქიურის როლის უარყოფა. ეს ისტორია ამ შემთხვევაში ჩვენთვის იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც იმაზე მითითება, რომ ფსიქიურის მნიშვნელობის განდევნა ადამიანის მოქმედებიდან ნაცადი იყო გამოჩენილ მარქსისტების შეხედულებათა საფუძველზე. პლეხანოვს ერთ ადგილზე (იხ. პლეხ. [illegible] კრებ. ტ. 17 გვ. 124) აქვს ნათქვამი, რომ თუ ქცევა-მოქმედებაში ფსიქიურს მივანიჭეთ რაიმე მიზეზობრივი როლი, ამით უარყოფილი იქნება ენერგიის შენახვის კანონი. ფსიქიურის როლის უარყოფის საკითხისათვის ეს დებულება გამოყენებული იქნა არა მხოლოდ რეფლექსოლოგების მიერ (მაგ. პროტოპოპი) არამედ იმათ მიერაც, ვინც სოციალურ მოვლენათა შემსწავლელ მეცნიერების წარმომადგენელნი არიან (მაგ. დანაშაულობის სოციოლოგიაში ვოლკოვი და სხვ.). სოციალურ მოვლენების ახსნის ასეთ დამახინჯებას ტონი მისცეს თვით რეფლექსოლოგებმა ჯერ კიდევ 1912 წელს. (იხ. ბეხტერევის სტატია დრილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში). ამ გზას თუმცა საკუთარი შრომით, მაგრამ უფრო ვულგარულ ფორმებში მისდევს პროფ. ბერიტაშვილი, რომელსაც კოლმეურნის მოქმედების ახსნა „დიდი ტვინის ქერქით" აღარ გაუჭირდა, ვინაიდან ამ მოქმედებაში „ფსიქიური მოვლენანი არავითარ როლს არ ასრულებენ". ყველა ამ ჯურის მოაზროვნის და, მაშასადამე ჩვენი ავტორის წინააღმდეგ სანიმუშოდ უნდა იქნას აღებული ლენინის მიერ განმანადგურებელი კრიტიკა ბოგდანოვის მექანისტურ ვარჯიშობისა, რომელსაც ეს უკანასკნელი აწარმოებდა სოციალურ მოვლენების საკითხში „ბიოლოგიური ცნებების გადატანით". ამას უწოდებდა ლენინი „ცარიელ ფრაზას".

არ არსებობს არც ერთი მარქსისტული დებულება, რომელზე მითითებითაც შესაძლებელი იყოს ფსიქიურის როლის გამორიცხვა მიზეზობრივ ჯაჭვიდან, რომელშიდაც ვითარდება ადამიანის ესა თუ ის მოქმედება. კერძოდ აღნიშნული პლეხანოვის დებულების პირდაპირი გაგება არ შეიძლება ჩაითვალოს მარქსისტულად. ენერგიის შენახვის კანონის საფუძველზე ფიზიოლოგიურისადმი ფსიქიურის მიზეზობრივი დამოკიდებულების უარყოფა ნიშნავს შებრუნებულ მდგომარეობის უარყოფასაც: ფიზიოლოგიურიც ვერ იქნება მიზეზი ფსიქიურის. ამის შემდეგ ფსიქიურის რეალობის აღიარება უკვე ნიშნავს ფსიქო-ფიზიკურ პარალელიზმს. მაგრამ პროფ. ბერიტაშვილისათვის ეს შეუმჩნეველი ხდება.

„ცხადია ინსტრუქციას, ისტორიულ ან სოციალურ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქცევის ამა თუ იმ აქტის გამოწვევაში, ამბობს ავტორი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფსიქიკა **ცნობიერების ან ნებელობის სახით მონაწილეობას იღებდეს ადამიანის ქცევაში**" (გვ. 16). ამ დებულების ანტიმარქსისტული ხასიათის შესახებ კომენტარიები ზედმეტია. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა პროფესორს დაუსვათ საკითხი: რა აზრი აქვს მატერიის რომელიმე ნაწილის თვისების არსებობას, ამ შემთხვევაში ფსიქიურს, თუ მას არ გააჩნია არავითარი ფუნქციის შესრულების უნარი? იმისათვის, რომ ფსიქიური, როგორც „ერთგვარი რეალობა", რაიმე ფუნქციის შესრულების უნარით იყოს აღჭურვილი, აუცილებელია იგი მიზეზობრივად მიემართებოდეს ან ფიზიოლოგიისადმი ან ისევ ფსიქიურისადმი. ფსიქიურისადმი ამგვარი მიმართება თვით ავტორის მიერაც უარყოფილია, როდესაც ამბობს: „ფსიქიურ ფენომენთა შორის არავითარი მიზეზობრივი ან ფუნქციონალური დამოკიდებულება არ არსებობს" (გვ. 59). დარჩა, მაშასადამე ის, რომ ფსიქიურმა თავის ფუნქცია უნდა განახორციელოს ფიზიოლოგიურისადმი. მაგრამ ავტორი კატეგორიულად გვიმტკიცებს, რომ აქ ფსიქიური არც ცნობიერების და არც ნებელობის სახით მონაწილეობას არ ღებულობს. ცხადია აქედან, რომ ფსიქიურს არ გააჩნია არავითარი ფუნქციის შესრულების უნარი. ის ზედმეტია, მისი არსებობა უაზროა. ამრიგად გამოდის, რომ მატერიამ თავის განვითარების მაღალ ფორმებში, რომელიც აზროვნების თვისებითაა დაჯილდოებული, გამოააშკარავა სრული უაზრობა: **მატერიის თვისება ყოველგვარ ფუნქციის შესრულების უნარის გარეშე.**

მაგრამ შესაძლებელია ეს უაღრესად ანტიმარქსისტული აზრები ავტორმა შესცვალა მას შემდეგ, რაც მან დიალექტიური მეთოდი შეგნებულად „გამოიყენა", ე. ი. **სუბიექტიურ განცდისა და მოძრაობის ურთიერთობის** აქ მოყვანილი გაგება შეიძლება ავტორმა შემდეგ ანტიდიალექტიურად ჩასთვალა. უარყოფითი პასუხი ამაზე ავტორს გაცემული აქვს 93-ტე გვერდზე. **„სუბიექტიურ განცდის და მოძრაობის ურთიერთობა"** იმგვარად მკვიდრდება საბოლოოდ ავტორის მოსაზრებებში, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. ამრიგად ავტორი რჩება თავის პოზიციებზე, დიალექტიური მატერიალიზმის შემდეგი ძირითადი დებულების წინააღმდეგ: „ყოფა და აზროვნება, თუმცა **განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ იმავე დროს იმყოფებიან ურთიერთ მთლიანობაში**".

უარყოფილია რა ავტორის მიერ ფსიქოფიზიკური ურთიერთობის დიალექტიური მონიზმი, სავსებით ანალოგიურად გადაწყვეტილია ფსიქიურისა და ქცევათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხიც. პროფ. ბერიტაშვილი გამოდის იმ ტიპიურად არამარქსისტულ დებულებიდან, რომ ადამიანის ორგანიზმის მოქმედება, ქცევა და ფსიქიური განცდები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთი მეთოდით ახსნილი და გაგებულ იქნან. კერძოთ ის მეთოდი, რომელიც ფსიქოლოგიის „ერთად-ერთი" მეთოდია, არაფერს იძლევა ქცევის ახსნისათვის, ხოლო თვით ქცევა არაფრის მთქმელი არ არის ფსიქიურის შესახებ. თავის მხრივ აქ ავტორი იშველიებს ისტორიულად ცნობილ იდეალისტურ ფილოსოფიურ სკეპტიციზმს სხვის „მე"-ს შეუმეცნებლობის შესახებ.

„აქნობამდი, ამბობს „მარქსისტი"-პროფესორი, შეუძლებელი იყო სხვისი სუბიექტიური განცდის შესწავლა გარეგან რეაქციებთან ერთად. **დღესაც ამ მდგომარეობაში ვართ. რა იქნება მომავალში ამის თქმა ძნელია, მაგრამ ცხადია, ვიდრე ვიქნებით დღევანდელ მდგომარეობაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით უარი ვთქვათ სხვისი ფსიქიური განცდების შესწავლაზე**" (გვ. 86). აი პროფ. ბერიტაშვილის „საგანი თავისათავად" ფსიქიურის შესახებ. „ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ გარეგანი რეაქცია სუბიექტიურ განცდათა მაჩვენებლად ვერ გამოდგება" (გვ. 60), ამბობს ავტორი და განაგრძობს: **„ჭეშმარიტი ბიჰევიორისტი ადამიანისა და ცხოველთა ქცევას განიხილავს ფსიქიკისაგან დამოუკიდებლად** (აი სად ყოფილა ჭეშმარიტება ი. ბ.) **იმ სწორი მოსაზრებით** (?!?), რომ შესაძლებელია რაიმე თქმა ჩვენი საკუთარი ქცევის თანმდევ ფსიქიკის შესახებ, მაგრამ სრულიად რაიმე გარკვეულის თქმა არ შეიძლება სხვა ადამიანთა და მით უმეტეს ცხოველთქცევას ფსიქიურ ფენომენთა შესახებ" (გვ. 51). მრავალი ავტორის დასახელება შეიძლებოდა იდეალისტურ ბანაკიდან, რომლის სიტყვებსაც ერთგულად იმეორებს პროფ. ბერიტაშვილი, მრავალი ამონაწერები შეგვეძლო აქ მოგვეყვანა მარქს-ენგელსის, ლენინის ნაწერებიდან ავტორის პოზიციის ანტიმარქსისტულ ბუნებაზე მითითებისათვის, მაგრამ უადგილობის გამო ამას აქ ვერ ვახერხებთ.

დროის მოგებისათვის სჯობია პირდაპირ დავაყენოთ შემდეგი საკითხი: **აქვს თუ არა საკუთარ მსჯელობის საფუძველზე პროფ. ბერიტაშვილს უფლება ფსიქიურის ხსენების შესახებ საერთოდ?** ჰქონდა თუ არა მას უფლება თავის წიგნზე დაეწერა სათაური: „ქცევათ მეცნიერება **ფსიქოლოგია და დიალექტიკა**"? **გადაჭრით შეიძლება ითქვას**, რომ არა. რა არის ჩვენი ავტორისათვის ცდის ობიექტივი, რომელზედაც ის აკეთებს დასკვნებს? ესენი არიან უსიტყვო ცხოველები, უმთავრესად ძაღლები. მკითხველი აქვე შეგვენიშნავს, რომ განა ფსიქიურის შესახებ ცხოველთა მოქმედება არაფრის მთქმელი არ არის? რასაკვირველია, რომ არის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, საჭიროა თვით პროფ. ბერიტაშვილის თანხმობა. ის კი აი, როგორ „გვეთანხმება". „აგრეთვე უმართებულოა და პირდაპირ **აბსურდია** გამოთქმა ცხოველთა შედარებით ფსიქოლოგია ან ზოოფსიქოლოგია (ვაგნერი) ამბობს ავტორი. ჩვენ შეგვიძლია მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველების ადამიანებთან მსგავსების ნიადაგზე მხოლოდ იმის თქმა, რომ ასეთ ცხოველებს **შესაძლოა ქონდეთ** ფსიქოგენური ნერვული ელემენტები. მაგრამ უფრო კონკრეტული ლაპარაკი ცხოველთა სუბიექტიურ განცდების შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია, **ვინაიდან არავის არ სმენია ცხოველთაგან მათი სუბიექტიურ განცდების შესახებ.** რაც შეეხება გარეგან რეაქციებს, მათი მიხედვით, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ შეუძლებელია სუბიექტიურ განცდათა ნამდვილი ხასიათის შესახებ დასკვნების გამოყვანა" (გვ. 62). ამრიგად ავტორისათვის აზრი იმის შესახებ, რომ ცხოველებს შეიძლება ქონდეთ ფსიქიური განცდანი და რაც მთავარია ამაზე მეცნიერულ მონაცემზე ლაპარაკი, „**აბსურდია**". მაგრამ თუ ეს აბსურდია, მაშინ რაღა არის ფსიქოლოგიაზე და მის საგანზე ლაპარაკი **ასეთ ცხოველთა დაკვირვების ნიადაგზე**? რაღა უფლებით აცხადებს ავტორი შემდეგს: „ქცევათმეცნიერებისა და **ფსიქოლოგიის საგანი** და ამ ორი მეცნიერების შორის ურთიერთობა ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ წინა თავებში. ჩვენი მიზანი იყო განგვემარტა დასმული პრობლემა რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო **ქცევის ფიზიოლოგიის** შესწავლის მონაცემთა ნიადაგზე". ამრიგად **ქცევაში ფსიქიური არ მონაწილეობს, ქცევა კი ფსიქიკის შესახებ არაფრის მთქმელია, ხოლო ქცევის შესწავლით კი განისაზღვრება ფსიქოლოგიის საგანი.**

ავტორის მეთოდოლოგიური დუალიზმი თავს იჩენს ფსიქოლოგიის მეთოდის საკითხის გარკვევის დროს. უარჰყოფს რა მთელ რიგ დისციპლინათა სახელწოდების უმართებულობას ფსიქიურის შესწავლისათვის იმ მოსაზრებით, რომ ამ დისციპლინებს კვლევის ერთად-ერთი ობიექტიური მეთოდი მოეპოვებათ, ამბობს: „ამრიგად ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის სუბიექტიურ განცდებს **ამ მიზნისათვის მას მოეპოვება ერთად-ერთი მეთოდი — თვითდაკვირვების მეთოდი**" (გვ. 64), „ფსიქოლოგიას მხოლოდ სუბიექტიურ განცდებთან აქვს საქმე; **გარეშე თვითდაკვირვებისა მას სხვა მეთოდი არ გააჩნია!**" (გვ. 62), ასეთი მეთოდოლოგიური გათიშვა ქცევისა და ფსიქიურის შესწავლის შესახებ ავტორს შემდეგნაირად აქვს ნასესხები რეფლექსოლოგებისაგან: „ეს მიმართულება (რეფლექსოლოგია ი. ბ.) ამბობს ავტორი, სუბიექტიურ ფსიქოლოგიის საგანს, ფსიქიურის რეალობას არ უარყოფს. ფსიქოლოგიას ბეხტერევი ახასიათებს, როგორც მეცნიერებას სუბიექტიურ მოვლენათა შესახებ და ამ მოვლენათა წვდომას მხოლოდ თვითდაკვირვების ნიადაგზე მიიჩნევს შესაძლებლად" (გვ. 11). აქ არ გვინდა კვლავ გავიმეოროთ ავტორისადმი ის ბრალდება, რომ ანტიმარქსისტულ აზრების გამოთქმაში ორიგინალობა მას არ ეკუთვნის. ავტორმა დროა იცოდეს, რომ ჩვენთვის ერთად-ერთი მეთოდი ფსიქოლოგიაში შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსიზმი. მარქსისტული ფსიქოლოგია იბრძვის როგორც „სუბიექტიურ ფსიქოლოგიის" ცალმხრიობის, ისე ბეხტერევის და პავლოვის ვულგარულ მატერიალიზმის წინააღმდეგ. თვით დაკვირვების მეთოდის (ინსტროსპექციის) „ერთად-ერთ" მეთოდათ გამოცხადება ფსიქოლოგიურ მეცნიერებისათვის, როგორც უაღრესად იდეალისტური გამოხატულება, ისეთივე ცალმხრივი და ანტიმარქსისტულია, როგორც ცალმხრივია „ობიექტიური", მექანიკური კვლევა გარეგან რეაქციებისა. მარქსისტული ფსიქოლოგიის დიალექტიური მეთოდი ხსნის (СНИМАЕТ) და სინთეზში აყალიბებს ისტორიულად მის წინამორბედ აღნიშნულ ცალმხრივ მეთოდებს. სხვაგვარი მდგომარეობა შეუძლებელია, ვინაიდან ქცევის და ფსიქიურის ურთიერთობა თავისთავად მხოლოდ ამ მთლიანობაში არსებობს. რასაკვირველია პროფ. ბერიტაშვილი ამ პოზიციაზე ვერ დგება, ვინაიდან მისი შეხედულების საფუძველზე ქცევაში ფსიქიური არ ღებულობს მონაწილეობას, ხოლო ქცევა ფსიქიურის შესახებ უტყვია.

ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლებოდა მრავალი ანტიმარქსისტულ დებულებაზე მიგვეთითებია ავტორის ნააზრევში. *) ამ მხრივ ყველაზე საინტერესო იქნებოდა ის, თუ როგორ უარყოფს ავტორი საერთოდ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას და მაშასადამე მარქსისტული ფსიქოლოგიასაც (იხ. გვ. 60, 62, 64 და სხ.), მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისია.

ავტორი კოლექტივიზაციის ფრონტზე დიალექტიურ მატერიალიზმის შემოწმებისათვის, ვულგარულ მატერიალიზმის საკეთილდღეოთ, მამართავს დიდი ტვინის ქერქის მოძრაობას და ამასთან დაკავშირებულ ე. წ. „დროებით კავშირებს". ამ უკანასკნელის დახასიათებას ავტორი იძლევა შემდეგნაირად: „თვითეული კერის აღგზნება ვრცელდება რა დიდი ტვინის ქერქში უმთავრესად აღნიშნული აღგზნებულობის კერებზე მოქმედებს. ამის გამო ამ კერათა შორის ვითარდებიან დიდი აღგზნებულების ნერვიული ხაზები, რომელიც პავლოვმა **დროებითი კავშირები უწოდა**" (გვ. 12. ხაზი ავტ.).

ვნახოთ ეხლა როგორ აყალიბებს პროფ. ბერიტაშვილი კოლმეურნეობებს ამ „დროებითი კავშირებით".

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ავტორის შემდეგი სიტყვები: „მესაკუთრე გლეხის კოლმეურნედ გადაქცევა ხდება იმდენად **მოკლე ხანში**, რომ უეჭველია ძველი კავშირების (დრ. კავშირების ი. ბ.) ჩაქრობა უნდა იყოს პირობადებული უმთავრესად ახალი დროებით კავშირების განვითარების მიერ" (გვ. 90). ამრიგად ავტორი თითქოს იმ დასკვნამდი მიდის, რომ მესაკუთრე გლეხის გადაქცევა კოლმეურნედ ხდება „მოკლე ხანში" და ამით კოლმეურნეობის მშენებლობის ტემპები სავსებით დადასტურებულია დიდი ტვინის ქერქში „დროებითი კავშირების" მოქმედებით. არაფერს არ ვიტყოდით, **რომ ავტორი სრულიად საწინააღმდეგო აზრს არ იცავდეს სინამდვილეში და სიტყვები: „მოკლე ხანში" არ იყოს ნახმარი**, აღვნიშნავთ პირდაპირ, თვალის ასახვევად. იქვე ავტორი ამბობს შემდეგს: „ძველი დროებითი კავშირების ჩაქრობა შეიძლება მოხდეს, როგორც ცნობილია თანდათანობით **დიდი ხნის** განმავლობაში მათი უვარჯიშობის გამო ან ახალი კავშირების მათზე მძლავრად განვითარების გამო" (გვ. 90) აი ის „მოკლე ხანი", რომელიც ხდება „**დიდი ხნის**" განმავლობაში. კიდევ: „ხოლო რაც შეეხება ამ ელემენტებისა (ფსიქოგენური, ფსიქიკის წარმომშობი ფიზიოლოგიური ელემენტები. ი. ბ.) და ქერქის მამოძრავებელი ელემენტებს შორის ახალი მკვიდრი დროებით კავშირების განვითარებას ე. ი. ახალი ქცევის აქტების განვითარებას, ეს კი მოითხოვს **ხანგრძლივ** სპეციალურ მუშაობას..." (გვ. 92). და შემდეგ: „ყოველ მესაკუთრე გლეხის კოლმეურნედ გადაქცევა კი მოითხოვს ახალ საკოლმეურნეო კავშირების გაბატონებას ძველ დროებით კავშირებზე (არ დაგავიწყდეთ, ქერქის დროებითი კავშირებზეა აქ ლაპარაკი. ი. ბ.), რისთვისაც შესაძლებელია საჭირო იყოს კოლმეურნეობიდან სარგებლობის მიღება **დიდი ხნის განმავლობაში**" (გვ. 93). ცხადია აქედან თუ რას ნიშნავს დადებითი შინაარსისაგან გაცლილი „ცარიელი ფრაზა". „**მოკლე ხანში**", მაგრამ განა ბუნებრივი არ არის გაიძახოდეს მესაკუთრე გლეხის კოლმეურნედ გარდაქცევისათვის „დიდი ხნის" საჭიროებაზე და ამ პროცესის მექანიკურ ხასიათზე, ის ვინც აღნიშნულ დასკვნებს აკეთებს კარჩაკეტილ ლაბორატორიაში ცხოველთა რეფლექსებზე. („**ეს დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს დიდი ტვინის ქერქის მოქმედების შესწავლისაგან**" გვ. 92) კოლმეურნეობის ტემპების ანტილენინურ შეხედულებით აღჭურვილ მოწინააღმდეგეებს თავისი არგუმენტების სუბიექტიურ მხარეს მალამოთ ედება პროფ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური მონაცემი. „თანდათანობა", „ხანგრძლივობა", „დიდი ხანი" აი საჭირო პირობა იმისათვის, რომ გლეხი კოლექტივში გაერთიანდეს.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება. ავტორს მოეპოვება ჩამოყალიბებული შეხედულება კოლმეურნეობაში, გლეხის იძულებით, მის ნების გარეშე გაერთიანებისა, ე. ი. იმ გლეხის, რომელიც ჯერ არ მიმხრობია კოლექტივს, მაგრამ რატომღაც მაინც კოლექტივშია. როდის ხდება გლეხი კოლექტივის მომხრედ? ვიდრე კოლექტივში არ არის შესული ის კოლექტივის მომხრე არ შეიძლება იყოს, ვინაიდან ტვინის ქერქში ახალი დროებითი კავშირები, რომლითაც „პირობადებულია" ეს პროცესი არ შეიძლება რომ არსებობდეს, რადგან ამისათვის საჭიროა „კოლმეურნეობებიდან სარგებლობის მიღება დიდი ხნის განმავლობაში". ამრიგად გლეხი მისი სურვილის წინააღმდეგ, არა თუ მხოლოდ კოლმეურნეობაში შესვლის დროს არის იმის მომხრე, არამედ ის ამ მდგომარეობაშია თვით კოლექტივშიდაც „**დიდი ხნის განმავლობაში**". ცხადია კოლმეურნეობათა უარყოფის თეორია აქ არ ჩერდება. მას აქვს კიდევ ახალი ფიზიოლოგიური მონაცემი, თუ როგორ უძლურნი არიან ეს ახალი საკოლმეურნეო დროებითი კავშირები ძველთან ბრძოლაში. „მაგრამ, როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში (ავტორს მხედ. ჰყავს ღარიბი და საშუალო გლეხის კოლმეურნედ გადაქცევა ი. ბ.) ჯერ გაუმაგრებელი საკოლმეურნეო დროებითი კავშირები მუდმივ კონკურენციას განიცდიან ძველი მკვიდრ მესაკუთრე კავშირების მხრიდან ბატონობისათვის დიდი ტვინის ქერქში. თავდაპირველად თითქმის ყველა გარემოებაში ახალ კავშირებთან ერთად იგზნება ძველი კავშირებიც და, რასაკვირველია, **ძალიან ხშირად გაიმარჯვებენ უკანასკნელნი**" (გვ. 91). ამრიგად უმეტეს შემთხვევაში ან რაც იგივეა „ძალიან ხშირად" მარცხდება გლეხში საკოლმეურნეო მისწრაფება და იმარჯვებს კერძო საკუთრების გრძნობა.

ჩვენი სოფლის გლეხის კოლმეურნედ გადაქცევა პროფ. ბერიტაშვილმა სავსებით თანმიმდევრობით დაუკავშირა „დიდ" და წმინდა ფიზიოლოგიურ სიძნელეებს, რამდენადაც მისთვის „ადამიანის ქცევაში ფსიქიური არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს". წიგნის პირველი გვერდი ღირსეულად გაამართლა წიგნის უკანასკნელმა სტრიქონებმა.

კიდევ ერთი ნიმუში საკოლმეურნეო რეფლექსისა: „ყოველი თანდროულ და მომდევრო აღგზნების კერათა შორის მყარდება ახალი დროებითი კავშირები. თუ ამასთან ისე მოხდა, რომ **მესაკუთრე გლეხი დამშიედა მოუსავლობის ან სხვა მიზეზის გამო, კოლმეურნეობის ბეღელი კი** მზადაა კოლმეურნეთა დასაკმაყოფილებლად ეს სრულიად საკმარისი იქნება, რომ ისიც მიემხროს კოლმეურნეობას" (გვ. 91). აი როგორი ტიპის გლეხი გამოიყვანა ავტორმა კოლექტივიზაციის ფრონტზე, რომელიც დამშეულია და შეჰყურებს სხვისი შრომით მოპოვებულ სავსე ბეღელს. ასე რომ კოლექტივიზაციის წარმატებისათვის დიდი ინტერესით უნდა ველოდეთ მოუსავლიან წელიწადს. მაგრამ საინტერესოა ავტორის მიერ მითითებულ **სიმშილის რეფლექსს** რა ბედი ეწევა, როდესაც დადგება მოსავლიანი წელიწადი? ნუ თუ ავტორი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს, როდესაც ადამიანის მოქმედებას ცხოველის რეფლექსებს ადარებს? ნუ თუ მისი ყურადღებისათვის სავსებით შეუმჩნეველია სოციალისტური მშენებლობის ის ენტუზიაზმი, რომლითაც აღჭურვილია კოლმეურნე და რომელსაც აქვს უნარი იბრძოლოს უკეთეს მერმისისათვის მიუხედავად დღევანდელ ამა თუ იმ სიძნელისა? ნუ თუ პროფესორი მონახავს სადმე ტვინის ქერქში ისეთ ადგილს თვისებით, რომელიც არც ერთ პიროვნებაში არ არის, როგორც ინდივიდუალური, მაგრამ შეიძლება არსებობდეს ყველა ინდივიდში, როგორც კოლექტიური. მოვიყვან მარქსის სიტყვებს:

„... აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ინდივიდუალური საწარმოო ძალის გადიდებაზე კოოპერაციის საშუალებით, არამედ **ახალი საწარმოო ძალის შექმნაზე**, რომელიც თავისთავად მასურ ძალას წარმოადგენს.

გარდა ამ ახალი ძალისა, რომელიც მრავალი ძალის საერთო ძალად შედუღებისაგან წარმოსდგება თვით **ფაქტი საზოგადოებრივი კონტრაქტისა უმეტეს შემთხვევაში პროდუქტიულ მუშაობათა შეჯიბრების და სასიცოცხლო ენერგიის** (animal spiritus) ერთგვარ გაძლიერებას იწვევს რაც თვითეული მუშის ინდივიდუალურ შრომის უნარს ადიდებს (მარქსი. იხ. „კაპიტალი" ქართ. გამოცემა გვ. 280). პროფ. ბერიტაშვილმა სცადოს აქ ფიზიოლოგიური ნაწილების ძებნა ცალკე ინდივიდში.

ავტორს მოჰყავს დიალექტიკის კანონების საილუსტრაციოდ სხვადასხვა მაგალითები **მის ლაბორატორიაში მოხდენის ცდებიდან.** ეხება რა პირველყოფილ ადამიანის „გაკულტუროსნებით" „თვისების რაოდენობაში გადასვლის" საკითხს, ამბობს: „მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ **პირველყოფილი ადამიანის კულტურ. ადამიანად გადაქცევა, მისი ისტორიული განვითარება დედამიწის ზურგის ზოგიერთ ტერიტორიაზე, პირდაპირ დამოკიდებული იყო გარეგან პირობებზე, რომელშიაც ისტორიულად მას უხდებოდა ცხოვრება**" (გვ. 84. ხაზი ავტ.) ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ რომელი „მაშასადამე"-სა და დასკვნის უფლება ქონდა ავტორს? ამისათვის, რომელიმე ერთი სოციალური ფაქტი მაინც უნდა დაესახელებია. ავტორი ხომ მხოლოდ „ქერქულ ნივთიერების მასის" რაოდენობას იკვლევდა (გვ. 83). ზემოდ აღნიშნული თავისთავად მარქსისტული დებულება ხომ იმ ცდებზე არ მიიღებოდა, რომელსაც ის აწარმოებდა ტვინის ფსიქოგენურ ელემენტებზე?

მეორე მსგავსი მაგალითი. ფურცლის ერთი გვერდის ნახევარზე ამტკიცებს რომ გარემოსა და ცხოველებს შორის დიალექტიური ურთიერთობაა. მოჰყავს ენგელსის მაგალითი თუ თხებმა როგორ გაატიტვლეს საბერძნეთის მთები და ასკვნის, რომელსაც სთვლის თავისი დიალექტიური მუშაობის შედეგად. „გარემო და ადამიანი ცხოველით მუდმივ ურთიერთ მოქმედებაში იმყოფება ე. ი. წარმოადგენს წინააღმდეგობათა ერთიანობას" (გვ. 86. ხაზი ავტ.). მაგრამ განა ეს პროფ. ბერიტაშვილის კვლევის საილუსტრაციოდ, ამ კვლევის დიალექტიურ ბუნების მაჩვენებლად გამოდგება? ვეჭვობთ, რომ საბერძნეთის მთები და თხები ოდესმე ყოფილიყოს ფიზიოლოგის ლაბორატორიაში. ფიზიოლოგმა იმ ობიექტებზე უნდა გვიჩვენოს დიალექტიკის კანონები, რომლებიც მოთავსდებიან მის ლაბორატორიაში. სოციალური მოვლენები ყველაზე უფრო შეუფერებელი მოცულობისანი არიან ამ მხრივ და მათ შორის ყველაზე უფრო შეუფერებელი „მესაკუთრე გლეხის კოლმეურნედ გადაქცევის" საკითხი.

ავტორს ერთის განცხადების უფლება მაინც აქვს. იტყვის: „მე სავსებით მესმის ენგელსის მითითება იმის შესახებ, რომ უაზრობაში და გულუბრყვილობაში იმყოფებიან ის ბურჟუაზიული მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ მუშაობას ამა თუ იმ ფილოსოფიური მეთოდით ხელმძღვანელობის გარეშე. მეც ვხელმძღვანელობ კერძოდ მარქსისტული დიალექტიური მეთოდით"-ო. ამ უკანასკნელი წინადადების აზრს მართლაც იმეორებს ავტორი თავისი წიგნის რამოდენიმე ადგილას (გვ. 4 და 71), მაგრამ სინამდვილეში ავტორი აი რას ამბობს: „ამნაირად, როდესაც მხედველობაში ვიქონიე დიალექტიური კანონები ცნობილი ფაქტიური მასალის განხილვისას, მე მივიღე ჩემთვის ახალი შედეგები. რასაკვირველია, ეს იმას **არ ნიშნავს, რომ ამ შედეგების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ კანონების მხედველობაში მიღებისას.** თუ რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა ნამდვილად მეცნიერულია ე. ი. შეეგუება სინამდვილეს, **იგი მიღებული იქნება ჩემ მიერ თუ სხვათა მიერ აგრეთვე დიალექტიურ კანონების ხელმძღვანელობაზე დამოუკიდებლადაც.** რამდენადაც მთელი ბუნების განვითარება სწარმოებს დიალექტიური გზით, შეუძლებელია, რომ მკვლევარმა არ გააკეთოს დიალექტიური დასკვნა ბუნების მოვლენათა შესახებ **თავისთავად მხოლოდ ფაქტების ნიადაგზე**" (გვ. 94).

ამაზე აშკარა და კატეგორიული უარყოფა დიალექტიური მატერიალიზმის ხელმძღვანელი როლისა შეუძლებელია. ამიტომ შემთხვევითი არ არის ავტორის სიტყვები: „... თუ ჩემს დასკვნებში ახალი რამ დებულება აღმოჩნდება, შედარებით წინა თავებთან, ეს უნდა მიეწეროს, სწორი იქნება თუ არა მკითხველის აზრით, პირველ ყოვლისა **დიალექტიკური მეთოდით სარგებლობას**" (გვ. 71). ამრიგად თუ პროფ. ბერიტაშვილის დასკვნები შემცდარი გამოდგებიან, ამაში შეცდომა მიუძღვის „უპირველესად დიალექტიკურ მეთოდით სარგებლობას" და არავითარ შემთხვევაში მექანისტურ ბიოლოგიურ შეხედულებას.

დარწმუნებული ვართ რომ დიალექტიური მატერიალიზმი არ არის პასუხისმგებელი იმ შეცდომებისათვის, რომლითაც იქვეზება პროფ. ბერიტაშვილის „მარქსიზმი".

იონა ბოჭორიშვილი.

---

*) ვინაიდან გასაგებ მიზეზების გამო დაწვრილებით ამ საკითხებზე აქ ვერ ვჩერდებით, ამიტომ შევეცდებით, თუ ამის შესაძლებლობა მოგვეცა, შევასრულოთ ეს სხვა ადგილას. თუმცა ჩვენ დიდი სიამოვნებით დავუთმობდით ამ საქმის შესრულებას სპეციალისტებს, რომელთა ასეთი საკვირველი დუმილი არანაკლებად საინტერესოა, ვიდრე ჩვენი თემა.

აქტიურად ჩავაბათ რაიონულ საბჭოთა აპარატის წმენდაში

კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები

საქმისადმი უყურადღებო მუშაკები გაძევებულ არიან

საქ. მუშგლეხინთან არსებული საბჭოთა აპარატის გამწმენდ ცენტრალურმა კომისიამ მოისმინა ბაღდათის რაიონის მუშგლეხინთან არსებულ სარაიონო გამწმენდ კომისიის მოხსენება ბაღდათის რაიონში ჩატარებული წმენდის შედეგების შესახებ. კომისიამ დაამტკიცა შემდეგი თანამშრომლების მოხსნა:

ალექსანდრე კახიძე (ბუხჰალტერი), 3091 მან. 44 კაპ. გამფლანგველი სცირის კოოპერატივში მუშაობის დროს მოიხსნა მეორე კატეგორიით, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მუშაობის აკრძალვით.

კონსტანტინე ივანეს-ძე ჩაიკა. (სატყეო მრეწველობის ტეხნიკოსი) ცრუ სპეცი, ჩაშალა ვაშლაქედის გზის გაყვანა, არღვევს შრომის დისციპლინას, სამსახურისადმი იჩენს გულგრილობას, მოიხსნა მეორე კატეგორიის სატყეო დარგში მუშაობის აკრძალვით.

მიხეილ ნარიმანის-ძე ნერგაძე (ნორმადარი), როგორც ყოფილი ვაჭარი მოიხსნა მეორე კატეგორიით.

მიხეილ ერმილეს-ძე ლოლაძე, როგორც სპეკულიანტი, ინტრიგანი, ნოქრად ყოფნის დროს სიმინდის გადამმალავი მოიხსნა პირველ კატეგორიით.

თვალაძე, ერთმმართველობის პრინციპის და შრომის დისციპლინის დამრღვევი, 1921 წელს გაიქცა საზღვარ-გარეთ, არის ცრუსპეცი, მოიხსნა მეორე კატეგორიით, სატყეო დარგში მუშაობის აკრძალვით.

თ. ვ.

მოსამზადებელი მუშაობა გაშლილია

ჩხოროწყუს რაიონში საბჭოთა აპარატის წმენდის ჩატარების შესახებ დირექტივის მიღებისთანავე დაიწყო წმენდის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, საკითხი აპარატის წმენდის შესახებ დამუშავდა ყველა პროფორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში და სხვ. ყველა პროფკავშირებთან ჩამოყალიბებულია აპარატის წმენდის დამხმარე კომისიები. მოსამზადებელი მუშაობის დამთავრების შემდეგ 5 ივლისს დაიწყო პერსონალური წმენდა.

წმენდის უკეთ ჩატარების მიზნით ყველა თემებში მიმაგრებულია რაიგამწმენდი კომისიის წევრები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სოფლებში აპარატის წმენდას.

ამრიგად ჩხოროწყუს რაიონში საბჭოთა აპარატის წმენდა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ა. გ.

წმენდის შედეგები სამტრედიის რაიონში

დამთავრდა სამტრედიის რაიონში შემავალ თემების საჯავახოს, გომის, აბაშის და ოფეთის საბჭოთა აპარატის წმენდა. წმენდამ გამოარკვია მთელი რიგი დეფექტები: აპარატში ბლომად თავმოყრილი არიან სოციალურად მიუღებელი ელემენტები, ბიუროკრატები, მავნებლები და სხვ. აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით აპარატიდან მოხსნილი არიან:

კიწმარეიშვილი შალვა (ფინმომუშავე), როგორც ყალბი მოწმობების გამცემი, არის სუსტი მომუშავე, ანგარიშიანობა არეულ-დარეული აქვს, აჭიანურებს საქმეებს. მოხსნილია მესამე კატეგორიით.

ნიკოლაიშვილი ალექსანდრე (საწ. ამხ.-ბის თავმჯდომარე) შავსიილებს მისცა ყალბი მოწმობები, რომ ვითომ მათ აღდგენილი აქვთ ხმის უფლება, რისთვისაც მიიღო ქრთამი, ხელს აფარებს ნათესავ კულაკებს. სისტემატიურად ლოთობს სამუშაოზე ცხადდება მთვრალი და იქვე მთელი დღეობით იძინებს, კოოპერატივიდან გამოქონდა ახალი ტანსაცმლები დროებით სახმარათ და რამოდენიმე დღის შემდეგ უბრუნებდა, მიითვისა 15 კილო ფქვილი, ნიკოლაიშვილი გლეხების მიერ ჩაბარებულ კვერცხებს, ქათმებს და ყველს გზავნიდა თავის სახლში, გლეხებს ეპყრობა უხეშად, ემუქრებოდა მოკვლით. მან მიითვისა კოლექტივის მიერ დამუშავებული ერთი ქცევა სიმინდი, მოიხსნა პირველი კატეგორიით.

ივანე ხუნწკარია (კოოპ. ნოქარი,) როგორც უხეში და სუსტი მუშაკი მოიხსნა მესამე კატეგორიით.

ოფეთის საბჭოდან მოხსნილი არიან

ჩიხლაძე ალექსანდრე (ოფეთის კოოპ. ნოქარი) ვაჭრის შვილი, არის სუსტი მომუშავე, მიღებულია პროტექციით, მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ნიკოლეიშვილი (ტერჩოულის ნოქარი) კოოპერატივიდან საქონლის თავის ნებაზე გაცემისათვის. გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

გომის სას. საბჭოს თემიდან მოხსნილი არიან

სულაქველიძე დავით (ნოქარი), საქონელს აძლევს ნაცნობებს, კოოპერატივს კეტავს 3-4 დღით უმიზეზოთ, სამუშაო საათებში ქალებში საუბრებით გართული, მოიხსნა მეორე კატეგორიით.

მეხანე მენაბდე გამწმენდ კომისიის სხდომაზე დებოშის მოხდენისათვის მოიხსნა მესამე კატეგორიით.

ჩ. ქ.

საბჭოთა აპარატის წმენდა ჩოხატაურის რაიონში

პირველ ივლისიდან დაიწყო ჩოხატაურის რაიონის საბჭოთა აპარატის წმენდა. წმენდას დიდძალი ხალხი ესწრება. წმენდის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ჩოხატაურის რაიპროფკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **სეფე ცინცაძის** მოხსენება სათემო კოოპერატივის მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ დაიწყო პერსონალური წმენდა. წმენდაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ „მსუბუქი კავალერიის" რაზმები და კოლმეურნე გლეხები, რომელნიც მიუთითებენ არსებულ დეფექტებზე.

ორ სხდომაზე წმენდა გაიარა 26 თანამშრომელმა. რაიკოოპერაციის თანამშრომლების წმენდის დამთავრების შემდეგ დაიწყო სას.-სამეურნეო რაიკავშირისა და საზბანკის კანტორის თანამშრომლების წმენდა.

შ. ქ.

წმენდა ონის რაიონში

2 ივლისს დაიწყო ონის რაიონის საბჭოთა აპარატის წმენდა. სანამ კომისია შეუდგებოდა თანამშრომელთა პერსონალურ წმენდას, მანამ მოსმენილ იქნა ღარიბ-ებრაელთა კომიტეტის მუშაობის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენება. მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. აპარატში ბლომად მოიძებნებიან ბიუროკრატები, მზადდება ცუდი ხარისხის საქონელი, კულტურული მუშაობა მოისუსტებს, არ ექცევა სათანადო ყურადღება ანტირელიგიურ მუშაობას, ადგილი აქვს არტელებში შავსიელების მიღების შემთხვევებს, არ ექცევა სათანადო ყურადღება ახალგაზრდა კადრების მომზადებას, ჩახშობილია ბოლშევიკური თვითკრიტიკა და სხვ.

საჭიროა გამწმენდმა კომისიამ რეალური ზომები მიიღოს აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ი. ქ.

შაბათს, 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციაში

მოწვეულია **დამკვრელ მუშკორთა საერთო კრება**

თბილისის წარმოებების. ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეებთან და უჯრედის მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის მასიური განყოფილების ანგარიში განვლილი მუშაობის შესახებ;
2. მასიური განყოფილების სამთვიური სამუშაო გეგმის დამტკიცება.
3. მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება რედაქციის ბინაზე.

გაზეთ „კომუნისტი"-ს მასიური განყოფილება.

აფხაზეთის საბჭოთა აპარატის წმენდის შედეგები

საქ. მუშგლეხინის კოლეგიამ მოისმინა აფხაზეთის საბჭოთა აპარატის წმენდის შედეგები, რომლებშიაც შემდეგი ცვლილებები შეიტანა.

ნ. ფაჩუაშვილი 1917-18 წელს ირიცხებოდა ესერების პარტიაში, კავშირი აქვს 26 კომუნარის დახვრეტასთან, მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

იოსებ კოგანი, ყოფილი სპეკულიანტი, მოიხსნა პირველ კატეგორიით.

ალექსანდრე რეზნიკოვი ავიწროებს დაწინაურებულთ. მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ალექსანდრე ბელიკოვი, არის ცრუ სპეცი, ბოროტათ იყენებდა თანამდებობას, უფასოდ სადილობდა წითელი ჯვრის კომიტეტის სასადილოში, მოხსნილია მეორე კატეგორიით.

ევგენი პავლეს-ძე ტატარინოვი, როგორც შავსიილი მოიხსნა პირველი კატეგორიით

თომა მოლარიშვილი, როგორც ყოფილი ვაჭარი მოიხსნა პირველ კატეგორიით.

არსენ მოლარიშვილი, როგორც ვაჭარი მოიხსნა პირველ კატეგორიით.

ირაკლი მასხულია, როგორც კერძო მესაკუთრე მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

იაკობ გეგელაშვილი, როგორც კერძო მესაკუთრე მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

ნიკოლოზ ჭავჭანიძე, როგორც ყოფილი ვაჭარი და ცრუ სპეცი, მოიხსნა მესამე კატეგორიით.

პავლე დონბანინი, სდევნის მუშა-კომკავშირელებს, არ ასრულებს განკარგულებებს, მოიხსნა პირველ კატეგორიით.

ვლადიმერ რუდენკო. არის ინტრიგანი, თანამშრომელთა შორის შექმნა ჯგუფი დირექტორის წინააღმდეგ, ბუხჰალტერიის საქმიანობა არეულ-დარეული აქვს. მოიხსნა პირველ კატეგორიით.

ივანე ფირსოვი — როგორც ინტრიგანი, ჭორიკანა, წამგლეჯი და ლაქუცა მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ლაუდმილა ფირსოვა, როგორც ინტრიგანი და ჭორიკანა მოიხსნა მეორე კატეგორიით

იაკობ დემინოვი მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ალექსანდრე ანტიპოვი —შვებულებაში ყოფნის შემდეგ თვენახევრის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამსახურში, მუშებს არ გააცნო მომარაგების ნორმები. მოიხსნა მეორე კატეგორიით. მომარაგების ორგანოებში მუშაობის აკრძალვით.

წმენდა გრძელდება მასების აქტიური მონაწილეობით.

იქაური.

დამთავრდა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატის წმენდა

დამთავრდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატის წმენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული აპარატის წმენდა მასების აქტივობის და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. წმენდამ გამოაშკარავა მთელი რიგი დეფექტები და მავნებლობის ფაქტები. რის გამო გამწმენდ კომისიის დადგენილებით სამსახურიდან მოხსნილი არიან:

ლვაბერიძე გერასიმე (წყლის მერაბი), როგორც კულაკი, გლეხებისაგან იღებს ქრთამებს, წყალს აწვდის შეძლებულებს და ავიწროებს ღარიბ გლეხობას. წყალთა რაიონის გამგეს მოსაკლავად მიუვარდა, თანამდებობას ბოროტად იყენებს, არ ემორჩილება ადმინისტრაციის განკარგულებას, მისი მუშაობა ატარებდა მავნებლურ ხასიათს, არის პროვოკატორი. გაიძახის: „ბევრი კომუნისტები დამიხვრეტია და ბევრს დავხვრეტ კიდეც". წმენდაზე განაცხადა: „მოხერხებული კაცი ვარ, შნო მაქვს და ვჭამო". მოიხსნა პირველი კატეგორიით.

ორლოვსკი დიმიტრი (ინჟინერი) ცრუ სპეცი, დამალა თავისი ბნელი წარსული, მავნებლობის მიზნით შეაჩერა წყალსაქაჩავი, მუშებისათვის გამოქონდა სამრეწველო საქონელი კოოპერატივიდან და ყიდდა კერძო ბაზარზე, გაფლანგა მუშების 500 მანეთი, ადგენდა ყალბ საბუთებს, როგორც მავნებელი მოიხსნა პირველი კატეგორიით.

წულუკიძე (სამნეო და საწყობის გამგე) შექმნა ინტრიგა თანამშრომლებს შორის, აწარმოებს უთავბოლო მიმოწერას, განზრახ აჭიანურებს საქმეებს, საწყობი არეულ-დარეული აქვს, მომარაგების განყოფილების გამგეს თანამდებობაზე ყოფნის დროს აღმოაჩნდა დანაკლისი 6.000 მანეთი. მოიხსნა პირველი კატეგორიით.

ბალაბანიკოვი (ტეხნიკოსი) არის ცრუ სპეცი. ინვენტარის შესაძენად გაფლანგა მიღებული ავანსი, სისტემატიურად ლოთობს, მთვრალი ცხადდება სამსახურში. მოიხსნა პირველი კატეგორიით.

ახმედბეკოვა ლარისა (მხაზავი)გაურბის საზოგადოებრივ საქმეებს, სამსახურში სისტემატიურად იგვიანებს, სამუშაო საათებში გართულია რომანების კითხვით. მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ჯალაღანია გრიგოლ (ინჟინერი) სისტემატიურად იგვიანებს სამსახურში, საწევრო გადასახადს არ იხდის, გამორიცხულია კომკავშირის რიგებიდან, კომკავშირელებს ეპყრობა უხეშად, საზოგადოებრივ მუშაობაზე უარს აცხადებს, მოიხსნა მეორე კატეგორიით და აეკრძალა ორი წლის ვადით საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა.

ვილვილიანცი ალექსანდრე (ტეხნიკოსი), მავნებლობის მიზნით ანელებდა სამუშაოთა ტემპებს, მუშებს უხეშად ეპყრობა, ახალგაზრდა სპეციალისტებს დასცინის. მოიხსნა მეორე კატეგორიით.

თვალავაძე გიორგი (ტეხნიკოსი) მიატოვა სამუშაო და თბილისში ჩამოსვლის მიზნით აიღო შვებულება „ავადმყოფობის" გამო, ნამდვილად კი სხვაგან მოეწყო სამსახურში. მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ბაბელაშვილი გიორგი (კანცელარიის გამგე) არღვევს შრომის დისციპლინას, სამუშაო საათებს ატარებს საუბარში, საზოგადო მუშაობას გაურბის, რევიზიის დროს აღმოაჩნდა 112 მან. დანაკლისი. ორდერებს აძლევდა „ძმა-ბიჭებს". წმენდაზე იქცეოდა უხეშად. კანცელარიაში საქმეები არეულ-დარეული აქვს. მოიხსნა მეორე კატეგორიით. აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა ორი წლით.

პისარევი ნიკოლოზ (მხაზავი) სამუშაო საათებს სისტემატიურად აცდენს, დაწესებულების სახელით შეადგინა ყალბი საბუთები გასცა, თანამდებობას იყენებს ბოროტად. მოიხსნა მეორე კატეგორიით. აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა ორი წლით.

მოროზოვა ნინა, საზოგადო მუშაობაში არ იღებს მონაწილეობას, სამუშაო საათებში სეირნობს, არღვევს შრომის დისციპლინას, გამორიცხულია კომკავშირის რიგებიდან, მოიხსნა მეორე კატეგორიით.

ჯავახიშვილი ეკატერინე (სტატისტიკოსი) ადმინისტრაციის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მიცემული ჰქონდა გაფრთხილება, სოცშეჯიბრში და დამკვრელობაში არ იღებს მონაწილეობას, საზოგადო კრებებს არ ესწრება, სამუშაო საათებს საუბარში ატარებს, მოიხსნა მესამე კატეგორიით.

ვოლჩანეცკი ბორის (ინჟინერი) არ აცნობს დაბალ თანამშრომლებს თავის საქმიანობას, საზოგადო მუშაობაში არ იღებს მონაწილეობას. მოიხსნა მესამე კატეგორიით.

ლებედევა ოლღა (პრეპარატორი) მიღებულია პროტექციით, საზოგადო საქმიანობას გაურბის. მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

სილავა იოსებ (იურისტკონსულტი) თვითმპყრობელობის დროს მოსამართლე, მენშევიკების დროის პროვოკატორი, საქმის გამჭიანურებელი. მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

არჯევანიძე თამარა (მემანქანე) გაურბის საზოგადო მუშაობას. მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

ბრეგვაძე რუბენ, გულგრილობისათვის მუშაობაში და დისციპლინის დარღვევისათვის მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით, სასტიკი საყვედურის და უკანასკნელი გაფრთხილების გამოცხადებით.

ი. მ.

სწორი კლასობრივი ხაზისათვის საბინაო პოლიტიკაში

გამოვასწოროთ საქართველოს საბინაო კავშირის შეცდომები

ბრძოლა სოციალისტური საქალაქო მეურნეობისათვის ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. საქალაქო მეურნეობის საკითხებს უდიდესი ყურადღება დაუთმო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიისა და მუშათა კლასის მიერ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში მოპოვებულმა მიღწევებმა შექმნეს ყველა საჭირო პირობები საქალაქო მეურნეობის „ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე მშრომელთა მილიონიანი მასების ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის ამ უმნიშვნელოვანესი ბაზის"—გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

პლენუმმა აღნიშნა, რომ სოციალისტური ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაში საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე—მემარჯვენე ოპორტუნიზმთან—ამ მთავარ საფრთხესთან, რომელიც გამოდის საქალაქო მეურნეობის გარდაქმნის ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგ და „მემარცხენე" გადახვევებთან, რომლებიც ეხმარებიან მემარჯვენეებს და მათდამი შემარიგებლობას.

საბინაო პოლიტიკის გატარების პრაქტიკაში ყოველგვარ ოპორტუნისტულ დამახინჯებასთან შეურიგებელი ბრძოლით მივაღწევთ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური საქალაქო მეურნეობისათვის ბრძოლის ფრონტზე. ფაქტები მოწმობენ რომ ამ საპასუხისმგებლო დარგში სწორი კლასობრივი პოლიტიკის გატარების დროს ადგილი აქვს ცალკე ოპორტუნისტული დამახინჯების შემთხვევებს როგორც მემარჯვენე ოპორტუნიზმის, ისე „მემარცხენე" გადახვევების მხრით.

ამას სრული სიცხადით ადასტურებს საქართველოს საბინაო კავშირის მიერ ბინის ქირის არგადამხდელთა საჩვენებელი პროცესების ჩატარების პრაქტიკა.

ამ პროცესების გარშემო არ გაჩაღებულა თითქმის არავითარი ახსნა-განმარტებითი, საგიტაციო აღმზრდელობითი მუშაობა. საბინაო ამხანაგობათა კედლის გაზეთებს ამის ნაცვლად, რომ დაერაზმათ საზოგადოებრიობა ამ საჩვენებელი პროცესების მნიშვნელობის გარშემო, კრინტიც არ დაუძრავთ.

ამ პროცესებმა, სახელდახელოდ მომზადების გამო, დაჰკარგეს „საჩვენებელი" პროცესების მნიშვნელობა.

ბინის ქირის არგადამხდელ 43 კაციდან, რომლებიც საქართველოს საბინაო კავშირმა მისცა პასუხისგებაში საჩვენებელი პროცესის წესით, მხოლოდ 11 აღმოჩნდა კერძო ვაჭარი, დანარჩენი 32 მუშა-მოსამსახურე იყო. პროცენტული შეფარდება აშკარად არ არის საღი კლასობრივი გზით.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ არ შეიძლება მუშა-მოსამსახურეების (რომლებიც მარტო განზრახვით არ იხდიან ბინის ქირას) გასამართლება საჩვენებელ პროცესის წესით. ფულადი სახსრების მობილიზაცია საბინაო კავშირის ხაზითაც უნდა გატარდეს გადაჭრით და მტკიცედ ყველა მუშა-მოსამსახურეების მიმართ მაგრამ ეს უნდა მოხდეს კლასობრივი ხაზის სისწორით და ზუსტად გატარების საფუძველზე, ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ ბრძოლით. საქართველოს საბინაო კავშირმა ზოგიერთ შემთხვევაში **შეცვალა პარტიული საკონტროლო ორგანოები** და საუწყებო მილიციის თანხლებით ძალათ მიიყვანა სასამართლოში პარტიის წევრები, რომლებსაც ბინის ქირა არ ჰქონდათ გადახდილი. პარტიის წევრი, კანდიდატი თუ კომკავშირელი, რომელიც ბინის ქირას არ იხდის, შლის ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმეს და ამით დანაშაულს სჩადის, **რისთვისაც იგი მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს არა მარტო საბჭოთა სასამართლოს წინაშე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პარტიული საკონტროლო კომისიის წინაშეც.** მაგრამ ეს მხედველობაში არ მიიღო საქართველოს საბინაო კავშირმა, ბევრ შემთხვევაში არ აცნობა საკონტროლო პარტიულ ორგანოებს ცალკე უდისციპლინო ამხანაგების შესახებ და ამრიგად გვერდი აუხვია ამ ორგანოებს.

ვებრძვით რა მემარჯვენე ოპორტუნისტულ თვითმდინარეობას, რომელიც აფერხებს დაშლის ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმეს, საჭიროა აგრეთვე გადამწყვეტი ბრძოლა „მემარცხენე" გადახვევებთან, რომლებიც ხელს უწყობენ მემარჯვენე ოპორტუნიზმს, ამ მთავარ საფრთხეს ეხლანდელ ეტაპზე.

საქართველოს საბინაო კავშირმა მტკიცედ უნდა გაატაროს ფულადი რესურსების მობილიზაცია, გულდასმით უნდა მოამზადოს და მოაწყოს მასიური საჩვენებელი პროცესები, უზრუნველჰყოს ზუსტი კლასობრივი ხაზის სისწორით გატარება, გამოასწოროს გზა და გზა დაშვებული შეცდომები და გადაჭრით უნდა იბრძოლოს თავისი მუშაობის გარდაქმნისათვის საქალაქო მეურნეობის შესახებ პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ს. არ.

ფულადი სახსრების მობილიზაცია მეორე კვარტალში დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული

საქართველოს სახკომსაბჭომ დამაკმაყოფილებლად ცნო ფულადი რესურსების მობილიზაციის კამპანიის შედეგები მეორე კვარტალში (მეორე კვარტალის გეგმა 103,4 პროცენტით შესრულდა).

საქართველოს სახკომსაბჭო, რომელიც ადასტურებს გეგმების წარმატებით შესრულებას გადასახადების ზოგიერთი სახის ხაზით და საანგარიშო დისციპლინის განმტკიცებას რაიონების უმრავლესობაში, აღნიშნავს ჩამორჩენას ზემოგებაზე შეწერილი გადასახადის აკრეფაში (შესრულებულ იქნა საკვარტალო დავალების 41,3 პროც.), საბინაო ქირის აღებაში (76,2 პროც.), შემნახველი სალაროების თანხების შეგროვებაში, სადაც ადგილი აქვს თანხების გატანას, თუმცა, პირიქით განზრახული იყო მათი მიზიდვა, რაც აიხსნება თბილისის შემნახველი სალაროს მიერ ლენინგრადის მუშების ლოზუნგის — „სოციალისტური ჩერვონეცი შემნახველ სალაროში" — მნიშვნელობის არასაკმაოდ შეფასებით და ც. კ-ის დირექტივების შეუსრულებლობით.

საქართველოს სახკომსაბჭომ აღნიშნა საკვარტალო გეგმის შესრულების სამარცხვინო ჩამორჩენა და შეუსრულებლობა თბილისის (83 პროც.), და ბოგდანოვკის (80,9 პროც.) რაიონებში.

მესამე კვარტალის დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებს, რაიაღმასკომებსა და ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფულადი რესურსების მობილიზაციაში, არავითარ შემთხვევაში არ შეანელოს ფულადი რესურსების მობილიზაციის ტემპები. (ადს).

ხელოვნება

ეთნოგრაფიულ გუნდის მოგზაურობა

კოლმეურნეობის ცენტრის დავალებით მუშებისა და კოლმეურნე გლეხებისათვის ხალხურ კონცერტების გასამართავად დასავლეთ საქართველოში მოგზაურობს ეთნოგრაფიული გუნდი **პაჭკორიას** ლოტბარობით.

10 ივლისს გუნდმა კოლმეურნე გლეხებისათვის და მუშებისათვის ხონში გამართა უფასო კონცერტი.

კონცერტმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთ შორის. გუნდის პროგრამა შესდგება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძველ და ახალ ხალხურ სიმღერებისაგან.

გუნდს გადაწყვეტილი აქვს შემოიაროს დასავლეთ საქართველოში ყველა რაიონი.

ა. ჩ—ვანი.

სათეატრო გამოფენა ფუნიკულიორზე

საქ. სათეატრო მუზეუმი შეუდგა მუშაობას ფუნიკულიორზე სათეატრო გამოფენის მოსაწყობათ. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ექსპონატები ჩვენი თეატრების განვითარების საილუსტრაციოდ 1920 წლიდან 1931 წლის დასაწყისამდე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნებიან მაკეტებით, როგორც დიდი აკადემიური თეატრები, ისე მცირე ფორმის თეატრები. წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე დეკორატიული ნამუშევრები—ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, სოხუმის და თელავის თეატრებიდან. გამოფენა გაიხსნება 19 ივლისს საღამოს.

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

● **საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის** ჩაის განყოფილებას სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეაქვს 120 მან.

● **მე-3 პედტეხნიკუმთან** არსებულ მე-67 ადგილკომს შეაქვს 71 მან. 74 კაპ.

● **ახალი ბაზრის კომიტეტს** მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად შეაქვს 300 მან.

● **თბილისის ლომბარდის** მუშა-მოსამსახურეებს შეაქვთ 35 მან.

● **მე-82 საფ.-საქ. სკოლის** მოწაფეებს და მასწავლებლებს შეაქვთ 175 მან.

ქრონიკა

სანიტარული დეკადა თბილისში

15 ივლისს თბილისში დაიწყო ქალაქის სანიტარულად გაწმენდისთვის მომზადების დეკადა. ყველა საწარმოებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, საბინაო ამხანაგობებსა და მუშათა კლუბებში ჩატარებული იქნება მოხსენებები და საუბრები. 25 ივლისს დაიწყება ქალაქის სანიტარულად გაწმენდა. ნაგვის გასატანად მოხდება ქალაქის ტრანსპორტის მობილიზაცია. დაარსდა ცენტრალური და ხუთი რაიონული კომისიები, რომლებშიაც ჩაბმულ იქნა მუშათა აქტივი (ადს).

საქართ. ცაკის მდივნის მოვალეობის დროებით ასრულება დაევალა ამხ. ტოროშელიძეს

საქართველოს ცაკის მდივნის ამხ. ს. თოდრიას შვებულებაში წასვლის გამო, საქ. ცაკის მდივნის მოვალეობის ასრულება დროებით დაევალა ამხ. ტოროშელიძეს (ადს).

უკრაინის კულტურის მუშაკები მცხეთაში

უკანასკნელ სტუმართა სამუზეუმო ჯგუფმა პროფ. ერნსტის მეთაურობით 17 ივლისს ინახულა მცხეთა, სადაც დაათვალიერა არქიტექტურისა და მხატვრობის ძველი ძეგლები (ადს).

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მესამე გვერდზე მოთავსებულ მუშგლეხინის დადგენილება „ალაზნის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის" შესახებ დათარიღებულია **30 ივლისით, უნდა იყოს 30 ივნისი.** იმავე გვერდზე ერთ-ერთ შენიშვნას აქვს სათაური **„ნაციონალიზმთან ბრძოლა დავიწყოთ"**, უნდა იყოს **„ნაციონალიზმთან ბრძოლა დაავიწყდათ"**.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩაის ნარგავთა დაზიანების ან განადგურებისათვის, სხვათა შორის საქონლის შეშვებით წახდენისათვის, როგორც სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის პლანტაციებზე, ისე ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა პლანტაციებზე, დაწესებულ იქნეს პასუხისმგებლობა საადმინისტრაციო წესით — იძულებითი მუშაობა სამ თვემდე ან ჯარიმა 300 მანეთამდე, რასაც დამნაშავეთ დაადებენ სათანადო რაიონების მილიციის უფროსები სასოფლო საბჭოებისა, მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებისა და აგრონომიული პერსონალის აქტების მიხედვით.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 178 და 194 მუხლების თანახმად, — კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა 2. ზემოაღნიშნული მოქმედებით მიყენებული ზარალი გადახდევინებული უნდა იქნეს საერთო წესისამებრ; ამასთანავე, წანახედით მიყენებული ზარალის გადახდევინებას უნდა შეეფარდოს „წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 9-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესები (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 206, და 22 №-ი, მუხ. 313).

2. წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც ჩაის კულტურაა გაშენებული, დააწესონ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, იმ აგრიკულტურულ ღონისძიებათა მინიმუმი, რაც უზრუნველჰყოფს ჩაის ნარგავთა რაციონალურ მოვლას და ჩაის პლანტაციების წესიერად შენახვას, და განახორციელონ ეს ღონისძიებანი თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 24-ის დადგენილებისა „მოსავლიანობის გასადიდებლად მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით განხორციელების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-ი, მუხ. 101).

ჩაის კულტისათვის საჭირო აგრომინიმუმის თაობაზე გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დამნაშავე პირნი მიცემულ უნდა იქნენ კანონით განსაზღვრულ პასუხისგებაში; ამასთანავე იმ გადასახდელთა გარდა, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული — 1929 წ. აპრილის 24-ის დადგენილების მე-7 მუხლით, მათ შეიძლება აგრეთვე ჩამოერთვათ კოოპერაციის მეშვეობით გასაწევი სასურსათო და სამრეწველო მომარაგების უფლება.

3. აეკრძალოს ყველა ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობას ჩაის შინაურულად (კუსტარულად) დამუშავება გასაღების მიზნით და ასეთ მოქმედებისათვის დამნაშავე პირნი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლის თანახმად (სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების რედაქციით — საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 68).

4. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — გამოსცეს ათი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, რესპუბლიკის პროკურორთან და საქართველოს სსრ მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებრო უფროსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითურთ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. ივლისის 4.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურო** დღეს, 18 ივლისს, საღამოს სრულ ექვს საათზე რკინის გზის საქონლის სადგურის კლუბში (საქონლის სადგური) მოახდენს სხდომას, სადაც განხილული იქნება რკინის გზის საწყობებში აღმოჩენილი ბოროტმოქმედების შესახებ.

ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების და დაწესებულებების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა: ამხ. კეკელიძე—ა.-კ. რკ. გზ. მეორე საექსპლოატაციო რაიონის უფ., ამხ. ფარცვანია—თბილისის სადგ. უფ. ამხ. მაღრაძე—რკ. გზ. პოლიტსამმარ., ამხ. ცერცვაძე — თბ. საქ. სად., ამხ. გოცირიძე —რკ. გზ. დაც. რაზ. უფ., ულენტი—მავნებ. მებრძ. საზ. ექსპედ., ამხ. კუპაიძე და გეოფრიძე („სოიუზტრანსი"), ამხ. ბაბუციძე —რკ. გზ. რაიკავშ. და „ზარია ვოსტოკა"-ს „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „პროლეტარი"-ს და რკ. გზის კედლის გაზეთის „წითელი დეპოელის" წარმომადგენლები.

— **ა.-წ. 19 ივლისს საღამოს 7 საათზე., „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობის** ბინაზე (შ. ჩიტაძის ქ. № 2). დანიშნულია „წერა-კითხვა"-ს თბილისის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. ქვემოდასახელებულ პირთ სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ, მდივანი ა. ბოკერია, მაჩიტაძე, ქსოვრელი, ლურსმანიშვილი, ჟვანია ნადეჟდა, გრიაზნოვსკი, კიტრაძე, ნარიმანოვი, სვანიძე, საგათელოვი, გულკასიანი, მურადოვი ბეზგოტკინა, მაჩაბელი, კაპანელი, ტერტეროვი, ვართაპეტოვა, სანაძე, თევზაძე ვარძიგულოვი, გევორქოვა, გველესიანი იზიუქსკი, კარგალაშვევა, სოლოლაშვილი, ჩიჩეა მრს.. ჟელეზნიცკი, ვარლამოვა, ბაბაევი, სტურუა, ფანცულაია, ბრეგვაძე, ისაკიანი, რუხაძე, მესხი, სართანია, მალალაშვილი, ივანიანი, დონდუა, გედევანიშვილი.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. კადრების განყოფილება სთხოვს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 18 ივლისს, დ. 10 საათზე ამხ. აფციაურთან (ოთახი № 35): ამხ. კურასპედიანი ირაკლი და ჩალავოვი (ცეკავშირი).

საზაფხულო ეთერი (სახ ოპერის ბაღში)
პირვ. სეანსის დასაწყისი 9 ს.

საზაფხულო დარბაზი
1 სეან. დასაწ. 9 ს., 11—10 ს. 45 წ.

პრემიერა ჯაბარდა!
პოლიტ-პამფლეტი
ს. ტრეტიაკოვის და მ. ჭიაურელის სცენარით.
რეჟისორი—მიხეილ ჭიაურელი, ოპერატორი—ანტონ პოლიკევიჩი.
„სოიუზკინო"-ს გაერთიანების საქ. სახკინმრეწვის ტრესტის ნაწარმოები.

სტალინის სახელ. კლუბის კინო
(ყ. პალასი)
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

დადგმის მეორე კვირა
სომხეთის პატი და პატაშონი სურათში
შური და შურ-შური
რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი.

18 ივლისიდან
რევოლ. კინოს მუშაკთა ასოციაციის საბჭოთ და სახკინმრეწვის სამხ. ცენტრ. კოლექტივი
ჩაატარებენ
შემოქმედებითი დისკუსიის ერთთვიურს
კინემატოგრაფიის საკითხების შესახებ
18 ივლისს, ხელოვნების სახ სახლში, საღამოს სრულ 8 საათზე შესდგება მოხსენება
ფილმის „ხაბარდა"-ს მეთოდოლოგიის შესახებ
მომხსენებელი ამხ. ა. დუდუჩავა.
მოხსენების თეზისების მიღება შეიძლება სახკინმრეწვში.
1436 2 2

მუშკოოპის ყველა უფლებამოსილ თანამშრომლებს
იჩქარეთ მიიღოთ თქვენი ობლიგაციები
ა/წ. ივლისის 16-დან მუშკოოპი იწყებს სესხის ხუთწლედი 4 წელიწადში ობლიგაციების დარიგებას (1 გამოშვება), ყველა იმ თანამშრომლებზე, რომლებმაც მოაწერეს ხელი მუშკოოპში სამსახურის დროს (გამგეობა, ცენტრი და ყველა სავაჭრო და საწარმოებები).
ობლიგაციები გაიცემა იწარმოებს 16 ივლისიდან 25 ივლისამდე კოოპერაციის სახელმწიფო ვაჭრ. მუშაკთა საზაფხულო კლუბის ბაღში (მუშკოოპის სამმართველოს გვერდით) ყოველ დღიურათ დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღ. 7 საათიდან 10 მდე მუშკოოპის გამგეობის შენობაში, სართული 1-ლი, ოთახი 1-ლი.
ობლიგაციების მიღებისათვის აუცილებელი საჭიროა წარმოდგენა: 1) მისაღები ტალონები, 2) პირადი მოწმობები.
გახსოვდეთ გამოცხადდეთ არა უგვიანეს 6/7 1931 წ.
ბ 1433 3—2 ტფ. მუშკოოპის სალიკვიდკომი.

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. მესანგრეთა ქ. № 22.
13—3 5464

ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღ. დილით 9 - 11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) №3
25—20

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მშვენიერების, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება მიღება 11-დე.
25—1

დაიკარგა ოქროს ჯიბის საათი, ციფრიანი ფსკერი არის ოქროსი ფერით მოყვითალო, ძეწკვი გძელი ოქროსი, პატარა. საათი არის შვეიცარიული. მნახველს ვთხოვ მაცნობოს, საბჭოს ქუჩის 1 ლი ჩიხი, სახლი № 4 თედორე მიიტანოს მნახველი მიიღებს საჩუქარს 200 მანეთს.
6065

ზ. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძმელაძის შესახვევიდან.
25—6

პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 ს საღამოს 6—9 საათ ქალების და ბავშვების მიღება: 1—6 საათამდე. მის სამართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედანის მახლობლად ტელეფონი 1 90 [illegible] 25—8 432

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად
მუშკოოპის წიგნაკები: აკაკი ახალაძის № 4775, ვასილ კოხაძის № 1321, ლევანტი ტიკაძის № 1725, ფიორე ოდიაშვილის № 1131 სილოვან თედორაძის № 464, ელისაბედ ლაითაძის № 827, შოთა ქიმმარიას № 669.
კავშირის წიგნაკები: თამარა სარაჯიანის № 50346, ილია ბოჭორიშვილის № 01972893
სამხედრო წიგნაკები: დავით ასკურავასი, იროდი ბეროაიასი, გრიშა ბოლქვაძის, ალექსანდრე გაგუასი № 1257.
სხვა და სხვა საბუთები: დამხლ სალ. წიგ. № 20 გოგუცა ხოფერიასი, სოც. მდგომარ. მოწმობა № 133 დავით ასკურავასი, 7 წლ. დამთ. მოწ. № 46 შალვა ჯალაღანიასი.

კბილის ექიმების
ექიმ-სტომატოლოგებად გადასამზადებელ კურსების
დირექცია
აცნობებს ყველა საქართველოში მომუშავე კბილის ექიმებს, რომ ჯანსალკომმა გახსნა
კბილის ექიმების გადასამზადებელი ექიმ-სტომატოლოგებად
კურსები
განცხადებები მიიღება ჯანსალკომის კანცელარიაში ოთახი № 21 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე, განცხადებას თან უნდა დაერთოს:
1. სახ უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომთან ერთად წმებული ასლი კბილის საექიმო წოდებაზე.
2. ცნობა სამსახურის შესახებ.
3. ცნობა სტაჟის შესახებ.
4. ორი ფოტოგრაფიული სურათი.
პირველი გადასახადი კავშირის [illegible] კავშირის წევრთათვის 40 მან
2—2 კურსების დირექცია ბ. 1435

გულმოკლული მშობლები: მარიამ და ბუდუ, და მერი, ძმები: გიორგი, ვანო, [illegible] აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და [illegible]
შალიკო მდივანის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. სამოქალაქო [illegible] ათზე. გამოსვენება კვირას, 19 ივლისს, [illegible] ბინიდან (ტრიბუნალის ქ. № 43) ვერის [illegible] 6 69

დღეს გვშორდება სამუდამოთ ჩვენი [illegible]
შალიკო მდივანი
რასაც აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ [illegible] 6066

ა/კ. და საქართველოს თავდაცვა ავიაქიმის [illegible] ავიაციო სექტორები ღრმა მწუხარებით [illegible] ტორის აქტიურ წევრის თბილისის [illegible]
შალიკო მდივანის
ტრაგიკულად დაღუპვას 6073

ა.-კ. აბრეშუმის ტრესტის სამმართველო [illegible] სთქვამს, ტრესტის მმართველის ამხ. [illegible]
შალვა მდივანის
ტრაგიკულად გარდაცვალების [illegible] (2—1)

ა. კ. აბრეშუმის ტრესტის კომუჯრედი [illegible] მომთხრობლები გამოსთქვამენ თავის მწუხარებას [illegible] ლის ამხ. ბუდუ მდივანის
შალვა მდივანის
ტრაგიკულად გარდაცვალების [illegible] (2—1)

ღრმად დაწუხრებულნი: და მარიამ [illegible] ლით და შვილით ვახტანგით, ძმა [illegible] რიაძით, და ძამიდაშვილი ლიზა [illegible] იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის [illegible] მათთვის დაუვიწყარი
სოფიო (სონა) ნიკოლოზის [illegible]
პანაშვიდი დღეს 7 საათზე. [illegible]

სამტრედიის რაიონის ბ. კ. ო. ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება თავისი პრაქტიკულ მომუშავის აქტიურ კომკავშირელის
ამხ. ილია ტყეშელაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 ივლისს, სოფ. ბაშში. ბ. 1437

სამტრედიის რკინის გზის მე-2 საქარხნო-საფაბრიკო სკოლის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სკოლის ბაზის ხელმძღვანელის
ამხ. ილია ტყეშელაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება 19 ივლისს, სოფ. ბაშში. ბ. 1437

სამტრედიის კომკავშირის რაიკომის ბიუროს შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს თავდადებული ლენინელი ამავე რაიკომის ბიუროს და საქ. კომკავშირის ცკ-ს წევრის
ამხ. ილია ტყეშელაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას, 19 ივლისს. ბ. 1437

ბარბარე და მიხეილ მუჯირიშვილები შვილებითურთ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დიდი ამაგის დამდები პირველის დაი და მეორეს ცოლისდა
მინადორა დიმიტრის ას. ტატიშვილი
გამოსვენება დღეს, 4 საათზე, მიმოსვლის (რაზიეზდი) ქუჩა № 6. 6057

დამწუხრებულნი შვილები: იოსებ და შალვა, რძლები: სოფიო და ვერა ტატიშვილები შვილებითურთ აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის [illegible] და ძვირფასი დედა
მინადორა დიმიტრის ას. ტატიშვილი
გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ტოლსტოის ქ. (ყოფ. მიმოსვლისა) № 6. 6059

დედა ანნა და ძმები: იერემია და გრიგოლ გულისაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა/წ. 14 ივლისს, გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი და დიდი მოამაგე
მინადორა დიმიტრის ას. ტატიშვილი
გამოსვენება დღეს, 18 ივლისს, მიმოსვლის (რაზიეზდი) ქ. № 6 6057

ღრმა მწუხარებაში მყოფი ნაძია კომახიძისა შვილებით ულრმეს მადლობას სწირავს გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას და ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადი დასწრებით, წერილებით და დეპეშებით პატივი სცეს მისი ქმრის
ვასო ნიკოლოზის-ძე კომახიძის
ხსოვნას.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ელენე, შვილები თამარა და კარლო, სიდედრი მინა ცინცაძისა და სიძე მიხაკო სულუხია იუწყებიან მათთვის უდროდ დაუვიწყარ
არტემ ნიკოს-ძე თედორაძის
მოულოდნელად გარდაცვალებას. დასაფლავება 21 ივლისს, ქ. ოზურგეთში. 6068

თავზარდაცემული მეუღლე ელენა, დედა ეგვიტო, შვილები: თამარა და კარლო იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი
არტემ ნიკოლოზის-ძე თედორაძე
დასაფლავება ოზურგეთში სამშაბათს, 21 ივლისს, მოიდანახეს სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან ობოლაძის ქ. № 17 1438

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: დემნა. ლეო და ნინო შენგელაიები, სიძე ვასილ ვერულაშვილი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს და ნათესავებს მათი საყვარელი მამის
კონსტანტინე (კოსტა) შენგელაიას
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი რესპ. მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) პროზექტურაში დღეს, საღ. 7 საათზე. 6068

მშობლები თამარა ბოლქვაშვილი, ილია კობაიძე, ძმა ვასილი, და ბარბარე იუწყებიან, რომ პედტეხნიკუმის სტუდენტის
ქეთო კობაიძის
ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია თბილისში, სამშაბათს 21 ივლისს, დღის 10 საათზე, ბარათაშვილის № 25 და საღამოს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 6060

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი ცოლი ანნა, შვილი შურა და რძალი ელიკო იმერლიშვილები იუწყებიან რომ ა/წ. 15 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი იმედი
სვიმონ ივანეს-ძე იმერლიშვილი
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 18 ივლისს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა 19 ივლისს, [illegible] სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან — [illegible] ქ. № 10, დღის 4 საათზე. 6062

სამუდამოთ უბედური დედა ქენია შვილებით და ქმრით, ბებია ფატმან ასათიანი შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან, რომ 20 ივლისს, ს. [illegible] დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ მათი საამაყო
კუწია (გრიშა) წერეთლის
მოსაგონრად. 6064

მწუხარებაში მყოფი ქმარი იოდორე, შვილი კატო, ძმა დიმიტრი, დედა ელისაბედი, ძალი დავითი, რძალი ნინა, მაზლის შვილები ამირანი და ლენა ლვინეფიძეები იუწყებიან მათთვის საყვარელ
პარასკევა (ცუცა) გიორგის ასული
ოდიშელაშვილი-ლვინეფიძის
გარდაცვალებას დაკრძალვა 19 ივლისს. კუკიის სასაფლაოზე. ორჯონიკიძის ქ. № 122, 4 საათზე. 6063

გაუბედურებული დედა ანნა, დები: ქეთია და ნადია, ძმები: დიონიდე, გრიგოლ და ალიოშა, რძლები: კატო და სარა ცინცაძეები, სიძე პლატონ [illegible] შვილებით და ბაბია [illegible] იუწყებიან, რომ 22 ივლისს 12 საათზე, ქალ. [illegible] დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი [illegible]
ვალიკო ივანეს-ძე ცინცაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 6074

დამწუხრებული ამხანაგი მიშა ჩეკურიშვილი იუწყება დაუვიწყარ ამხანაგის, ქიმიურ საფეიქრო და აბრეშუმის ტეხნიკუმის პირველი კურსის მოწაფის
მიხეილ გიორგის-ძე მესხის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 19 ივლისს. 2 საათზე, ველისციხეში (კახეთი). 60 2

ღრმად დამწუხრებული: ცოლი ნინა თევდორეს ასული და შვილი სოფიო ელიავა იუწყებიან ძვირფასი ქმრის და მამის
ივანე იოსების-ძე მირიმანოვის
გარდაცვალებას ქ. სარატოვში, 14 ივლისს. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 18 ივლისს, 7 საათზე. [illegible] ქ. № 8. 6051

საქართველოს გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № [illegible]